ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 22 სექტემბერი 1998 №169 (704) ფასი 50 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი

7 ტური

19 სექტემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| არსენალი | 1 |
| კოლხეთი | 3 |
| მერანი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| დილა | 2 |
| იბერია | 4 |
| გურია | 1 |

20 სექტემბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ოდიში | 0 |
| დინამო | 4 |
| ლოკომოტივი | 1 |
| ტორპედო | 1 |

21 სექტემბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | 0 |
| გორდა | 0 |
| ბათუმი | 6 |
| სამგურალი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 5 | 0 | 0 | 25:4 | 15 |
| ტორპედო | 6 | 4 | 2 | 0 | 18:7 | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | 13 |
| იბერია | 7 | 4 | 0 | 3 | 16:15 | 12 |
| ბათუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:9 | 11 |
| კოლხეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| მერანი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:10 | 9 |
| არსენალი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:10 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 2 | 1 | 4 | 7:8 | 7 |
| გურია | 7 | 2 | 1 | 4 | 8:15 | 7 |
| სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:15 | 7 |
| ოდიში | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | 6 |
| გორდა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 6 |
| თსუ | 7 | 1 | 1 | 5 | 3:10 | 4 |
| სიონი | 7 | 1 | 1 | 5 | 9:20 | 4 |




კვირას მცხეთაში: „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“. გელა კვიტატიანს ზურაბ იონანიძე (№13) ერთხელ მაინც გაექცა

მცხეთა
20 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
1200 (ტევადობა 3 000)

**ლოკომოტივი 1:1 ტორპედო**

0:1 კვეტენაძე (70), 1:1 ღუდუშაური (81)
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი (ბაქრაძე 87), არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი (გ. ღუდუშაური 52), მარლიშვილი, კ. მელქაძე (გიორგი ქორიძე 65), კვიტატიანი, დ. გოდერძიშვილი, კაციაშვილი
სათადარიგონი: დოლაბერიძე, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი
ტორპედო: ასლანაძე, თურმანიძე, ვაშაკიძე, ჩხაიძე, პ. ჯინჭარაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი (მაღლაკელიძე 22), კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 65)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, კ. მეტრეველი, ქებაძე, ჩხაბერიძე
გაფრთხილება: ბალაშვილი (15), იონანიძე (30), კვიტატიანი (58), ჩხაიძე (80)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე, ა. მეშკოვი; ე. სილაგავა (სამივე თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

# ჭირსაც წაუღია ასეთი ფეხბურთი!

ყველასთვის ნაცნობი სურათი — მცხეთის „არმაზი“, ტურის ცენტრალური მატჩი, უპრინციპულესი შეხვედრა და ისევ „ტორპედო“ სტუმრად ქალმოსავლეთში. მცხეთას დაებედა თუ რა, წელი ისე არ გავა, სკანდალი არ მოხდეს. იქნებ სადაოც არაფერი იყოს, მაგრამ საქმეში რომ ემოციები გაერევა, იქ დავიდარაბა გარდაუვალია.

სტუმარ-მასპინძელი ჯერაც დაუმარცხებლად მიდიან. გუშინწინაც თამაშის ანგარიში მშვიდობიანი გამოდგა, თავად მატჩს და თამაშისშემდგომ, მესამე ტაიმს კი ასეთი ნამდვილად არ ეთქმოდა.

„ტორპედოს“ თავისი ფანობა ჰყავს. დაჰყვებიან საყვარელ კლუბს და ქვეყნად არაფერი აინტერესებთ, მხოლოდ გამარჯვება, მხოლოდ სამი ქულა. ეს კარგია და უკეთესიც იქნება, თუ ჩვენში ყველა კლუბს ეყოლება ფანები.

თუმცა, მერე წესრიგის დამცველთ უნდა იკითხონ. ამათი დაშოშმინება ახლა ჭირს და, ორი კლუბის „გაგიჟებული“ გულშემატკივრები რომ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, იქ მშვიდობის დამყარება გაძნელდება.

თამაში სასიამოვნოდ საცქერი არ იყო და ამას შეგუებულნიც ვიყავით. ორივე გუნდი მეტოქის შეცდომას უცდიდა. მატჩიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

პირველ ტაიმში ორივეს შეეძლო დაწინაურება. მასპინძელთაგან გოდერძიშვილის აბრაგანი და მარლიშვილის სახიფათო თავური იყო გამოსარჩევი. სტუმართაგან ჯანაშიას ჯარიმამ და ჯანაშია — ჯინჭარაძე — მეგრელაძის კომბინაციამ დაურღვია სიმყუდროვე ჯანელიძეს.

მასპინძლები უფრო ხისტად იბრძოდნენ, რაც ჩხეტიანმაც გამოსცადა თავის თავზე და 22-ე წუთისთვის ფეხგასიებულმა მინდორიც დატოვა. ამაში თავისი წილი ბალაშვილის სახიფათო „პადკატმაც“ დაიდო.

მეორე ტაიმი სტუმრებმა უკეთ დაიწყეს. თავის გამოჩენა ჯერ იონანიძეს შეეძლო, მერე ჯანაშიას, მაგრამ კარში არაზუსტად დაარტყეს.

იონანიძის მონდომებამ ნაყოფი მაინც გამოიღო. მარცხენა ფლანგზე გაჭრილმა კვეტენაძეს ზუსტად მიაწოდა და კახამაც მცველს და მეკარეს აჯობა.

„ლოკომოტივმა“ 81-ე წუთზე გაათანაბრა. მარლიშვილმა საჯარიმოს კუთხესთან მიიღო ბურთი, ღუდუშაურიც კარგად მოძებნა და ხრუბეშამაც გაიტანა. სტუმრები თამაშგარეს სთხოვდნენ გუნთაძეს. მდგომარეობაც მაშინ დაიძაბა.

„ტორპედოს“ ფანობა და კლუბის ხელმძღვანელები მსაჯებს სამ კითხვაზე სთხოვდნენ პასუხს. ერთი — ჯინჭარაძის დარტყმული ბურთი ბალაშვილს ხელზე მოხვდა და პენალტი რად არ დანიშნეო; მეორე — გოლი თამაშგარედან გაგვიტანეს და რატომ ჩათვალეო; მესამე — მასპინძელთა მცველმა თავის მეკარეს ბურთი რომ მიუგორა, თავისუფალი რად არ დანიშნეო:

იხილეთ მეორე გვერდი

# სწავლა სიბერემდეო

საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცს ვლადიმერ გუცაევს თავისი ამჟამინდელი სამწვრთნელო განათლება არ აკმაყოფილებს და შაბათს ფრანკფურტს გაფრინდა. გუცაევი და ეროვნული გუნდის ადმინისტრატორი დავით ნამგალაძე გერმანიის ამ ქალაქში უეფას მიერ ორგანიზებულ მწვრთნელთა მორიგ სემინარს დაესწრებიან, გამოცდილ სპეციალისტებს ყურს დაუგდებენ და შემატებული ცოდნა-გამოცდილებით ხვალ თბილისს დაუბრუნდებიან.

# ლობჟანიძეს ბერძნები ემუქრებიან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბერძნულ კლუბ „ქსანტის“ ფაქსი მიიღო, თქვენებური ფეხბურთელი ნუგზარ ლობჟანიძე ალბანეთის ნაკრებთან მატჩისწინა შეკრებაზე რომ გამოვუშვით, უკან აღარ დაგვბრუნებია, რაშია საქმე, გაგვარკვიეთ. ისე, რომ იცოდეთ, ამ ფაქსის ასლი უეფაშიც გავგზავნეთო — იწერებიან ბერძნები.

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, თავად ფეხბურთელთან დაკავშირება ვერაფრით მოვახერხეთ, ვერც კლუბში არდაბრუნების მიზეზი გავარკვიეთ. თუმცა ის კი ნაღდია, რომ ალბანეთთან თამაშის მერე ფეხბურთის ფედერაციას ნუგზარ ლობჟანიძის სახელზე თვითმფრინავის ბილეთი დაჯავშნული ჰქონდა.

რახან ბერძნებმა ფაქსის ასლი უეფასაც გაუგზავნეს, ეტოყობა, ნუგზარ ლობჟანიძის „ქსანტიში“ დაუბრუნებლობა რაღაც სერიოზულ დარღვევას უკავშირდება. თუ მართლაც ასეა, ერთერთს, ფეხბურთელს, ფეხბურთის ფედერაციას, თბილისის „დინამოს“ ან მოსკოვის ცსკა-ს, სადაც ლობჟანიძე „დინამოში“ დაბრუნებამდე თამაშობდა, ჯარიმა არ ასცდება.

# ცრემლი და შამპანური

## ესპანელმა ქალებმა შვეიცარიელი გოგოები ატირეს

ამ უქმეებზე ჟენევაში გამართული ჩოგბურთელ ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის ფინალი მოულოდნელი შედეგით დასრულდა: მსოფლიოს პირველი ჩოგნის მარტინა ჰინგისის ყოლისა და თვისტომთა თავგამოდებული ქომაგობის მიუხედავად შვეიცარიელებმა თასი ესპანელებს გაატანეს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



ესპანეთის ნაკრები: არანჩა სანჩეს-ვიკარიო, მაუი სერნა, ვირხინია რუანო-პასკუალი, კონჩიტა მარტინესი



ფლორენს გრიფიტ ჯოინერი

# სიცოცხლე მოკლე დისტანციაზე

გუშინ კალიფორნიაში, ლაგუნა ბიჩში, საკუთარ სახლში გულის მოულოდნელი შეტევით გარდაიცვალა 38 წლის მძლეოსანი ქალი ფლორენს გრიფიტ ჯოინერი. 1988 წელს სეულის ოლიმპიადის ტრიუმფატორი გრიფიტ ჯოინერი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სპრინტერად იყო მიჩნეული. მის მიერ ათი წლის წინ სეულში დამყარებული მსოფლიოს რეკორდები 100 და 200 მეტრზე რბენაში, შესაბამისად, 10,49 და 21,34 წამი, დღემდე ვერავინ გააუმჯობესა და მრავალთა აზრით, უახლოესი ათწლეულის მანძილზე არც მოიძებნება სპორტსმენი, ვინც ამას შეძლებს.

გული გრიფიტ ჯოინერს ადრეც აწუხებდა. 1996 წელს თვითმფრინავში ყოფნისას იგი მოულოდნელად შეუძლოდ შეიქნა და მხოლოდ სასწრაფოდ აღმოჩენილი დახმარების წყალობით გადარჩა. გუშინ კი...

მცხეთა
21 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## თსუ 0:0 გორდა

**თსუ:** ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, ვ. ლუდუშაური, კ. სვანიძე, ცომაია, კაკუბავა, ებრალიძე (ბახტაძე 71), წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ინწკირველი, ო. სულაძე
**გორდა:** მ. ქორიძე, ხუჯაძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე (ჩოხელი 36), ჩუხუა, კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ლ. ალადაშვილი, მჭედლიძე, შ. კაპანაძე, ბიჭიაშვილი
**გაფრთხილება:** ტარტარაშვილი (80)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი), ზ. მენთეშაშვილი, ზ. დოლიძე; ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** გ. გვანცელაძე

**გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან**

# შატალოზე რექტორთან ერთად

გუშინ „არმაზზე", გათამაშების ცხრილის ბოლოში მოყურყუტე გუნდები შეეტოქნენ ერთმანეთს. თუ წინა ტურში რუსთაველებმა „სიონთან" იმარჯვეს, სტუდენტებმა ტრანსპორტელებთან კვლავ მარცხი იწვნიეს. ბრძოლა უშელავათო იყო, ორივე გუნდს გამარჯვება სწყუროდა და, თუ თამაშის პერიპეტიებს გავიხსენებთ, ფრე ლოგიკურადაც უნდა ჩავთვალოთ.

თავიდანვე გეტყვით, რომ საყვარელი გუნდი ისევ გაიხსენეს სტუდენტმა ფანებმა. მართალია, მცირერიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ შიგადაშიგ ისე ომახიანად დასჭექდნენ-ხოლმე, თქვენი მოწონებული. ის კი არა, შეხვედრას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი როინ მეტრეველიც ესწრებოდა და სტუდენტებს წაეხუმრა კიდეც, აქ რა გინდათ, ლექციებზე რატომ არა ხართო. თავად ფეხბურთელებმა რექტორი მოგებით ვერ გაახარეს, მაგრამ არც თავი შეურცხვენიათ.

პირველ ნახევარში ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ორივე გუნდის ფეხბურთელებსაც სწორედ აქ უხდებოდათ ბრძოლა, ხოლო რეალური მომენტი რასაც ეთქმის, მხოლოდ 29-ე წუთზე შეიქმნა. დემურ კაკუბავას ჯარიმიდან დარტყმული „გორდას" მეკარე მამუკა ქორიძემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია, იქიდან კი ჭუმბურიძემ პირდაპირ კარში ჩაახვია. ქორიძემ აქაც იმარჯვა, გადმოვარდნილს წიტაიშვილი ამატებდა, მაგრამ კობას დარტყმულს ამჯერად უკვე მცველები გადაეღობნენ.

მეორე ნახევარში, პირველისგან განსხვავებით, ღია ფეხბურთი გაჩაღდა. თამაში შედარებით საინტერესო და სასიამოვნო საცქერი გახდა, მომენტებიც, ასე თუ ისე, საკმაო შეიქმნა და, თუ ფეხბურთელები მიზანს ვერ აღწევდნენ, ისევ მათი და ცოტაც უიღბლობის ბრალი იყო. დასაწყისშივე თსუ-ს ფანებმა კიდევ ერთხელ დასჭექეს და თავისიანნიც შეაგულიანეს, მაგრამ ამით რუსთაველები არ დაბნეულან, პირიქით, რამდენჯერმე მწვავედაც დაემუქრნენ სტუდენტთა კარს.

62-ე წუთზე რუსთაველებმა კლასიკური კომბინაცია გაითამაშეს. კედელაშვილმა საჯარიმოს სიახლოვეს მყოფ კილასონიას ჩააწოდა, ვარლამმა კი ბურთი მიწაზე დაუშვებლად, ნახევარბრუნში ყუმბარისებურად გაისროლა, მაგრამ ბათიაშვილი ფხიზლობდა და ცალი ხელით კუთხურზე მოიგერია.

აღსანიშნავია რუსთაველთა ლიდერის ვარლამ კილასონიას ერთობ აქტიური თამაში. იგი ბევრს მოძრაობდა, პასებსაც ჩინებულად ანაწილებდა და როცა შესაძლებლობა ეძლეოდა, კარში დარტყმასაც არ ახანებდა. 70-ე წუთზე მან ფლანგური გარღვევისას სისწრაფეში აშკარად დაჯაბნა მცველი ილურიძე, მაგრამ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ჩუხუას დროულად ვერ მიაწოდა და ყველასთვის მოულოდნელად მახვილი კუთხიდან კარში დაარტყა, ძელთან მდგომ ბათიაშვილს ბურთი გაუძვრა და მისდა ბედად შორეულ ძელს მოხვდა, მაგრამ იქ უკვე დასამატებლად ჯუბა ჩუხუა არ აღმოჩნდა.

81-ზე თსუ-ელმა წიტაიშვილმა ვერ ივარგა. ჯარიმის გათამაშებისას იგი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ქორიძეც ძელმა იხსნა.

მსაჯმა გურამ ასკაროლლიმ შეხვედრას ორი წუთი დაამატა და გუნდებმაც ამ მონაკვეთში უფრო რეალური მომენტები შექმნეს. ჯერ იყო და, ჭუმბურიძის კუთხურიდან ჩაწოდებული ჩაწოლილმა როსტიაშვილმა თავით წიტაიშვილს გადააწოდა, კობას თავურივე კი ქორიძემ სასწაულებრივად გამოიტანა ცხრიანიდან და კუთხურზე მოიგერია. სტუდენტებმა ეს კუთხური უხეიროდ გაითამაშეს, რუსთაველებმა ბურთი მოიგდეს თუ არა, უმალ კილასონია მონახეს, ვარლამიც პირისპირ გავიდა მეკარესთან, წინ გამოსულ ბათიაშვილს თავზეც კი გადაუგდო, მაგრამ ოდნავ არაზუსტად.

ასე თუ ისე, ცხრილში მეზობლებმა ქულები გაიყვეს, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, რომ ფრემ ორივე გუნდი უკმაყოფილო დატოვა. ეს განსაკუთრებით მასპინძელთა თავკაც ოთარ გაბელიას ეტყობოდა, წარსულში ცნობილ მეკარეს, თუ ასე გაგრძელდა, ბევრი ფიქრი მოუწევს, სახიფათო ზონიდან რომ დაიხსნას გუნდი.



ვარლამ კილასონიას გიორგი ილურიძე (№2) და კახა ებრალიძე (№8) დაუხვდნენ

სამტრედია
19 სექტემბერი
17 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

## იბერია 4:1 გურია

1:0 ხუჭუა (26), 2:0 ვ. გიგიაძე (29), 3:0 ჩომახიძე (58), 3:1 დ. მახარაძე (733), 4:1 ივეჩიანი (76)
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი (ფხაკაძე 66), ჩომახიძე, ხუჭუა (ბაკურაძე 63), ვ. გიგიაძე (ივეჩიანი 63), დარასელია, ბრეგვაძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, თოდუა, გ. ჭელიძე, გ. ლურსმანაშვილი
**გურია:** ვარდანიძე, ფაცურია, კაკაჩია (ჩიკვილაძე 46), იობიძე, ი. ბუხრიკიძე (ჩიგოშვილი 46), ლორია, ზ. კვეკვესკირი, დ. მახარაძე, კავთელაძე (პატარაია 59), მელაძე, გ. გიორგაძე
*სათადარიგონი:* გოგუა, თიბილაშვილი, განევი, კუკულაძე
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. დურსუნიში

**იუზა კაციტაძე სამტრედიიდან**

„იბერიის" მესვეურები ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე აპირებდნენ გუნდში

# რა უნდა მომხდარიყო...

გამოცდილი გოლკიპერის მიყვანას, რამდენიმე კანდიდატურასაც ასახელებდნენ, მაგრამ საქმე გაჭიანურდა. მერე ჩემპიონატი გაჩაღდა. ორმა სასტარტო გამარჯვებამ კი, როგორც ჩანს, სამტრედიელებს მეკარის პრობლემა საერთოდ გადაავიწყა. არადა, ადრე თუ გვიან, იგი თავს აუცილებლად იჩენდა და... „იბერიის" ქომაგთათვის რომ მოგესმინათ: გუნდის მიერ სამი წაგებულიდან ორი მეკარეების სინდისზეაო, „გურიასთან" სათამაშოდ ქორიძე ლაბაძეს გამოიყვანს თუ ჩაჩუას, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, არც ერთი არ გვეიმედებაო...

ქორიძეს გურულებთან არც ლაბაძე დაუყენებია და არც ჩაჩუა. ბევრისთვის მოულოდნელად „იბერიას" კარს დარაჯად გუბაზ დოლიძე მოევლინა. მეკარე, რომელიც მართლაც რომ არ საჭიროებს წარდგენას. 29 წლის დოლიძისთვის „იბერია" ხომ მეშვიდე ჩვენებური კლუბია. გუბაზის დებიუტმა ახალ გუნდში, შეიძლება ითქვას, მშვიდად ჩაიარა. აბა, რა იქნებოდა?! 90 წუთის განმავლობაში გურულებმა მას მხოლოდ სამჯერ დაურტყეს, ერთხელ იყო, პირველ ტაიმში. დოლიძე კვეკვესკირის შორეულ დარტყმას ადგილზე დაუხვდა. მეორე ტაიმში სამტრედიელთა მეკარე მელაძის დარტყმის შემდეგ ძელმა იხსნა, მახარაძემ კი 11 მეტრიდან გაუტანა. სულ ეს იყო. „იბერიას" კარს მეტად არც დაუქრებიან. ეს დოლიძის ლანჩხუთელ კოლეგას ვარდანიძეს ეკითხა... მასპინძლებმა მას საწყის 20 წუთში თუ აცალეს. ამ მონაკვეთში ვასო გიგიაძემ, ჩომახიძემ და დარასელიამ მხოლოდ შორიდან ურტყეს, თანაც არაზუსტად. გურულთა მეკარემ პირველად 21-ე წუთზე გამოიჩინა თავი, როდესაც დარასელიას საჯარიმოდან ძლიერად და სახიფათოდ დარტყმული მოიგერია. ორ წუთში შეტევაში ჩართულმა ნიკოლეიშვილმა მარჯვენიდან კარგად ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, ბრეგვაძემ ახლოდან თავური შეაგება და ვარდანიძემ ამჯერადაც იმარჯვა. სამტრედიელებმა გურულთა საჯარიმოს ნამეტანი მოუხშირეს და როგორც იტყვიან, გოლი მოამწიფეს. ვასო გიგიაძემ გაზომილი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ხუჭუა და მანაც შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. პირველს სამ წუთში მეორეც მოჰყვა. ბრეგვაძემ საჯარიმოში ზუსტად გადასცა ვასო გიგიაძეს. მას ვერც მცველებმა შეუშალეს ხელი და ვერც მეკარემ: სამტრედიელმა მეტად მახვილი კუთხიდან მოახერხა კარში დარტყმა. „იბერია" ამით არ დაკმაყოფილდა. შესვენებამდე გამუდმებით უტევდა და ანგარიშის გაზრდაც არაერთხელ შეეძლო. მხოლოდ სამ ეპიზოდს გამოვყოფთ. 31-ე წუთზე ხუჭუას კარის ახლო ამაშუკელის ჩაწოდებულზე აუცდა ფეხი. ხუთ წუთში იმავე ხუჭუამ ასევე ახლოდან უკვე თავური ააცილა. არადა, ჩომახიძემ მას აშკარა საგოლე გადაცემა გაუკეთა. მერე იყო, გურულთა საჯარიმოში ღრმად შეჭრილმა ვასო გიგიაძემ უკან დარასელიას დაუგორა დასარტყმელად. ძუკუმაც გაისროლა, მაგრამ ბურთი ბუხრიკიძეს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

მეორე ტაიმში მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. მართალია, „იბერიამ" შედარებით უკლო ტემპს, მაგრამ სათამაშო უპირატესობა ძველებურად მისი იყო. ჩომახიძის გოლი სავსებით ლოგიკური გახლდათ. მარჯვენა ფლანგზე იოლად დაუსხლტა ჩიკვილაძეს, მერე შიგ საჯარიმოში ორ გასულ მცველსაც აჯობა და მორგებული დარტყმით ანგარიში გაასამა. სხვათა შორის, ჩომახიძე ამ მატჩშიც საუკეთესო იყო „იბერიის" შემადგენლობაში. 67-ე წუთზე მისი ჩაწოდებული გადაცემა ივეჩიანმა და ბაკურაძემ ვერ გამოიყენეს, ერთსაც აუცდა თავური და მეორესაც. თუმცა შეცვლაზე გამოსულმა სამტრედიელმა თავდამსხმელებმა მაინც ისახელეს თავი. მეოთხე ბურთი ლანჩხუთელთა კარში ბაკურაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ გავიდა. მართალია, ვარდნიძემ შეძლო მისი მოგერიება, მაგრამ ბურთი ახლოს დაუვარდა და ივეჩიანმაც ზუსტად დაამატა. სამი წუთით ადრე ქობესაშვილი საკუთარ საჯარიმოში მახარაძეს ეუხეშა და როგორც ვთქვით, დოლიძემ პენალტიდან გაუშვა. ისე, ლაცაბიძე რომ თამაშის დასაწყისში, მე-4 წუთზეც ასეთივე პრინციპული ყოფილიყო, ნიკოლეიშვილს მახარაძის წაქცევას არ აპატიებდა და მაშინაც 11-მეტრიანს დანიშნავდა (თამაშის შემდეგ სტუმრები მხოლოდ ამას ჩიოდნენ) და მაშინ... ვინ იცის, თამაში საით წავიდოდა... თუმცა შაბათს „იბერია" გურულებს აშკარად სჯობდა.

# ჭირსაც წაუღია ასეთი ფეხბურთი!

დასაწყისი პირველ გვერდზე

დავიწყოთ თავიდან. სტუმარმა ჯინჭარაძემ კარის მიმართულებით მართლაც სახიფათოდ გაჭრა ბურთი, იქვე მყოფმა ბალაშვილმა მომხვდურს ზურგი მიუშვირა და ბურთი მკლავზე მოხვდა. ეს ყველამ კარგად დაინახა, მაგრამ განზრახ ხელით თამაში რომ არ ყოფილა, ფაქტია.

მსაჯებმაც თავის გასამართლებლად ეს თქვეს. წესი ასეთია, პენალტი განზრახ ხელით თამაშისთვის ინიშნებაო.

მარლიშვილმა ბურთი რომ მიიღო, თავად თამაშგარეში არ იდგა (პირადად ასე მომეჩვენა), მაგრამ საპირისპირო მხარეს მასპინძელთა ერთ-ერთი ფეხბურთელი მცველებზე წინ იდგა. ამ დროს იტყვიან, პასიური ოფსაიდიაო. მიდი ახლა და ეძიე, იქცევდა თუ არა მასპინძელთა თავდამსხმელი ასლანაძის ყურადღებას.

მსაჯების აზრით, გოლი წესების სრული დაცვით გავიდა, მაგრამ ეჭვები რომ გაგვიჩინა, ამას რა ვუყოთ?

საბოლოო აზრს მაშინ მოგახსენებთ, როცა ფედერაციაში ვიდეოფირს ვნახავთ. იმედია, გარჩევას არ დავაკლდებით.

რაც შეეხება მესამე სადავო საკითხს, იქ გუნთაძე მართლა არ ტყუოდა, მცველს, თანაც ძლიერ დაბნეულს, თავისი მეკარისთვის პასი არ მიუწოდებია. სიჩქარეში ბურთს ჯერ ფეხი ააცილა, მერე კი აეჭრა.

რაც მოგახსენეთ, ეს მხოლოდ ჩემი აზრია და არავის ვახვევ თავს, თუმც ისევ ვიმეორებ, როცა ჩანაწერს ვიხილავთ და მხარეების კომენტარსაც დავურთავთ, მაშინ უფრო გადაჭრით ვიტყვით, რა როგორ იყო.

გუშინწინ ერთიც გვენიშნა ცუდად. ჩანს, ღრმავდება დაპირისპირება ქუთაისსა და თბილისს შორის. მსგავსი რამ ფოთშიც შეინიშნებოდა, ოღონდ იქ ქუთაისზე და „ტორპედოზეა" გართულება.

ვის რად უნდა ასეთი ფეხბურთი, ჭირსაც წაუღია, თუ ერთმანეთს დაგვახოცინებს, მაგრამ ერთიც სათქმელია — როცა კაცს ჰგონია, დამჩაგრეს, ობიექტურობა დაივიწყეს და შეგნებულად ეწევიან ანტიტორპედოულ კამპანიასო, ძნელია გადაარწმუნო. ეტყობა, მასაც აქვს რაღაც ხელჩასაჭიდი, ამას რომ ამბობს. კეთილი ვინებოთ და დავარწმუნოთ, რომ ცდება და ფეხბურთშიც ყველაფერი ხდება. თუ ეს ვერ შევძელით, ერთ მშვენიერ დღეს გამოუსწორებელი ტრაგედია დატრიალდება. გავარქარწყლოთ ეჭვები და მეტად ვენდოთ ერთმანეთს. ეს ფეხბურთელს, მწვრთნელს, მსაჯს, გულშემატკივარს, კლუბის პრეზიდენტსა და ჟურნალისტს ერთნაირად ეხება.



კახა კვეტენაძემ ერთადერთხელ მოიქნია და ბურთი კი გაიტანა

**მცხეთა**
**19 სექტემბერი**
**17 საათი**
**არმაზი**
**1 000 (ტევადობა 3 000)**

## ვიტ ჯორჯია 1:2 დილა

0:1, 0:2 კაიდარაშვილი (33, 69), 1:2 გ. გვაზავა (84)
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ქანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, აბაზაძე, ა. ბოკერია (თ. ბოკერია 27), პეტრიაშვილი 71), ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე (ზ. გვაზავა 58), ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, ენუქიძე, ვ. ქუთათელაძე
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, გაგნიძე, თაყაძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, მოსულიშვილი (ახალკაცი 87), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, ლ. გოჩაშვილი, გუდურაშვილი, სულთანიშვილი
**გაფრთხილება:** მუჯირი (63)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ა. ქარქაშაძე, მ. ელიკაშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

# დილაო, ჰოი დილაო!

**ვანო ოქროპირიძე** მცხეთიდან

მოსალოდნელი იყო და შეხვედრა დაძაბული გამოდგა. საბოლოოდ კი, გორელთა გამარჯვებით დასრულდა.

საწყისმა წუთებმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ სახიფათო მომენტი მხოლოდ ერთხელ, მე-10 წუთზე შეიქმნა. გორელები მეკარემ იხსნა, როცა პირისპირ გასულ გვაზავას წამით დაასწრო. სტუმრებმა თავიდან ვერ ააწყვეს თამაში და ხშირად ბურთის ცენტრამდე ამოტანაც უჭირდათ, დაახლოებით მეოცე წუთიდან კი გორიდან ჩამოყოლილი გულშემატკივრების ქომაგობით გამხნევებულებმა 15-წუთიანი შტურმი მოუწყვეს მასპინძლებს. კაიდარაშვილს, თაყაძეს, მოსულიშვილს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ჭურაძე მედგრად დაუხვდათ. ერთ ეპიზოდში ციცქიშვილმა კაიდარაშვილი მეკარესთან პირისპირაც გაიყვანა, თანამსაჯი შეცდა, ოფსაიდი არ დააფიქსირა. ალეკო ამას არ ელოდა, დაიბნა და რეალური შანსი გაუშვა ხელიდან. საერთოდ აღსანიშნავია არბიტრისა და თანამსაჯების შეუთანხმებელი მოქმედება. რამდენჯერმე მოხდა ისე, რომ თანამსაჯთა გადაწყვეტილება შილაკაძემ შეცვალა და მეორე გუნდს მიაწოდებინა აუტი. 32-ე წუთზე თბილისელები კიდევ ერთხელ შეცდნენ. მეკარესთან პირისპირ მეორედ გასულმა კაიდარაშვილმა ამჯერად აღარ აპატია შეცდომა მასპინძლებს და „დილა“ დააწინაურა. გოლის შემდეგ „ვიტ ჯორჯია“ გააქტიურდა, მაგრამ სახეირო ვერაფერი შექმნეს, რადგან ძირითადად ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას. ნახევარდაცვა თავდასხმას პასებით ვერ ამარაგებდა, რის გამოც გოჩაშვილსა და გვაზავას უკანდახევა უხდებოდათ.

ასევე გაგრძელდა მეორე ტაიმშიც. 55-ე წუთზე კაიდარაშვილი მესამედ დარჩა მეკარესთან პირისპირ, ამჯერად ჭურაძემ აჯობა. ამას მასპინძელთა სახიფათო შეტევა მოჰყვა, მაგრამ გრიგოლ გვაზავამ და გოჩაშვილმა ვერ გაუგეს ერთმანეთს. 70-ე წუთზე ციცქიშვილის ჩაწოდებული კვლავ კაიდარაშვილმა ახლოდან თავით კარში გადაგზავნა და ანგარიში გაზარდა — 2:0. კაიდარაშვილს ამის შემდეგ კიდევ ოთხჯერ შეეძლო გატანა — ერთხელ ხარიხა შეაზანზარა, ორჯერ მეკარემ აუღო, მატჩის ბოლო წუთზე კი იმდენი მოახერხა, კარის წინ მარტოდ დარჩენილმა ბურთი კარს ზემოთ გადააცილა. ამ დროს ანგარიში უკვე 2:1 იყო გორელთა სასარგებლოდ. „ვიტ ჯორჯიამ“ სხვაობის შემცირება 84-ე წუთზე შეძლო, გრიგოლ გვაზავამ ჩამოწოდებული შეუჩერებლივ გადაგზავნა კარში. 88-ეზე მასპინძლებს გათანაბრებაც შეეძლოთ, აბაზაძე — პეტრიაშვილი — გრიგოლ გვაზავას ჩინებული კომბინაცია ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. მერე კი კაიდარაშვილის ის მომენტი იყო, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

მატჩის მიწურულს „დილას“ ქომაგებმა გამარჯვების მოახლოება რომ იგრძნეს, „არმაზზე“ სიმღერა შემოსძახეს...



ბადრი ქართველიშვილის ფოტო

„დილას“ ალექსანდრე კაიდარაშვილის დუბლმა მოაგებინა

**ფოთი**
**19 სექტემბერი**
**17 საათი**
**ფაზისი**
**1000 (ტევადობა 6 000)**

## კოლხეთი 3:0 მერანი

1:0 გვასალია (60), 2:0, 3:0 წივწივაძე (67, 76)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, კალანდაძე (კრასოვსკი 85), ტორჩინავა, ახვლედიანი, პაპავა, ლალანიძე, დ. ნოზაძე (ბაჩილავა 80), სუხიაშვილი, გვასალია (შავგულიძე 86), წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუტიძე, გიორგობიანი, ჯლამაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, გ. კვეტენაძე (ბაჯელიძე 67), გელა ქორიძე, ცქიფურიშვილი, დავითაშვილი, ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ლომაია, ე. ალადაშვილი, ხარებავა, ივანიშვილი, ჩანადირი, გეწაძე
**გაფრთხილება:** ცქიფურიშვილი (16), დავითნიძე (36)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუხიშვილი (ყველა ქუთაისი); მ. ჯულაყიძე (სამტრედია)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. ანთიძე

**მამუკა კვანტალიანი** ფოთიდან

# ხეზე ცოცვა არ უსწავლებია

სერგო გაბელაია სოსო ფილიას წინააღმდეგ. არც ერთს სურდა შერცხვენა. ერთმანეთთან შესახვედრადაც მონდომებით ემზადებოდნენ. მათ მწვავე დუელს თავისი ობიექტური მიზეზიც გააჩნდა — ადრე გაბელაია ფილიას თანაშემწედ მუშაობდა „კოლხეთში“. მართალია, ერთმანეთს ბევრს ვერაფერს დაუმალავდნენ, მარგამ, ცხადია, თითოეული შეეცდებოდა, სიურპრიზი მოემზადებინა.

ტრანსპორტელთა თავკაცმა თითქოს კიდეც შეძლო კოლეგის განცვიფრება, მაგრამ შუა გზაზე გუნდის ფიზიკურმა მომზადებამ უღალატა.

პირველ ტაიმში სტუმრები მასპინძლებს თუ ვერ სჯობდნენ, არც არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. ხუციშვილმა კი სიმაგრეც შეუმოწმა ფაზისის სტადიონის კარის ძელს. ამ ბიჭმა მერეც საზრიანად და მწვავედ ითამაშა, მაგრამ თავდასხმაში მისი მეწყვილე დავითაშვილი შაბათს იშტაზე ვერ იყო და, ბუნებრივია, ხუციშვილიც მარტო ვერას გახდებოდა.

თავის მხრივ კოლხებსაც შეეძლოთ დაწინაურება. ჯერ სუხიაშვილმა გააცუდა თავური, მერე გვასალიას აულო მეკარემ ძნელი ბურთი, ხოლო ლაღანიძემ ხარიხა ააზანზარა.

პირველი ტაიმი თუ თანაბარ ბრძოლაში მიილია, მეორეში „კოლხეთი“ გაბატონდა. საწყის 20 წუთში სტუმრებს საკუთარი ნახევრიდან ფეხი არ მოუცვლიათ, კოლხთა შეტევებით გაბეზრებულები მოგერიებასღა ცდილობდნენ.

თანდათან დაბნეულობაც დაეტყოთ, განერვიულდნენ კიდეც და მეტად კურიოზული გოლიც გაუშვეს. საჯარიმოში დატრიალებული ბურთის მოგერიებისას დევიძემ გვასალიას დაუმიზნა. ბურთი თავდამსხმელს ფეხზე მოხვდა და კარში აღმოჩნდა. ნაჭყეპიას თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა.

კოლხებმა რომ სტუმრები გატეხეს, ამას მთლიანად ნოზაძეს უნდა უმადლოდნენ. დათო მეორე ტაიმში შეუჩერებელი შეიქნა. მინდვრის შუაგული დაიპყრო და მასპინძელთა შეტევებსაც უნარიანად წარმართავდა.

მეორედ და მესამედ წივწივაძემ გაიტანა, ორჯერვე მეკარესთან პირისპირ გასულმა შეძლო მისთვის ეჯობნა. პირველ შემთხვევაში ეს თავისუფლად მოახერხა, მეორედ თითქოს მეკარემ იმარჯვა, ნახტომში შესწვდა ბურთს, ძალა დააკარგვინა, მაგრამ თანამსაჯმა გარჯა წყალში ჩაუყარა. განმეორებით ნახტომამდე ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთაო.

„მერანმა“ მაინც გაიბრძოლა, ჯერ აბრეზას შეეძლო გატანა, მაგრამ ქვაჩახიამ ივაჟკაცა, მერეუც მეკარემ იბატონა მომხდურებზე, მესხის თავურიც გააუვნებელა და ხუციშვილის დარტყმაც.

„კოლხეთმა“, ეტყობა, კრიზისს თავი დააღწია და ნელ-ნელა ფორმაშიც შედის. ზღვისპირელთა ჩამოწერა რომ ნაადრევია, საკამათო არც უნდა იყოს.

ჩემპიონატში არც ავჭალელები იქნებიან ჯაბანნი. „მერანი“ საკმაოდ გამართულ ფეხბურთს თამაშობს და თუ ფიზმომზადებას მიხედეს, ბევრს დააჩოქებენ.

ბოლოს მსაჯებზეც ვთქვათ. ქუთაისურმა ბრიგადამ მატჩი ცუდად განსაჯაო, ვერ დავიჩემებთ, მაგრამ თუ უფრო შეთანხმებულად იმოქმედებენ, მათთვის უმჯობესი იქნება. ცოტა მეტი სიმკაცრეც არ აწყენდათ. ფეხბურთელი თუ გაგითამამდა და დაგიბრიყვა, წასულია შენი საქმე.

**ბათუმი**
**21 სექტემბერი**
**17 საათი**
**დინამო**
**2 000 (ტევადობა 18 000)**

## ბათუმი 6:1 სამგურალი

1:0 ტულუში (29პ), 2:0 მაჭუტაძე (40), 3:0 კანტიძე (52), 4:0, 5:0 ტულუში (55, 77), 5:1 ფაიქიძე (85), 6:1 მაჭუტაძე (90)
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, მინდაძე (აფხაზავა 30), სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი (ვერემჩუკი 60), მ. მახარაძე, ლლონტი, თორლაშვილი (რომანაძე 56), ტულუში, კანტიძე, მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* მალაყმაძე, გადელია, მაქაცარია, ყულეჯიშვილი
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, დარსაძე, დ. ჭელიძე, მ. ჯინჭარაძე (ძაგნიძე 69), ი. ხაჭაპურიძე, უგულავა, ჯავახაძე (ზ. ქუთათელაძე 46), თევდორაძე (ფაიქიძე 41), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი, ლონლაძე, ფილიპაშვილი
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი (21), თევზაძე (27)
**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** ბ. ქარქაშაძე

# ერთიღა დააკლდათ

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

ალბათ იკითხავთ — ვის რა დააკლდა ნეტავიო? რა დააკლდა და „ბათუმს“ ერთი გოლიღა დააკლდა, „სამგურალთან“ შარშანდელი საშინაო მატჩის შედეგი რომ გაემეორებინა. ვერ გეტყვით, ზღვისპირელებს სულ ეს ახსოვდათ და ამაზე ფიქრობდნენ-მეთქი, მაგრამ სტუმრებს კი ნამდვილად არ დავიწყებოდათ შარშანდელი კოშმარი და მათი გუშინდელი მიზანიც ასეთი სხვაობით არწაგება იყო უთუოდ. თუმცა რა გამოუვიდათ, თავად მიხვდებით.

„ბათუმი“ არც თუ შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ ნელ-ნელა გონს მოეგო და ზედიზედ მესამე მოგებაც მიითვალა, რითაც ცხრილის მეექვსე საფეხურზე აღმოჩნდა. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ დარსაძის შეგირდები ამ მატჩში ბევრ ვერაფერ ხეირს ნახავდნენ. ასეც მოხდა. უკვე მეხუთე წუთზე მაჭუტაძის სახიფათო თავური ოდნავ ასცდა სტუმართა ხარიხას. ხუთ წუთში კანტიძის საფირმო ცოცხალ კედელს გადავლებული საჯარიმო სტურუამ ეფექტურ ნახტომში უკუაგდო. მალე სტუმრებს უიშვიათესი ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ. პაპიძე შეცდა და ჯავახაძეს წინ გამოსული ტოგონიძისთვის უკეთ რომ დაერტყა, ანგარიშიც გაიხსნებოდა. პირველი გოლი კი 29-ე წუთზე გავიდა, როცა საჯარიმოში ჯერ ჭელიძემ მაჭუტაძე, ხოლო იქვე უგულავამ ჭიჭვეიშვილი მოცელა და პენალტის ნიშნულიდან ტულუშმა წყალტუბოელთა ტანჯვას დაუდო სათავე. მასპინძელთა დიდ უპირატესობას პირველ ტაიმში ერთი გოლიც მოჰყვა, როცა შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე მაჭუტაძემ იოლად ჩამოიცილა მეურვე და პენალტის ნიშნულის სიახლოვედან არცთუ აულებელი დაურტყა სტურუას.

მეორე ტაიმში კი თემურ ტულუშმა ჰეთ-თრიქი შეასრულა, სტუმართა პრესტიჟისას კი მაჭუტაძის მეორე გოლი მოჰყვა.

**ბოლნისი**
**19 სექტემბერი**
**17 საათი**
**თემურ სტეფანია**
**1500 (ტევადობა 3 000)**

## სიონი 0:1 არსენალი

0:1 მ. მაისურაძე (4)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მაზანაშვილი (ქობელაშვილი 77), მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, გოგოლაძე, ე. ჯაფარიძე, ჯაგიდისი, გაგუა (მოსეშვილი 46)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი, დ. სვანიძე, დ. ბერიძე, დ. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე
**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, ქიქავა, მ. მაისურაძე, ხოსროშვილი, ლომიძე, კორღალიძე (ლაცაბიძე 71), კაკაშვილი (ყოლბაია 72), ტარიელაშვილი (ზირაქიშვილი 87)
*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. სულაძე, ყუფარაძე, ამირიძე
**გაფრთხილება:** ხოსროშვილი (7), თ. სამხარაძე (8), გოგოლაძე (24), ყოლბაია (90)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი), ა. ორდენიძე (ონი); გ. მგელაძე (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

# არმიაც მოგვიძლიერდა

**პაატა კვანტალიანი** ბოლნისიდან

ფირუზ რეხვიაშვილის თავკაცობით „სიონმა“ ზედიზედ მეორედ წააგო და მდგომარეობაც გაიუარესა. მასპინძელთა მარცხი კანონზომიერი იყო.

„სიონმა“ როგორც იქნა, გადაჭრა მეორე მეკარის პრობლემა — „არსენალთან“ მატჩში მასპინძელთა კარს თემურ ვოლკოვი იცავდა. შეხვედრის დაწყება და ბოლნისელთა მეტოქის ნახევარზე გადასვლა ერთი იყო, მაგრამ „არსენალმა“ მშვიდად მოახერხა თამაშის ცენტრში გადატანა და მალე ჯარიმის უფლებაც მოიპოვა. გველესიანის ძლიერად დარტყმული რიკოშეტით ძელს მოხვდა, საჯარიმოში დაბრუნებულ ბურთს კი ყველაზე ადრე მაისურაძემ მიუსწრო და კიდეც გაიტანა.

ეს მატჩის მეოთხე წუთზე მოხდა და მასპინძლებს საკმაო დრო ჰქონდათ, თამაშში გარდატეხა შეეტანათ. ბოლნისელები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ „არსენალი“ ყრუ დაცვაში არ ჩამჯდარა, პირიქით, გააზრებულად ამოქმედდა. ფირცხალავას და გველესიანის წყალობით სტუმართა დაცვის ხაზი საიმედოდ შეიკრა, ნახევარდაცვაში კი მშვენივრად მოქმედებდა მუხრან მაისურაძე.

პირველ ნახევარში ჩლაიძის კართან ჩაწოდებული ზედიზედ სამი კუთხურია აღსანიშნავი. სამივე შემთხვევაში საგოლე პოზიციაში დარჩა მასპინძელი გოგოლაძე. ორ შემთხვევაში მისი დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს, ხოლო ერთხელ არმიელმა მეკარემ ივარგა.

„სიონი“ მეორე ნახევარშიც უტევდა, ოღონდ მეტოქის კართან არაფერი შეუქმნია. მარტივ, ერთფეროვან სათამაშო სტილს (ყველა გადაცემა ჯაგიდისის მისამართით კეთდებოდა) მეტოქემ ადვილად აუღო ალღო და თავად უფრო რეალური საგოლე მომენტები შექმნა. შეცვლაზე შესულ ყოლბაიას ანგარიშის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა.

ცოტა რამ მსაჯებზეც ვთქვათ. მატჩის მთავარი არბიტრი სოსო კახიანი განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით ნამდვილად არ დაბრუნდებოდა თბილისში. ბოლნისელ გულშემატკივრებს მთელი თამაშის განმავლობაში „ყურადღება არ მოუკლიათ“ მისთვის. არადა, იმ დღეს კახიანი მათი საგინებელი ნამდვილად არ იყო. მისი შეცდომები ხშირ შემთხვევაში მასპინძელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. მას მხარი თანამსაჯმა, ლავრენტი რაზმაძემაც აუბა და ასე შეწყობილებმა კინაღამ წყალში ჩაუყარეს სტუმრებს ნალვაწი.

ისე, მსაჯებს თავის მართლების არცთუ უსაფუძვლო მიზეზი აქვთ — მათ შეცდომებს ხშირად ქომაგთა ქცევა განსაზღვრავდა. ისინი ბოლნისში მსაჯობდნენ.

**ზუგდიდი**
**20 სექტემბერი**
**17 საათი**
**ცენტრალური**
**1 500 (ტევადობა 7 500)**

## ოდიში 0:4 დინამო

0:1 აშვეთია (44), 0:2 ცქიტიშვილი (74), 0:3 აშვეთია (79), 0:4 შენგელია (88)
**ოდიში:** ნაყოფია, ლურწკაია, პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კ. კვეკვესკირი (აკობია 85), ჩადუნელი (თოლორაია 79), ბარქაია, კუტალია (მარკოზია 69), თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, იოსავა, ტაბალუა
**დინამო:** გვარამაძე, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, გუჩუა, კიკნაძე, დ. მუჯირი, ალექსიძე, ცქიტიშვილი (ა. სახვაძე 85), აშვეთია (გ. შენგელია 84), ლ. მელქაძე (კვარაცხელია 69)
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, ბ. შენგელია, ი. მახარაძე
**გაფრთხილება:** ტყემალაძე (10), კიპაროიძე (18), გუჩუა (33), ჩადუნელი (38), ლურწკაია (88)
**გაძევება:** გუჩუა (62)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი), კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი), ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

# ის ისევ უსტვენს!

**თენგიზ ძოჩუა** ზუგდიდიდან

შეხვედრის დაწყებისთანავე ნათელი შეიქმნა, რომ მიუხედავად კლასში დიდი განსხვავებისა „ოდიში“ უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებდა და თამაში საინტერესო სანახავი იქნებოდა. მაგრამ... „დინამოს“ მსაჯთა დაუხმარებლადაც იოლად შეუძლია გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ეტყობა სფფ-ს წარგზავნილები ერიდებიან საქართველოს პირველი გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტს და ხანდახან ისეთ გადაწყვეტილებას იღებენ, კაცი იფიქრებს, ეს გულშემატკივართა გასაღიზიანებლად და უწესრიგობის შესაქმნელად კეთდებაო.

ეს შეხვედრაც მშვიდად და ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაივლიდა და ძლიერი მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ფანიაშვილმა იმდენი ქნა, რომ მის „საგმირო საქმეებზე“ ბევრის დაწერა შეიძლება. მან ჯერ ყვითელი ბარათები ისე ჩამოურიგა ფეხბურთელებს, რომ ზოგმა ახლაც არ იცის რისთვის, აშკარა სახიფათო თამაშზე კი თვალს ხუჭავდა. ტაიმის დასასრულს დანიშნული გაუგებარი ჯარიმა კი საბედისწერო გამოდგა მასპინძელთათვის. საჯარიმოს კუთხიდან ცქიტიშვილის ჩაწოდებული ბურთი აშვეთიამ თავურით კარში გადაგზავნა.

მთელი პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ორივე გუნდი ცდილობდა სახიფათოდ შეეტია, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ერთადერთხელ, საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილი ენდელაძის და გუჩუას დუელი პირველის წაქცევით დასრულდა, მაგრამ მსაჯმა დარღვევა არ დააფიქსირა. რამდენჯერმე მუჯირმა სცადა შორიდან ბედი, მაგრამ...

თამაშის განახლებისთანავე „ოდიშმა“ სახიფათოდ შეუტია. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას მოპოვებული საჯარიმო დარტყმით თოლორდავას შეეძლო ანგარიში გაეთანაბრებინა, მაგრამ მისმა ძლიერად გასროლილმა ძელს ჩაუქროლა.

გუჩუამ არც ამ მატჩში უღალატა ტრადიციას და მსაჯისგან რამდენიმე სიტყვიერ გაფრთხილებასთან ერთად ჯერ ყვითელი, შემდეგ კი წითელი ბარათი დაიმსახურა. ბოლო გაფრთხილება მან ისევ ენდელაძესთან ბრძოლისას მიიღო, პირისპირ გასული უკნიდან მოცელა.

„ოდიშმა“ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება სცადა და კვლავ შეუტია. მარჯვენა ფლანგიდან ლურწკაიას ჩაწოდებული ბურთი ჩადუნელმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ძლიერად დაარტყა. გვარამაძე მედგრად დაუხვდა.

ეს იყო და ეს. „ოდიშმა“ მეტი ველარ გაძლო. ამის მერე უპირატესობა მთლიანად სტუმართა მხარეს გადავიდა. მეორე გოლი კი სრულიად უწყინარ სიტუაციაში გავიდა. დაახლოებით 30 მეტრიდან ცქიტიშვილის დარტყმული ნაყოფიამ უხერხულად მოიგერია, მისი განმეორებითი ნახტომი კი დაგვიანებული იყო.

# წყვილი გოლების დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

VI ტური

### არსენალი 3:0 მანჩესტერი

1:0 ადამსი (13), 2:0 ანელკა (44), 3:0 ლიუნგბერგი (84)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა (ლუნგბერგი 79), ბერხკამპი, ოვერმარსი, კეონი, პარლოუ, ჰიუზი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბექემი, ბატი, გიგზი, ბლომკვისტი, კინი, იორკი, ბერგი
გაფრთხილება: კინი
გაძევება: ბატი (51)
მსაჯი: ბარბერი

### დერბი 2:0 ლესტერი

1:0 შნური (34), 2:0 ვანშოპე (51)
დერბი: ჰოულტი, შნური, პაუელი, შტიმაცი (ელიოტი 49), სტარიჯი (ბარპერი 81), ვანშოპე, დელაპი, ბოჰინენი, ლაურსენი, პრიორი, კერსლი
ლესტერი: კელერი, სინკლერი, იზეტი, ლენონი, ჰესკი, დაპი, სევიჯი (პარკერი 55), კამარკი, კემპბელი, ელიოტი, კოტი (უილსონი 69)
გაფრთხილება: კერსლი, შნური, ჰოულტი, ელიოტი, სინკლერი
მსაჯი: პოლი

### ლიდსი 0:0 ასტონ ვილა

ლიდსი: მარტინი, რადებე, ჰასელბაინკი, რიბეირო (ჰაალანდი 76), ბოუიერი, ჰოპკინი, ჰალე, კიუელი (შარპი 76), ჰეირტი, ჰიდენი, მოლენარი
ასტონ ვილა: ბოსნიჩი, ჩარლზი (გრეისონი 83), რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, მერსონი, ტომსონი (დრაპერი 61), ჯოაკიმი, ბერი, ჰენდრი
გაფრთხილება: ტეილორი, რაიტი
მსაჯი: ვინტერი

### ლივერპული 3:3 ჩარლტონი

0:1 რუფუსი (24), 1:1 ფაულერი (33პ), 1:2 მენდონკა (61), 2:2 ბერგერი (67), 3:2 ფაულერი (82), 3:3 ს. ჯონსი (83)
ლივერპული: ფრიდელი, სტაუნტონი (მატეო 64), ბები, მაკმანამანი, ფაულერი, ოუენი, რედნაპი, ჰარკნესი (მაკატირი 61), ჰეგემი (ტომსონი 85), ბერგერი, კარაგერი
ჩარლტონი: ილიჩი, მილსი, პაუელი, რედფერნი, რუფუსი, იუდსი, ნიუტონი, კინსელა (კ. ჯონსი 74), ჰანტი (ს. ჯონსი 77), მენდონკა, რობინსონი
გაფრთხილება: კარაგერი, რედფერნი, მილსი
მსაჯი: ელკოკი

### ბლექბერნი 3:4 ჩელსი

0:1 ძოლა, 1:1 სატონი (22), 1:2 ლებეფი (51პ), 2:2 პერესი (57), 3:2 სატონი (79პ), 3:3, 3:4 ტ.ა. ფლო (82, 86)
ბლექბარნი: ფლაუერსი, დავიდსონი, შერვუდი, პიკოკი, ეჩოსი, ფლიტკროფტი, სატონი, უილკოკსი (მაკინლი 78), დალინი, პერესი, დეილი
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი, კაზირაგი (ტ.ა. ფლო 78), უაიზი (დი მატეო 54), დაბერი, ლე სო, ფერერი, ძოლა (ლაუდრუპი 70)
გაფრთხილება: ფლიტკროფტი, პერესი, სატონი, დაბერი, ლებეფი
გაძევება: პერესი (67), ლე სო (67)
მსაჯი: ჯონსი

### ნოტინგემი 0:0 ვესტ ჰემი

ნოტინგემი: ბისანტი, როჯერსი, ქუეში, ჩეტლი, სტოუნი, ჯონსონი, არმსტრონგი, ბონალაირი, დარშევილი (გრეი 82), ლიტლი (ლუი ჟანი 30), ჰერვუდი (ფრიდმანი 72)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პოტსი, ფერდინანდი, პირსი, იმპეი, ლამპარდი, სინკლერი, აბუ (ომოიმნი 79), ბერკოვიჩი, კელერი, რაიტი
გაფრთხილება: ლიტლი, ჩეტლი, არმსტრონგი, ჰერვუდი, იმპეი, პირსი, ფერდინანდი
მსაჯი: რიდი

### საუთჰემპტონი 1:1 ტოტენჰემი

0:1 ფოქსი (25), 1:1 ლე ტისიე (64)
საუთჰემპტონი: ჯონსი, უორნერი (ლუნდეკვამი 53), ბენალი, ჰოუელსი (ბიტი 53), პალმერი, დოდი, ბრიჯი, გიბენსი, ჰიუზი, ოსტენსტადი, ლე ტისიე
ტოტენჰემი: სეგერსი, კარი, ტრამეზანი, კოლდერვუდი, კემპბელი, ბერტი (დომინგესი 74), ვეგა, ჟინოლა, ფოქსი, ფერდინანდი, კლემენსი
გაფრთხილება: ბენალი, კოლდერვუდი, ტრამეზანი

### უიმბლდონი 2:1 შეფილდი

1:0, 2:0 იუელი (1, 50), 2:1 დი კანიო (84)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგჰემი, კიმბლი, პერი, ტეტჩერი, ერლი (ჯაპი 90), რობერტსი, გეილი (ეკოკუ 72), ლიბერნი (კორტი 90), ჰიუზი, იუელი
შეფილდი: პრესმენი, ათერტონი, იონკი, ნიუსამი, უოლკერი, კარბონე, ბუთი, ბრისკო (მაგილტონი 79), ჰინჩკლიფი, ტომი, ქუინი (დი კანიო 46)
მსაჯი: ბერი

### ქოვენთრი 1:5 ნიუკასლი

1:0 ვილანი (4), 1:1 დაბიზასი (14), 1:2 შირერი (42), 1:3 სპიდი (43), 1:4 გლასი (58), 1:5 შირერი (90)
ქოვენთრი: ჰედმანი, ბაროუსი, ედუორთი, ბრინი, ვოლემი, ვილანი, ბოტენგი, ჰოლი (შილტონი 62), ქუინი, დაბლინი, ჰაუორტი
ნიუკასლი: გივენი, პირსი, შარვე, უოტსონი, დაბიზასი, ლი, გლასი, გილესპი (ბარტონი 71), სოლანო (სპიდი 20), გივარში (დალგლიში 87), შირერი
გაფრთხილება: დაბლინი, ვალემი
მსაჯი: ჰარისი

### მიდლსბრო 2:2 ევერტონი

1:0, 2:0 რიკარდი (27, 35), 2:1 ბოლი (47პ), 2:2 კოლინზი (48)
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, ვიკერსი, ფესტა, ალისტერი, მუსტო, გესქოინი, ბეკი, თაუნსენდი, რიკარდი, კუპერი
ევერტონი: მირე, კლელანდი, ბოლი, დაკურტი, უოტსონი, ანსუორსი, კოლინზი, ბარმბი, ფერგიუსონი, ჰაჩისონი (კადამარტერი 46), მატერაზი
გაფრთხილება: ფესტა, გესქოინი, ვიკერსი, დაკურტი, ჰაჩისონი, ბოლი
მსაჯი: გალაჰერი

ასეა, პრემიერლიგაში, როგორც იქნა გამოჩნდა გუნდი, რომელიც, სადაც დაიჭერს, იქ ამარცხებს „მანჩესტერ იუნაიტედს“. ალისფერთა სილაღე, ფეხბურთი ფეხბურთისათვის, და რა დასამალია კოხტაპრუწობა, სალიგო თამაშებში უკვე ზედიზედ მესამედ ასკდება კედელს სახელით „არსენალი“.

ასკდება და პირწმინდად მარცხდება. ასე იყო ამ კვირასაც „ჰაიბერის“ ძველ მინდორზე, „არსენალმა“ 3:0 მოუგო „იუნაიტედს“. ასევე დაამარცხეს მეთოფეებმა ჩრდილოელები აგვისტოს თვეში, „ჩარითი შილდის“ — იქაური სუპერთასის მატჩში და მოკლედ რომ ვთქვათ, ამ გუნდების ბოლო სამ შეხვედრაში „იუნაიტედს“ არცერთხელ არ გაუტანია ბურთი მოწინააღმდეგის კარში და საკუთარში კი შვიდი მიიღო.

გასული შაბათის შეხვედრის გამო, ნიშანდობლივია მანჩესტერელთა მენეჯერის ალექს ფერგიუსონის სიტყვები: „ისინი ყველა ბურთზე გვასწრებდნენ“.

ეს გოლებშიც გამოიხატა — ჯერ იყო და 13-ე წუთზე მეთოფეთა კაპიტანმა ტონი ადამსმა საჰაერო ბრძოლა მოუგო იაპ ტამს და ანგარიში გახსნა. მერე იყო და ტაიმის მიწურულს ნიკოლას ანელკამ თავისივე დარტყმულ და შმაიხელის მოგერიებულ ბურთს თავადვე მიუსწრო. 51-ე წუთზე კი ნიკი ბათი გააძევეს იმავ ანელკას მოცელვისათვის, ფრანგი ერთი-ერთზე რჩებოდა მეკარესთან.

„ჩვენ შანსი არ გვქონდა. ისინი ანთებულნი იყვნენ და ყველაფერში გვჯობდნენ. ფეხბურთელი გრძნობს, რომ მისი საქმე წაგებულია“, — თქვა ფერგიუსონმა. „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი კი პიქით, ძალიან კმაყოფილი იყო. არც გასაკვირა, ზედიზედ ოთხი სალიგო ფრეს შემდეგ, მეთოფეებმა მთავარი მეტოქე დაამარცხეს. ინგლისური პრესის სიტყვით, „არსენალმა“ ხმალზე წამოაგო „იუნაიტედი“.

მეთოფეებმა მართლაც იმგვარად გაილაღეს, რომ მესამე გოლი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობმა, ახალბედა შვედმა ფრედრიკ ლუნგბერგმა შეაგდო.

არადა, „არსენალმა“ უხმაუროდ დაიწყო ჩემპიონატი. ხმაური მხოლოდ ზედიზედმა ფრეებმა გამოიწვია. მაგრამ მეთოფეებს ჯერაც არ წაუგიათ, ცხრილში მეხუთე ადგილზე არიან და ლიდერ „ასტონ ვილას“ ოთხი ქულით ჩამორჩებიან.

იმ საღამოს კი „ჰაიბერზე“ მთელმა გუნდმა საუცხოოდ ითამაშა. მართალია მასპინძლებს ემანუილ პეტი აკლდათ, მაგრამ სტივენ ჰიუზმა, საუცხოო ფორმაში მყოფმა ოვერმარსმა და თვით ცრუ ანგელოზმა, დენის ბერხკამპა მეტოქის დაცვა დატანჯეს. რაიან გიგზი და დუაიტ იორკი საიმედოდ ამოეკეტათ, ბექემმა კი ერთხელ შეაზანზარა ძელი 25 მეტრიდან დარტყმული ბურთით და ეგ იყო. ისე კი საინტერესოა, რატომ გადაიხადა „იუნაიტედმა“ 18 მილიონი დოლარი იაპ სტამში?

„არსენალს“ ამ მხრივაც იღბალი ეტყობა — ფრედერიკ ლუნგბერგი წინა კვირას გადმობარგდა „ჰაიბერზე“ „ჰალმსტადიდან“, მასში მხოლოდ 5 მილიონი გადაიხადეს და ამ თანხის ამოგება უკვე დაიწყო.

ამ უქმეებზე გვარიანი ოფლი ღვარა ლიდერმა „ასტონ ვილამაც“, რომელსაც ლიდსის „ელანდ როუდზე“ მკაცრი გამოცდა მოუწყო მენეჯერ ჯორჯ გრემის გუნდმა. მასპინძლებმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკისა დაიან ჰეირტის უიღბლობის წყალობით ვერ გახსნეს ანგარიში, სტუმართაგან კი იან ტეილორსა და ჯულიან ჯოაკიმს გაუმრუდდათ ფეხები. გოლი არ გასულა, „ვილა“კი ლიდერად დარჩა.

თავისი ძველინგლისური მოულოდნელობით კვლავ გაიბრწყინა „ჩარლტონმა“ და ლივერპულშივე გაუთანაბრა ანგარიში „ენფილდის“ სახელოვან პატრონებს.

შვიდი თვე იყო რობი ფაულერს სალიგო თამაში არ ჩაეტარებინა და ახლა დუბლით აღნიშნა გამოჯანმრთელება, მაგრამ მისი ორი გოლი (პირველი მაიკლ ოუენის წაქცევისათვის დანიშნული პენალტით) მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი. თანაც ანგარიში ჩარლტონელმა რიჩარდ რუფუსმა გახსნა. ფაულერმა გაათანაბრა და ამის შემდეგ „ლივერპული“ ორჯერ იგებდა, მაგრამ კლაივ მენდონკამ და მისმა ამხანაგებმა ორჯერვე გაათანაბრეს. საბოლოოდ კი 3:3 და „ლივერპული“ ცხრილის მეორე საფეხურიდან მესამემდე ჩამოქვეითდა.

მეორეზე კი აღზევდა „დერბი“ — დიდი, პატარათა შორის, რომლის საუცხოო კოსტარიკელმა პაულო ვანშოპემ კვლავ გაიტანა. „დერბიმ“ თავისი მიდლენდელი მოწინააღმდეგე „ლესტერი“ დაჯაბნა — 2:0.

ეს ტური ისეთი გამოდგა, რომ მაჩანჩალათაგან ბევრი არ გამწარებულა. „საუთჰემპტონმა“ შეჯიბრში პირველი ქულა ჩაიწერა „ტოტენჰემთან“ მატჩში და მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ ჰყავს მშვენება და სიამაყე, მეტ ლე ტისიე, რომელმაც 64-ე წუთზე უპასუხა სტუმარ რუელ ფოქსის 25-ე წუთზე გატანილ გოლს.

„უიმბლდონელმა“ ჯეისონ იუელმა ორივე ტაიმის დასაწყისში გაუტანა თითო ბურთი „შეფილდ უენსდეის“ და მისმა გუნდმაც ამიტომ მოიგო 2:1. პაოლო დი კანიოს გვიანმა გოლმა ალარაფერი შეცვალა.



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — მანჩესტერი. იააპ სტამმა (მარჯვნივ) ამჯერად კი აჯობა ნიკოლას ანელკას, მაგრამ ლონდონელმა მოგვიანებით მაინც გაიტანა

„მიდლსბრო“ შინ 2:0 უგებდა „ევერტონს“, კოლუმბიელი ამილტონ რიკარდის წყვილი გოლის წყალობით, მაგრამ მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე პენალტის ნიშნულიდან მიიღო ბურთი კარში, შემდეგ კი ათასი მინდორის მნახველმა ჯონ კოლინზმა დაარტყა ზუსტად — 2:2.

„ნოტინგემმა“ ნულოვანი ფრე იშოვა საკუთარ მოედანზე მხცოვანი მეკარის დეივ ბისანტის წყალობით. მისი მეტოქე „ვესტ ჰემი“ კი დაეჩვია ამ სეზონში უგოლოდ ნაშოვნ ქულებს, მაგრამ ამჯერად აშკარად მოგება გადაეწყვიტა და იან რაიტიც ბევრს ეცადა, თუმცა ბისანტს იმ საღამოს უშველებელი კლიტე დაედო კარზე.

თუკი ვინმე წახდა ამ ტურში, რა თქმა უნდა, „ქოვენთრი“.

გორდონ სტრაჩანის გუნდი შინ შეეჯახა რუდ გულიტის გუნდს, რომელმაც ბოლო ორ ტურში ცხრა გოლი გაიტანა და ზედიზედ გაადინა ბოლი მაჩანჩალებს. „სექსი-ფეხბურთის“ მამამთავარმა საჯორდეთში საქმის აწყობა დაიწყო და შედეგიც სახეზეა — „ნიუკასლმა“ 5:1 მოიგო, ალან შირერმა კი კვლავ ორი ბურთი შეაგდო. ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ ანგარიში „ქოვენთრელმა“ ნოელ ვილანმა გახსნა. შირერმა კი ევროთასის მატჩის ჩათვლით, ბოლო კვირის სამ შეხვედრაში ხუთი ბურთი შეაგდო.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 5 |
| მენდონკა (ჩარლტონი) | 5 |

### VI ტური

24 სექტემბერი
მანჩესტერი - ლივერპული
26 სექტემბერი
ასტონ ვილა - დერბი
ჩარლტონი - ქოვენთრი
ჩელსი - მიდლსბრო
ევერტონი - ბლექბერნი
შეფილდი - არსენალი
ნიუკასლი - ნოტინგემი
ტოტენჰემი - ლიდსი
27 სექტემბერი
ლესტერი - უიმბლდონი
28 სექტემბერი
ვესტ ჰემი - საუთჰემპტონი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ასტონ ვილა | 6 | 4 | 2 | 0 | 7:1 | +6 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | +5 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | +1 | 5 |
| 2 | დერბი | 6 | 3 | 3 | 0 | 7:3 | +4 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | +1 | 5 |
| 3 | ლივერპული | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | +5 | 11 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | +2 | 5 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | +3 | 6 |
| 4 | უიმბლდონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:8 | +2 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | +3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 4 |
| 5 | არსენალი | 6 | 2 | 4 | 0 | 6:2 | +4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | +4 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 6 | ლიდსი | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | +4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | +4 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 7 | მიდლსბრო | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | +2 | 9 | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | +2 | 6 |
| 8 | ვესტ ჰემი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:5 | +1 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | +1 | 5 |
| 9 | ნიუკასლი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:7 | +4 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | +1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | +3 | 4 |
| 10 | მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | +2 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | +5 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 11 | ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | +1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | +1 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 12 | ნოტინგემი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 13 | ტოტენჰემი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 |
| 14 | შეფილდი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:5 | +2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | +1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | +1 | 3 |
| 15 | ჩარლტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 10:9 | +1 | 6 | 3 | 1 | 0 | 1 | 6:2 | +4 | 3 | 3 | 0 | 3 | 1 | 4:7 | -3 | 3 |
| 16 | ევერტონი | 6 | 1 | 3 | 2 | 4:5 | -1 | 6 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 17 | ლესტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | +1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 18 | ბლექბერნი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 19 | ქოვენთრი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:11 | -8 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 20 | საუთჰემპტონი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:17 | -14 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:12 | -12 | 0 |

## პირველი დივიზიონი

XI ტური

### ვესტ ბრომვიჩი 0:2 ბრედფორდი
0:1, 0:2 მილსი (4, 16)

### ბარნსლი 4:0 კრისტალ პალასი
1:0, 2:0 უორდი (7, 17), 3:0 მაკლეირი (61), 4:0 ფიორტოფტი (71)

### ბირმინგემი 0:1 გრიმსბი
0:1 დ. სმიტი (50)

### ბერი 0:0 ტრანმერი

### ქრიუ 4:4 ბოლტონი
1:0 ლიტლი (13), 1:1 გუნლაუგსონი (23), 2:1 ჩარნოკი (32), 2:2 ტეილორი (37), 2:3 გუნლაუგსონი (44), 2:4 ფრანდსენი (50), 3:4 რივერსი (72), 4:4 სმიტი (80პ)

### ჰადერსფილდი 2:1 ვულვზი
1:0 დალტონი (19), 1:1 კინი (90), 2:1 ტორნლი (90)

### იფსვიჩი 3:1 ბრისტოლი
1:0 ჯონსონი (13), 2:0 სკოუკროფტი (33), 2:1 აკინბიი (88), 3:1 ჯონსონი (90)

### პორტ ვეილი 0:2 პორტსმუთი
0:1 ალოიზი (52), 0:2 დურნინი (89)

### ქუინზ პარკი 2:0 სტოკპორტი
1:0, 2:0 გალენი (70, 77)

### შეფილდ იუნ. 2:1 ნორვიჩი
1:0 მარსელო (27), 1:1 ბრენანი (63), 2:1 მარსელო (72)

### სანდერლენდი 7:0 ოქსფორდი
1:0 ბრიჯესი (3), 2:0 გრეი (6), 3:0 დიკიო (35 პ), 4:0 რაე (53), 5:0 ბრიჯესი (55), 6:0 დიკიო (66), 7:0 რაე (82)

### სვინდონი 1:4 უოტფორდი
1:0 ნდაჰ (29), 1:1 სმარტი (37), 1:2 რაიტი (44), 1:3 ჰაზანი (50), 1:4 სმარტი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:10 | 19 |
| სანდერლენდი | 8 | 5 | 3 | 0 | 22:4 | 18 |
| ბირმინგემი | 9 | 5 | 1 | 3 | 12:7 | 16 |
| ბერი | 9 | 4 | 4 | 1 | 7:2 | 16 |
| უოტფორდი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:12 | 15 |
| შეფილდ იუნ. | 9 | 4 | 2 | 3 | 15:16 | 14 |
| ვულვზი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 14 |
| ბოლტონი | 7 | 3 | 4 | 0 | 18:13 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 8 | 4 | 1 | 3 | 17:14 | 13 |
| იფსვიჩი | 8 | 3 | 4 | 1 | 12:6 | 13 |
| ნორვიჩი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| პორტსმუთი | 9 | 3 | 3 | 3 | 16:13 | 12 |
| ბარნსლი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:10 | 12 |
| გრიმსბი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:10 | 11 |
| სტოკპორტი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:12 | 10 |
| სვინდონი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:20 | 8 |
| ქრიუ | 8 | 2 | 2 | 4 | 12:14 | 8 |
| ბრედფორდი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| კრ. პალასი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | 8 |
| პორტ ვეილი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:14 | 7 |
| ოქსფორდი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:21 | 6 |
| ქპრ | 8 | 1 | 3 | 4 | 6:11 | 6 |
| ბრისტოლი | 9 | 0 | 4 | 5 | 11:20 | 4 |
| ტრანმერი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:12 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტრისას ორი ქართველი

## გერმანია

### V ტური

**ჰანზა 0:2 ფრაიბურგი**

0:1 სელიმი (83), 0:2 იაშვილი (90)
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ცალმანი, რამდანე, იასერი (მაიაკი 59), განსაუგე (ფოქსი 84), ბრაიტკროიცი (აგალი 72), ჰოლეჩეკი, ნოიველი, პამიჩი
ფრაიბურგი: გოლცი, დიარა, კორელი, შ. მიულერი, კოლი, ბაია, გიუნესი (ჰერმელი 76), კობიაშვილი, პავლინი, სელიმი (მუმანი 88), იაშვილი
გაფრთხილება: პამიჩი, კორელი
მსაჯი: ფლაიშერი

**ჰერტა 3:1 აინტრახტი**

0:1 იანგ ჩენი (13), 1:1, 2:1 პრეეტცი (27, 55), 3:1 ჩამი (81)
ჰერტა: კირალი, ჰ. ჰერცოგი, რეკდალი, ტომი (კოვიჩი 87), ვაიტი, ვოში, დარდაი, ტრეჩოკი, მანდრეკო, ჩამი (როი 82), პრეეტცი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ხუბჩევი, კაიმაკი, კუჩერა, ბრინკმანი (გებჰარდტი 58), შური, სობოჩიკი, ვებერი, ბ. შნაიდერი, პისონტი (ეპი 72), იანგ ჩენი (ვესტერჰალერი 76)
გაძევება: სობოჩიკი (63)
გაფრთხილება: ტომი, გებჰარტი
მსაჯი: ცერი

**ვოლფსბურგი 2:4 ვერდერი**

0:1 ფრაი (23), 0:2 ბოდე (26), 0:3 ბოგდანოვიჩი (30), 1:3 ბაუმგარდტი (48), 2:3 აკონორი (63), 2:4 ბოდე
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, კოვაჩევიჩი (დამაიერი 35), კრიგერი, გრაინერი, ნოვაკი, რეინა, კაპეტანოვიჩი (ბრაიტენრაიტერი 80), აკონორი (ნაგორნი 83), ბაუმგარტი, იუსკოვიაკი
ვერდერი: როსტი, ტრარესი, ვოიტალა, ვიდნერი, როემბიაკი, ვიკი, აილტსი, ფრაი, სკრიპნიკი, ბოგდანოვიჩი (ზაიდელი 52, ბლოკი 74), ბოდე
გაფრთხილება: ონილი, ფრაი
გაძევება: ფრაი (90)
მსაჯი: ვაკი

**ლევერკუზენი 3:1 დორტმუნდი**

1:0 ნ. კოვაჩი (34), 2:0 ფაიერზინგერი (48ს.კ.), 3:0 მაიერი (56), 3:1 მიოლერი (75)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჰაპე, ნ. კოვაჩი, ემერსონი (ჟივკოვიჩი 77), რამელო, ბაინლიხი, ზე რობერტო, კირსტენი (მეიერი 6, ჰაინცე 87), რინკი
დორტმუნდი: კლოსი, ფაიერზინგერი, კოლერი, ნიეგუსი, რიკენი (დედე 69), კ. ბაუმანი, ა. მიოლერი, ჰენგენი, რაინჰარდტი (შაპუიზა 46), ჰერლიხი (ვ. ბუტი 58), სალუ
გაფრთხილება: ნ. კოვაჩი, ბაუმანი, ნიეგუსი
მსაჯი: იანსენი

**ბოხუმი 1:2 შალკე**

1:0 კრახტი (46), 1:1, 1:2 აიკელკამპი (52, 71)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, კრახტი, სუნდერმანი, ვალდოხი, ტოპლაკი, ფარენჰორსტი, ბასტურკი (ბენზენი 69), გაუდინიო, ნ. ჰოფმანი, ბუკლი, ჯაფიჩი (გიულიუნოღლუ 46)
შალკე: შობერი, ა. მიულერი, აიგენრაუხი, დე კოკი, ჰელდი, კმეჩი, ნემეცი (ტაპალოვიჩი 88), ვან კერკჰოვენი, ბუსკენსი, აიკელკამპი (მაქსი 76, ლატალი 84), მულდერი
გაფრთხილება: გიულიუნოღლუ, სუნდერმანი, ჰელდი, ვან კერკჰოვენი
გაძევება: მულდერი (7), გაუდინიო (34)
მსაჯი: ალბრეხტი

**ნიურნბერგი 1:1 ლაუტერნი**

1:0 კუკა (43), 1:1 მარშალი (85)
ნიურნბერგი: ჰილფიკერი, ფ. ბაუმანი, ტოიბერი (გრასერი 67), რიხტერი, ვისინგერი, მაუკში, პოლუნინი (შტორცენჰოპკერი 55), ლიოში, ბიურგერი, ჩირიჩი, კუკა (კურტი 74)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი (ბალაკი 46), შიონბერგი, ბუკი, რატინიო, ვაგნერი, რაიხი, მარშალი, რიშე (რიდლი 74), როსლერი (ხრისტოვი 46)
გაფრთხილება: ლიოში, ვისინგერი, ბალაკი, მარშალი
გაძევება: ვაგნერი (89)
მსაჯი: კესლერი

**შტუტგარტი 0:1 მიუნხენი**

0:1 ვანენბურგი (67)
შტუტგარტი: ვოლფარტი, შპანრინგი, ვერლაატი, ტიამი, ჯორჯევიჩი (ლისტეში 66), კელერი, ბალაკოვი, პოშნერი, კარნელი, ბობიჩი, რისტიჩი (ბლესინი 46)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, კურცი, გრაილიხი, ჩერნი, ზელიჩი (დინზაი 59), სტევიჩი, ოუაკილი (შელდტი 69), ტაისი, შროტი, ჰობში (მალცი 86)
გაფრთხილება: ვერლაატი, ოუაკილი
მსაჯი: კემლინგი

**დუისბურგი 2:2 გლადბახი**

1:0 მ. შნაიდერი (8ს.კ.), 1:1 ჰოლსტერი (70ა), 1:2 ვილა (86), 2:2 ემერლინგი (90)
დუისბურგი: გილი, ემერლინგი, ვოლერტი, ჰაიტო, ჰოერსენი, ტიოფტინგი (ვედაუ 73), მორავჩიკი (ვანა 46), კომლიენოვიჩი, ნოინი, ბაიერლე (შპისი 61), ანდერსენი
გლადბახი: ენკე, მ. შნაიდერი (ვილა 46), ანდერსონი, დაისლერი, ასანინი, ჰაუსვაილერი, ჰფლიპსენი, ვინჰოფი (ჰაგნერი 65), ვიტეჩეკი, ჰოლსტერი, კეტელაიერი (ჩიქუინო 68)
გაფრთხილება: ჰაიტო, ტიოფტინგი, ჰოლსტერი
მსაჯი: ჰაინემანი

**ბაიერნი 5:3 ჰამბურგი**

1:0 დაეი (9), 1:1 იებოა (23), 2:1 დაეი (39), 3:1 ეფენბერგი (58), 3:2 ბუტი (69პ), 4:2 ეფენბერგი (71 პ), 4:3 გროტი (74), 5:3 ელბერი (89)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, მათეუსი, ჰელმერი (ლინკე 66), შტრუნცი (იერემისი 74), ეფენბერგი, ფინკი, ტარნატი, ბასლერი (სალიჰამიჯიჩი 46), დაეი, ელბერი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფიშერი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გროტი, გრავესენი (ტრაიგისი 73), ფ. ერნსტი (გრამოცისი 61), ჰოლერბახი, კირიაკოვი (დემბინსკი 61), იებოა
გაფრთხილება: ეფენბერგი, ელბერი, კანი, მათეუსი, ერნსტი
მსაჯი: ფრიოლიხი

ორი ფრანგი დუელია, ორი ინგლისელი დებატი, ორი ქართველი კი მტრისასო, ნათქვამია. ენამწარენი ხუმრობდნენ, სადაც ქართველებმა თავი მოიყარეს, ლამის ყველა გუნდი გააგდესო. ასე მოუვიდა „მანჩესტერ სიტის", უმაღლესი ეშელონის დატოვება მოუხდა რევაზ არველაძის ბელგიურ „მეხელენს", გოჩა ქოქოშვილის პორტუგალიურ „ბელენენსეშს" გიორგი ანჩაბაძის, დავით ყიზილაშვილისა და კახი გოგიჩაიშვილის ებრაულ აშქელონის „ჰაპოელს". ბოროტი ენები ჩემპიონატის სტარტზე ნათამაშევი ორი ფრეს მერე „აიაქსზეც" ალაპარაკდნენ. არა, ამსტერდამელებს გავარდნა არ ემუქრებათო, მაგრამ...

მოკლედ, „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკე თავს დიდ ხიფათში იგდებდა, როცა ქართველ თავდამსხმელ ალექსანდრე იაშვილს ნოსტალგიის განსაქარვებლად, გუნდს კი მარცხენა ფლანგის გასაძლიერებლად ლევან კობიაშვილიც შემატა. თქვენ წარმოიდგინეთ, ორი ქართველის ძალისხმევამ „ფრაიბურგი" არათუ მეორე ბუნდესლიგიდან გაამევა, არამედ პირველში ალაზევა და იქიდანაც დაქვეითებაზე რომ არ ფიქრობს საწყისი ხუთი ტურიდანაც ცხადია.

მეთხუთმეტე ადგილს, ანუ გადარჩენილთაგან ნაბოლარობას წარმატებად ჩავთვლითო — ამბობდა წლევანდელი ბუნდესლიგის დაწყებამდე ფრაიბურგელთა მწვრთნელი ფინკე. არადა, ასე თუ გააგრძელა, მხოლოდ ლიგაში დარჩენა რაა, ადვილი შესაძლებელია მისმა გუნდმა ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვებაც შეძლოს.

ხუთი თამაშიდან ქართველთა გუნდმა წყვილად მოიგო და ფრედ ითამაშა. ერთიც წააგო. დამარცხდა გუნდთან, რომლის წლევანდელი სტარტი, მეტი რომ არ ვთქვათ, იმას მიუთითებს, რომ ძნელად ვინმე შეეტოქება.

„ფრაიბურგი" „ბაიერნის" ტოლი ნამდვილად არაა, მაგრამ აქამდე საგარეო მოგებათა ნუსხაში ვიცე-ჩემპიონთა და მათ თანაქალაქელთა დარი შედეგი კი აქვს. „ფრაიბურგმა" პარასკევს მეორედ მოიგო სტუმრად. ამჯერად როსტოკში წინა ტურში გერმანიის თასის ფინალისტის გამნადგურებელ „ჰანზას" აწვნია მარცხი.



ალექსანდრე იაშვილმა და „ფრაიბურგმა" „ბაიერნის" ჯავრი „ჰანზაზე" იყარეს

პირველ ტაიმში ყველაზე მნიშვნელოვანი ხიფათი მასპინძელთა კარს დაემუქრა. ალექსანდრე აიშვილმა ადევნებული მცველები არად ჩააგდო და „ჰანზას" კარის დარაჯ მარტინ პიკენჰაგენს მარჯვენა ძელი შეურყია.

აღსანიშნი ისიც იყო, რომ სერგეი ბარბარესის „დორტმუნდში" გადასვლით მხარჩამოგდებული ბალკანელი იგორ პამიჩი „ფრაიბურგის" მცველებს აბითურებდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, რადგან ხან მოტყუებულნი აჩერებდნენ აკრძალული ხერხებით, ხან ოლივერ ნოიველი უყრიდა გარჯას წყალში.

რაკი „ჰანზას" არ გაჰქონდა, „ფრაიბურგმა" გამოაჩინა ბრჭყალები. მარცხენა მცველად მოთამაშე ლევან კობიაშვილმა ჩინებული კომბინაცია გაითამაშა იაშვილთან და მარცხენა დაბალ კუთხეში დარტყმული პიკენჰაგენმა ბოლოსლა ხელის მტევნის თითქმის განწირული მოქმედებით მოიგერია.

„ფრაიბურგი" ტუნისელმა ადელ სელიმმა დააწინაურა. მან რალფ კოლის ფლანგური ჩაწოდება გამოიყენა. ბოლო წუთზე კი, როცა მასპინძლები მეკარის გარდა მთელი გუნდით უტევდნენ, კობიაშვილმა ერთ-ერთ მოეირიშეს ბურთი ვარდნაში აართვა და იაშვილს გადააწოდა, მანაც მცირე პაუზა გააკეთა, თამაშგარე რომ აეცილებინა და მერე მატჩს წერტილიც დაუსვა.

პარასკევს „ჰერტამაც" მოიგო, ოღონდ შინ. მას შემდეგ, რაც „აინტრახტი" ჩინელმა იანგ ჩენმა დააწინაურა, პრეეტცმა წყვილი და ალფონს ჩამიმ ერთი უპასუხო გოლი გაიტანა.

ნამდვილი მოულოდნელობაა „დორტმუნდის" უფერული სტარტი. ჩემპიონთა თასის ექს-მფლობელი არც შარშან გამოირჩეოდა სტაბილურობით, მაგრამ წლეულს მისგან ასეთ თამაშს მაინც არავინ ელოდა. არატრადიციულად დაიწყო „ლევერკუზენმაც" და მისი დამაჯერებელი გამარჯვება „დორტმუნდთან" მით უფრო აღსანიშნავია.

„კაიზერსლაუტერნმა" კი „ჰერტასთან" გაჭირვებით მოიგების შემდეგ ისევ ჩააგდო ტური — დებიუტანტ „ნიურნბერგს" მხოლოდ საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე გატანილი მარშალის გოლით დაუზავდა. „ლაუტრენს" „ბოხუმთან" მარტინ ვაგნერის გარეშე მოუწევს თამაში, რომელიც მატჩის მიწურულს ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს.

ერთხელაც შერცხვა „შტუტგარტი", წლეულს აშკარად ძალაშემატებულ „მიუნხენთან" შინ წააგო.

პირველად მოიგო სტუმრად „შალკემ" რენე აიკელკამპის დუბლით და სულაც პირველი გამარჯვება იზეიმა წლეულს „ვერდერმა", ვინც „ვოლფსბურგი" ცხარე ცრემლით ატირა.

ტურის მატჩი კი „ბაიერნი" — „ჰამბურგი" გახლდათ. „ბაიერნს" მოგება საეჭვოდ არ გაუხდია, მაგრამ გატანილის კვალობაზე ბლომად გაუშვა. ზედიზედ მეორედ გაიტანა „ჰამბურგის" მეკარე ჰანს იორგ ბუტმა, თუმცა ეფენბერგის დამამცირებელ თერთმეტმეტრიანსაც ვერა მოუხერხა.

მატჩის გმირი დიდებულად მოთამაშე „ბაიერნის" ირანელი ნახევარმცველი ალი დაეი გახლდათ, რომელმაც ჟურნალ „კიკერისგან" 1,5 ქულა დაიმსახურა.

„კიკერმა" ალექსანდრე იაშვილის თამაში უფრო მოკრძალებულად, 2,5-ად შეაფასა, კობიაშვილს კი 3-იანი და ჯანმრთელობაო.

საკვირო მატჩში „დუისბურგმა" და „გლადბახმა" თითო ავტოგოლი გაცვალეს, თუმცა, „დუისბურგის" ტორსტენ ვოლერტის საკუთარ კარში გატანილი ბორუსიელი ავტომეგოლის შემცვლელ მარკო ვილას მიაწერეს. „გლადბახს" სასტუმრო მოგების დაგემოვნებაში ხელი ემერლინგმა შეუშალა, რომლის ბოლო წუთზე დარტყმული ზუსტი გამოდგა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ვინკლერი (მიუნხენი) | 5 |
| მარშალი (ლაუტერნი) | 5 |
| პამიჩი (ჰანზა) | 4 |
| ელბერი (ბაიერნი) | 4 |
| ეფენბერგი (ბაიერნი) | 4 |

VI ტური
25 სექტემბერი
მიუნხენი - ჰერტა
ჰამბურგი - ჰანზა
26 სექტემბერი
შალკე - ლევერკუზენი
დორტმუნდი - ვოლფსბურგი
ვერდერი - ბაიერნი
ფრაიბურგი - დუისბურგი
ლაუტერნი - ბოხუმი
გლადბახი - შტუტგარტი
27 სექტემბერი
აინტრახტი - ნიურნბერგი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 17:5 | +12 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 14:5 | +9 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 6 |
| 2 | მიუნხენ 1860 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | +3 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | +1 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | +2 | 7 |
| 3 | ლაუტერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:10 | -1 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:4 | +1 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 |
| 4 | ჰერტა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | +1 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | +5 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 0 |
| 5 | ლევერკუზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | +3 | 8 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | +3 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 6 | ფრაიბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | +1 | 8 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | +3 | 7 |
| 7 | ჰამბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 0 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | +1 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | -1 | 4 |
| 8 | შტუტგარტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | +3 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | +4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 9 | ნიურნბერგი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | +1 | 7 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | +1 | 4 |
| 10 | შალკე 04 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 |
| 11 | ბოხუმი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 | გლადბახი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | +3 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 13 | დუისბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | -4 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:4 | +1 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 14 | დორტმუნდი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | +2 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 1 |
| 15 | ვერდერი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 16 | ჰანზა | 5 | 1 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | +1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | -7 | 0 |
| 17 | ვოლფსბურგი | 5 | 0 | 3 | 2 | 7:10 | -3 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 18 | აინტრახტი | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |

## მეორე ბუნდესლიგა

### VII ტური

**კიკერსი 1:0 ბერლინი**

1:0 სებესკენი (70)

**ობერჰაუზენი 1:5 არმინია**

0:1 რიდლევიჩი (19), 0:2 ბაგერი (66), 1:2 ა. ვებერი (68), 1:3 ლაბადია (78), 1:4 რეიან (81), 1:5 ლაბადია (85)

**დიუსელდორფი 1:1 ვატენშაიდი**

0:1 კორობკა (32), 1:1 დობროვოლსკი (54)

**ფორტუნა 0:1 კარლსრუე**

0:1 კრიგი (40)

**ზტ. პაული 1:1 უნტერჰახინგი**

0:1 გარსია (33), 1:1 ტრულსენი (90)

**მაინცი 1:0 ჰანოვერი**

1:0 დემანდტი (18)

**გიუტერსლო 1:1 ულმი**

1:0 ბოცინოვი (49), 1:1 როგოსიჩი (71)

**კოტბუსი 2:2 კიოლნი**

1:0 ირგანგი (3), 2:0 რატი (25), 2:1, 2:2 მუნტეანუ (33პ, 42), 2:3 ჰაიდრიხი (83ს.კ.)

| ურდინგენი — ფიურტი გადაიდო | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:7 | 15 |
| არმინია | 7 | 5 | 0 | 2 | 14:9 | 15 |
| კიკერსი | 7 | 5 | 0 | 2 | 8:5 | 15 |
| მაინცი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:4 | 13 |
| ბერლინი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| ფიურტი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| უნტერჰახინგი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| ჰანოვერი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| ზტ. პაული | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| ფორტუნა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| კარლსრუე | 7 | 3 | 0 | 4 | 10:12 | 9 |
| კოტბუსი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:8 | 8 |
| კიოლნი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:16 | 7 |
| დიუსელდორფი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| ურდინგენი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| გიუტერსლო | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| ობერჰაუზენი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:13 | 5 |
| ვატენშაიდი | 7 | 0 | 4 | 3 | 3:7 | 4 |

# სან სიროს ბინადართა გამოღვიძება

## იტალია

IV ტური

### ემპოლი 0:0 რომა

86-ე წუთზე დი ბიაჯომ ვერ გაიტანა პენალტი.
ემპოლი: სერენი, კუპი, ბალდინი, ბიანკონი, ტონეტო, ლუჩენტი (კრიბარი 89), პანე, ბიზოლი (მარტუშელო 71), კარპარელი (შიაპარა 79), კაპელინი, ბონომი
რომა: შიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, დი ფრანჩესკო, დი ბიაჯო, ალეინიჩევი (ტომაზი 69), პაულუ სერჟიო, დელვეკიო (ბარტლეტი 69), ტოტი (გაუტიერი 69)
გაფრთხილება: ბიზოლი, დი ფრანჩესკო, დი ბიაჯო, კანდელა, ბიანკონი, კაფუ, ალეინიჩევი, შიაპარა
მსაჯი: კოლინა

### ინტერი 1:0 პიაჩენცა

1:0 რონალდო (65პ)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, გალანტე, დაბო, ზე ელიასი (პირლო 59), სიმეონე, ძანეტი, სამორანო (ვენტოლა 76), რონალდო, ბაჯო (ჯორკაეფი 70)
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი (დელი კარი 69), ბუზო (რასტელი 35), საკეტი, კრისტალინი, მაცოლა, სტროპა, ს. ინძაგი (რიციტელი 59)
გაფრთხილება: ბუზო, ვერხოვოდი, ლუკარელი, ბერგომი
მსაჯი: პელეგრინო

### იუვენტუსი 1:0 კალიარი

1:0 ინძაგი (8)
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტუდორი, მონტერო, დი ლივიო (ბლანშარი 84), ტაკინარდი, დეშამი, დავიდსი, დელ პიერო, ინძაგი, ზიდანი (პესოტო 73)
კალიარი: სკარპი, ძანონჩელი, ძებინა, გრასადონია, მაკელარი, ბერეტა, ონილი, დე პატრე, ვაზარი, კალონი, კარუცო (პიზანუ 72)
გაფრთხილება: დავიდსი, ბირინდელი, მონტერო, ძანონჩელი, გრასადონია, მაკელარი, ბერეტა, ძებინა
მსაჯი: მესინა

### ბოლონია 1:3 უდინეზე

0:1, 0:2 ამოროზო (14, 44პ), 1:2 კოლივანოვი (63პ), 1:3 ვალემი (85)
83-ე წუთზე სიმუტენკოვმა ვერ გაიტანა პენალტი.
ბოლონია: ანტონიოლი, ბია, პაგანინი, მანგონე, რინალდი (ბინოტო 62), კაპიოლი (ერიბერტო 72), მაროკი, ტარანტინო, ნერვო, კოლივანოვი (სიმუტენკოვი 72), სინიორი
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ბაკინი, ჯანიკედა, ვალემი, პინედა (აპია 85), ლოკატელი (პოჯი 77), ამოროზო (ნავასი 66), იორგენსენი
გაფრთხილება: რინალდი, მანგონე, პაგანინი, ბია, ბერტოტო, ბაკინი, ლოკატელი, ამოროზო
გაძევება: მანგონე (45)
მსაჯი: ბაცოლი

### ლაციო 0:0 ბარი

ლაციო: მარკეჯანი, პანკარო (გოტარდი 75), ლოპესი, კოუტუ, მიხაილოვიჩი, კონსეისაო (მანჩინი 59), ვენტურინი, სტანკოვიჩი, ნედვედი, სალასი, ვიერი
ბარი: მანჩინი, დე როსა, გარსია, ნექროიზი (ინოკენტი 77), ბრესანი, დე ასკენტისი, ანდერსონი, კნუდსენი, მადსენი (გერერო 46, სპინეზი 84), ოსმანოვსკი, ძამბროტა
გაფრთხილება: მადსენი, ძამბროტა, კოუტუ, ბრესანი
მსაჯი: ბორიელო

### სალერნიტანა 1:2 მილანი

0:1 ბირჰოფი (67), 0:2 ლეონარდო (87), 1:2 ბრედა (88)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, სონგი, ფუსკო, დელ გროსო, ჯიო ტოდესკო (ვანუჩი 78), ბრედა, ჯია ტოდესკო, მ. როსი (ვუკოია 78), შიანეზე (დი მიტელე 54), დი ვაიო
მილანი: ლემანი, ნგოტი, კოსტაკურტა (აიალა 88), მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, ბა (კოკო 75), ხულიელმინპიეტრო (ლეონარდო 54), ბირჰოფი, ვეა
გაფრთხილება: ამბროზინი, ფუსკო
მსაჯი: რაკალბუტო

### ვენეცია 0:0 პარმა

ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, პავანი, ლუპი, დალ კანტო, დე ფრანჩესკი (მარანგონი 78), მიკელი, იაკინი, პედონე, შვო, მანიერო (ჯიოაკინი 55)
პარმა: ბუფონი, სარტორი (ლასისი 94), ტურამი, კანავარო, ფუზერი (ორლანდინი 69), დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ბენარივო, ვერონი, ბალბო, ასპრილია (სტანიჩი 73)
გაფრთხილება: იაკინი, ვერონი
მსაჯი: ბოჯი

### ვიჩენცა 1:2 ფიორენტინა

0:1 ბატისტუტა (1), 1:1 პადალინო (68), 1:2 ოლივეირა (71)
ვიჩენცა: ბრივიო, დელიზო, დიჩარა, სტოვინი, მორაბიტო (ოტერო 61), სკენარდი, მენდესი, დი კარლო (პალადინი 78), ამბროზეტი, ძაული (დი ნაპოლი 78), ლუიზო
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პადალინო, რეპკა, ტორიჩელი, კოისი (ტაროცი 79), რუი კოშტა (ამორი 73), ამოროზო, ჰაინრიხი, ოლივეირა (ესპოზიტო 86), ბატისტუტა
გაფრთხილება: ბატისტუტა, რეპკა, კოისი, ესპოზიტო
მსაჯი: ჩეზარე

### სამპდორია 1:1 პერუჯა

1:0 ლაილი (21), 1:1 ოლივე (48)
71-ე წუთზე მონტელამ ვერ გაიტანა პენალტი.
სამპდორია: ფერონი (ამბროზიო 66), საკიჩი, ნავა, გრანდონი, კასტელინი, ბალერი (სგრო 59), ფრანჩესკეტი, ლაილი, ორტეგა, მონტელა (კოტე 80), პალმიერი
პერუჯა: როკატი, სოლანო, მატრეკანო, რივასი, რაპაიჩი (მასპერო 72), პეტრაში, კამპოლო, ოლივე (რიპა 82), კოლონელო, ნაკატა, ერცეგი (ტოვალიერი 56)
გაფრთხილება: საკიჩი, რივასი, ოლივე, ფრანჩესკეტი, პალმიერი
გაძევება: მატრეკანო (94)
მსაჯი: დე სანტისი

ლუის ნაზარიო დე ლიმა „სან სიროს“ გოლით დაუბრუნდა ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, რონალდოს დისკვალიფიკაციის ვადა გაელია და იტალიის პირველობის მეორე ტურის შეხვედრაში „ინტერს“ შინ „პიაჩენცა“ დაამარცხებინა. საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მოკრძალებულმა სტუმარმა მრისხანე მასპინძელს, რასაც ის ადასტურებს, რომ მატჩის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა.

გოლი, როგორც აღვნიშნეთ, რონალდომ შეაგდო, ოღონდ პენალტით. აქ სიტყვა ოღონდ იმიტომ ვახსენეთ, რომ გულშემატკივრებს ყოველთვის სათამაშო ორომტრიალში გატანილი გოლი ურჩევნიათ. თანაც რონალდოზეა საუბრი, თორემ სტატისტიკისთვის სულერთია ბურთს მოწინააღმდეგის კარში როგორ შეაგორებ.

ამ შემთხვევაში ერთი ამბავიც არის გასათვალისწინებელი. კერძოდ, რონალდოს, მსოფლიოს პირველობის ფინალში გადამხდარი სტრესის შემდეგ, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია სჭირდებოდა. სჭირდებოდა კი არა, ალბათ ჯერ კიდევ სჭირდება და სწორედ ამიტომ, „პიაჩენცას“ კარში თუნდაც პენალტით გატანილი გოლი მისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ. აკი თავადაც თქვა:

— ვიმედოვნებ, რომ ისევ ისეთი რონალდო გავხდები, გასულ სეზონში რომ ვიყავი. იქნებ მეტიც შევძლო.

გარდა თერთმეტმეტრიანი დარტყმისა, ბრაზილიელმა ცალკეულ ეპიზოდებში მართლაც მოაგონა მაყურებელს ადრინდელი რონალდო, რაც გასულ ოთხშაბათს გამართული „რეალ“ — „ინტერის“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის შემდეგ („ინტერმა“ წააგო 0:2) აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო.

მილანის „სან სიროს“ ბინადარი „ინტერის“ გარდა ქალაქის თანამოსახელე გუნდიც გახლავთ. ეს სწორედ ის „მილანია“, ოთხმოცდაათიან წლებში ჯერ არნახულ სიმაღლეებს რომ მიაღწია, მერე კი ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში საშინელი ფიასკო განიცადა. და აი, როგორც ჩანს, „მილანმა“ სერია A-ს უსახური მუცლიდან კვლავ ამოყვინთა. ცხადია, ჯერ გადაჭრით საუბარი მეტისმეტად ადრეა, მაგრამ ფაქტია, რომ ახალი მწვრთნელის, წინამორბედებთან შედარებით უსახელო ალბერტო ძაკერონის თავკაცობით, შავ-წითელ ფორმიანმა გუნდმა ორ ტურში ორი გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში მან „ბოლონიას“ 3:0 მოუგო, კვირას, მეორეში კი „სალერნიტანას“ ეწვია და 2:1 იმარჯვა.



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — კალიარი. ფილიპო ინძაგიმ „იუვესაც“ მოაგებინა და ახალ სეზონში თავის გოლებსაც დაუდო დასაბამი

„სალერნიტანა“ იტალიური ფეხბურთის უმაღლეს ეშელონს წლეულს დაუბრუნდა. მილანელებთან მატჩი გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობისა გახლდათ, რადგან სერია A-ს წევრის რანგში მას შინ 50 წელიწადია აღარ უთამაშია. ამიტომაც ჩააქსოვეს მასპინძლებმა იმ საღამოში მთელი გული და სული და პირველ ტაიმში აშკარად მეტი ირბინეს, ვიდრე სტუმრებმა.

მე-7 წუთზე მარკო დი ვაიოს მიერ 30 მეტრის სიშორიდან დარტყმულ ბურთს სანტიმეტრები შეეშალა, თორემ უთუოდ მილანელთა გერმანელი მეკარის იენს ლემანის ბადეში ჩაეშვებოდა. მე-14-ზე იუგოსლაველი დრაგან ბოლიჩის დაბალ პასს ვინჩენცო კიანეზემ ზუსტად ვერ დაახვედრა ფეხი, მე-19-ზე კი დი ვაიომ მარკო როსის მიწოდებულს ლონივრად დაჰკრა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა.

„სალერნიტანას“ დაცვას კამერუნელი, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე რიგობერტ სონგი მეთაურობდა და საკმაოდ კარგადაც. პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე „მილანმა“ ერთი საგულისხმო მომენტიც ვერ შექმნა. მხოლოდ შესვენების წინლა მოახერხა გამაოგნებელი გვარის მქონე არგენტინელმა ანდრეს ხულიელმინპიეტრომ საჯარიმო მოედანზე მარჯვნიდან შევარდნა და დარტყმა, რომელიც ძელმა უკუაგდო.

შესვენებისას ძაკერონიმ თავის ოთხ ნახევარმცველს მეტოქის კარისკენ გაწევა ურჩია და ასეთი მეთოდით მოვლენათა ცენტრი სამმცველიან დაცვას მოაშორა. ტაქტიკურმა ხერხმა საკმაოდ მალე გამოიღო სარგებელი, 67-ე წუთზე გერმანელი ფორვარდი ოლივერ ბირჰოფი მეტოქის მცველებზე მაღლა ახტა და როგორც მრავალჯერ გაუკეთებია, თავური დარტყმით ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაიტანა. ბირჰოფს ასისტენტობა დემეტრიო ალბერტინიმ ჯარიმიდან გაუწია.

ბირჰოფმა მოწინააღმდეგის კარი პირველ ტურშიც დალაშქრა, თან ორჯერ. იმ შეხვედრაში მესამე გოლი ბრაზილიელმა ლეონარდომ შეაგდო. სწორედ ლეონარდომ გაიტანა ახლაც, 86-ე წუთზე ბირჰოფის პასით.

თავდადებულ მასპინძლებს ვარსკვლავებისგან შედგენილი მეტოქის ძლევა, როგორც გაირკვა, არ შეეძლოთ, მაგრამ გოლის გატანას ისინი უეჭველად იმსახურებდნენ და ასეც მოხდა. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე რობერტო ბრედამ საჯარიმო დარტყმით სხვაობა ერთამდე შეამცირა.

— ჩვენ ჯერ ფორმაში არა ვართ, მაგრამ ვგონებ, არც კონკურენტები ბრწყინავენ — განაცხადა შეხვედრის დამთავრების შემდეგ ძაკერონიმ, როდესაც ჟურნალისტებმა სიტყვა მომავალ, მესამე ტურზე ჩამოუგდეს.

მომავალი, მესამე ტური იმით გახლავთ საინტერესო, რომ ერთმანეთს უდანაკარგოდ მიმავალი „მილანი“ და „ფიორენტინა“ უნდა შეხვდნენ. ეს მატჩი „სან სიროზე“ გაიმართება.

„ფიორენტინამ“ მეორე გამარჯვება „ვიჩენცასთან“, სტუმრად გამართულ შეხვედრაში მოიპოვა. „ბაიერნიდან“ იტალიაში დაბრუნებული ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა თავიდანვე მოახერხა დაწინაურება. მატჩის პირველსავე წუთზე ანგარიში ფლორენციელთა არგენტინელმა გმირმა გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა, მაგრამ მეორე ტაიმში ვიჩენცელმა მარკო სკენარდიმ ანგარიში გაქვითა.

„ფიორენტინას“ გაბელგიელებულმა ბრაზილიელმა ლუის ოლივეირამ უშველა. მან სკენარდის გოლიდან ოთხი წუთის შემდეგ გაიტანა ტრაპატონის გუნდის მეორე და შეხვედრის უკანასკნელი გოლი.

მე-80 წუთზე პასკუალე ლუიზოს (პირველ ტურში, პარმაში, სკენარდიმ სწორედ ის შეცვალა თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე) შეეძლო გათანაბრება და ქულის მოპოვება, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა შენიშნა და მის მიერ ბადეში შეგდებული ბურთი ძალადაკარგულად ჩაითვალა.

მესამე გუნდი, რომელიც სერია A-ში ორი მატჩიდან ორი გამარჯვებით მიდის, ჩემპიონი „იუვენტუსია“: მან „კალიარის“ უმასპინძლა და ფილიპო ინძაგის მე-8 წუთზე გატანილი გოლის შემწეობით პირველ ტურში „პერუჯაში“ ჩაწერილ სამ ქულას ახალი სამი დაამატა.

ინძაგის საგოლე პასი ალესიო ტაკინარდიმ მიაწოდა. „ბებერი ქალბატონის“ თავდამსხმელმა ტაკინარდის კარგად დაწყებული საქმე კარგადვე გააგრძელა და გაჭირვების გარეშე გაუტანა ალესიო სკარპის.

ამ შეხვედრაში ღირსშესანიშნავი კიდევ ის მოხდა, რომ „იუვენტუსის“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ მოგვიანებით თამაშში ჩართო ნამკურნალევი ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო. მონტერომ დაცვის ცენტრს მიხედა და გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახა, რომ წინა ორი თამაშის დარად (ერთი სერია A-ს პირველი ტურის მატჩი, მეორე კი ჩემპიონთა ლიგის ორთაბრძოლა სტამბოლის „გალათასარაისთან“) მომდევნო ორში გუნდი ხუთ გოლს აღარ გაუშვებს.

საზაფხულო ტრანსფერების შემდეგ საგანგებო ყურადღების ცენტრში გახლავთ რომის „ლაციო“, რომელმაც ახალ ვარსკვლავთა შესაძენად მილიონები არ დაინანა. ძნელი სათქმელია გადამეტებული ყურადღების გამო თუ რაიმე სხვა მიზეზით, „ლაციომ“ ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა. პირველ ტურში „პიაჩენცასთან“ სტუმრად დამთავრებულ 1:1-ს მეორეში „ბარისთან“ 0:0 მოჰყვა. ამ მატჩში სამი გოლის შეგდება მარტო სახელგანთქმულ კრისტიან ვიერის პირველ 10 წუთში შეეძლო, 24-ზე კი სინიშა მიჰაილოვიჩის დარტყმულ ჯარიმას „ბარის“ მეკარემ ოსტატურად უხელთა.

„ლაციოს“ შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიქსონს გუნდი ზუსტად იმ შემადგენლობით ჰყავდა მოედანზე გაყვანილი, გასული კვირის შუაში, თასების თასზე შვეიცარიულ „ლოზანასთან“ შინ 1:1 რომ ითამაშა.

**ბაბუნა ბედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მილანი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | +4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 3 |
| 2 | ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | +1 | 3 |
| 3 | იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | +2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | +1 | 3 |
| 4 | უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | +2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 5 | ინტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 | ბარი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 7 | რომა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 8 | სამპდორია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 | ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 | პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 11 | პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 | კალიარი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 | პიაჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 14 | ვიჩენცა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 15 | ვენეცია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 16 | ემპოლი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 17 | სალერნიტანა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -1 | 0 |
| 18 | ბოლონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბირჰოფი (მილანი) | 3 |
| ლეონარდო (მილანი) | 2 |
| ვენტოლა (ინტერი) | 2 |
| ნაკატა (პერუჯა) | 2 |
| პაულუ სერჟიო (რომა) | 2 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 2 |

III ტური
27 სექტემბერი
ბოლონია - პარმა
კალიარი - სამპდორია
ემპოლი - ინტერი
მილანი - ფიორენტინა
პარმა - იუვენტუსი
პერუჯა - ლაციო
პიაჩენცა - ვიჩენცა
რომა - ვენეცია
უდინეზე - სალერნიტანა

## სერია B

III ტური

### კოზენცა 2:1 კიევო

1:0 აპა (4), 2:0 მანფრედინი (50), 2:1 ფრანჩესკინი (57)

### კრემონეზე 2:1 ფ. ანდრია

1:0 გუარნერი (35), 1:1 მანკა (82), 2:1 უნგარი (88)

### ლეჩე 0:1 ტრევიზო

0:1 ორლანდო (41)

### ლუკეზე 0:0 ბრეშა

### მონცა 0:2 ჯენოა

0:1 ფრანჩიოზო (61), 0:2 პიოვანელი (96)

### პესკარა 1:0 ატალანტა

1:0 ჯელსი (60პ)

### ნაპოლი 1:1 რეჯინა

1:0 ესპოზიტო (42პ), 1:1 ლორენცინი (50პ)

### რავენა 2:1 ჩეზენა

0:1 სალვეტი (3), 1:1 დელანო (28პ), 2:1 ბერტარელი (94)

### ტერნანა 2:1 ტორინო

1:0 ფაბრისი (29), 1:1 ფერანტე (76პ), 2:1 ტიბერი (92)

### ვერონა 2:5 რეჯანა

0:1 კიმარელი (8), 0:2 გუიდონი (30), 0:3 სულო (36), 0:4, 0:5 გუიდონი (52, 61), 1:5 დე ვიტისი (62), 2:5 მანეტი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრევიზო | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| კრემონეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| კოზენცა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ვერონა | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| რავენა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ლეჩე | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| რეჯანა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ბრეშა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| ტერნანა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ტორინო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| ატალანტა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| პესკარა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ლუკეზე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| რეჯინა | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მონცა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |
| ფ. ანდრია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ჩეზენა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 |

# არც პირველად და არც უკანასკნელად

## ესპანეთი

### III ტური

### რეალი 2:2 ბარსელონა

1:0 რაული (7), 1:1 კლუივერტი (12), 2:1 რაული (25), 2:2 ანდერსონი (83)
რეალი: ილგნერი, იერო, სანჩისი (ივან კამპო 73), პანუჩი, იარნი, რედონდო, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (კარემბუ 78), მორიენტესი, სავიო
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინო, სერხი, რაიციგერი, ზენდენი (ოკუნოვო 60), კოკუ, ფიგუ, ჯოვანი, ლუის ენრიკე, კლუივერტი (ანდერსონი 69), რივალდო
გაფრთხილება: იერო, სანჩისი, პანუჩი, ზეედორფი, სერხი, რაიციგერი, ფიგუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, რივალდო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### სოსიედადი 0:1 მალიორკა

0:1 მარსელინიო (16)
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, გომესი, დე პედრო (ლოპეს რეკარტე 75), კუხბაუერი (ადეპოჟუ 51), კოვაჩევიჩი, სა პინტუ, ალდეონდო (დე პაულა 63)
მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, მარსელინიო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (კარერასი 76), ლაურენი, ენგონგა, ჩუპა ლოპესი, დანი (ბიაჯინი 80), არპონი (ფ. სოლერი 76)
გაფრთხილება: ფუენტესი, პიკაბეა, ლორენი, დე პედრო, მარსელინიო, სტანკოვიჩი, ლაურენი, ჩუპა ლოპესი
გაძევება: კოვაჩევიჩი
მსაჯი: რიტო არსეო

### სალამანკა 3:1 დეპორტივო

1:0 სილვანი (23), 2:0 ლეონარდო რამოსი (61), 3:0 სილვანი (84), 3:1 კორინო (88ს.კ.)
სალამანკა: სტელეა, ლუპიდიო, ლეონარდო რამოსი, ლანა, მარინესკუ (კორინო 53), ედუ ალონსო, როხერიო, ჯოვანელა, კარდეტი (მუნტიანუ 76), ველისკა (ტომასი 85), სილვანი
დეპორტივო: სონგო, რომერო (ბონისელი 81), მურერი, არმანდო (სკალონი 68), რამისი, ზიანი, ჯალმინია (ბასირი 66), მაურო სილვა, ფრანი, კონსეისაო, ტურუ ფლორესი
გაფრთხილება: ჯოვანელა, რომერო
მსაჯი: პერეს ბურული

### ესტრემადურა 0:1 ბილბაო

0:1 ურსაისი (67)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, კალა, დავიდი, ფელიქსი (გაბრიჩი 80), ოსკარი, პოლი, პედრო ხოსე, ერანია (ბელენგუერი 63), ბოგდანოვიჩი (სოტო 70), მანუელი, რუედა
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლარასაბალი (იმასი 70), ლაკრუსი, ლასა, რობერტო რიოსი, ურუტია, კარლოს გარსია, ალკისა (ხ. ეჩებერია 78), ესკერო (ხოსე მარი 78), ურსაისი
გაფრთხილება: კალა, ლასა, კარლოს გარსია, ფელიპე
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### რასინგი 1:0 ბეტისი

1:0 პრესიადო (79)
რასინგი: სებალოსი, ნერუ, მერინო, სიეტესი, ტაისი, ვიკტორი (არსენო 90), ბილაბონა (ხელი 75), ხემა, ისმაელი, მუნიტისი, ბესჩასტნიხი (პრესიადო 75)
ბეტისი: პრატსი, აიალა, ლუის ფერნანდესი, ოტერო, სოლოსაბალი, იტო, ალექსისი, ფერნანდო, ფინიდი, დენილსონი (ივან პერესი 86), ოლი
გაფრთხილება: მერინო, ტაისი, ისმაელი, ფინიდი, ოლი
მსაჯი: ესკინა ტორესი

### ესპანიოლი 1:1 ატლეტიკო

1:0 ბენიტესი (57), 1:1 კიკო (77)
ესპანიოლი: ტონი, დომინგესი (გალჩა 46), კრისტობალი, პოჩეტინიო, ვილა, ივან ელგუერა, პაჩეტა, მარტინ პორსე, ესნაიდერი (ნანდო 76), ბენიტესი, კიკე მარტინი
ატლეტიკო: მოლინა, სერენა (ტონი 46), ზამოტი, სანტი, აგილერა, მენა, ნიეგუსი, ლარდინი, ბეიბლი (ვალერონი 58), ხოსე მარი (კორეა 86), კიკო
გაფრთხილება: გალჩა, პოჩეტინიო, მარტინ პოსე, სერენა, აგილერა
მსაჯი: დიას ვეგა

### ალავესი 1:0 სარაგოსა

1:0 კანაბალი (68)
ალავესი: კიკე, ალფონსო, ივან როჩა, კარმონა, ბერუე, იბონ ბეგონია, კანაბალი, პაბლო გომესი (რევილია 85), დესიო, ასკოიტია (მოსელინი 56), სივორი (ჟერარი 77)
სარაგოსა: ხუანმი, პაკო, სოლანა, აგუადო, სუნდგრენი, არაგონი (ხ. ლოპესი 73), კილი გონსალესი, ტორო აკუნია (რადიმოვი 78), მილოშევიჩი, ჟამელი (ხოსე იგნასიო 67), მარკოს ვალესი
გაფრთხილება: ალფონსო, კანაბალი, მოსელინი, სივორი, არაგონი, კილი გონსალესი, ჟამელი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### ვალენსია 1:0 ვილიარეალი

1:0 ანგულო (45)
ვალენსია: კანისარესი, როჩე, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ფარინოსი, მილა (პოპესკუ 64), ლუკარელი (ბიორკლუნდი 75), ილიე, ანგულო
ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, სერერი (გარსია სანხუანი 75), ვიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი, გერარდო (სალილიასი 75), კრაიოვეანო, ალფარო (ხავი სანჩისი 70), ალბერტო
გაფრთხილება: როჩე, ილიე, ანგულო, ვიტორ არეგი, ალბელდა, გერარდო, სალილიასი, ხავი სანჩისი
მსაჯი: პრადოს გარსია

### სელტა 0:0 ვალიადოლიდი

სელტა: დუტრუელი, კასერესი, მიჩელ სალგადო, ჯოროვიჩი, ხოსემა (სანჩესი 46), ტომასი, მაკელერე (კადეტე 78), მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი, პენევი
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, სანტამარია, ხულიო სეზარი, პენია, ვისკაინო, ტურიელი (დუტრუელი 78), ჩემა, ისაილოვიჩი (კლიმოვიჩი 78), პეტერნაკი (ეუსებიო 86)
გაფრთხილება: მიჩელ სალგადო, კადეტე, მაზინიო, გარსია კალვო, პენია, ჩემა
მსაჯი: ანსატეგი როჩა

### ოვიედო 0:1 ტენერიფე

0:1 ხუანელე (28)
ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი, მანელი, სეზარი, ბანიო (მიოლერი 40, ნადი 46), ივან იგლესიასი, პაულო ბენტო, ონოპკო, დელი ვალდესი, ხაიმე, დუბოვსკი (პომპეი 7)
ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, პაბლო პასი, ვიერკლო, ანდრე ლუისი, იოკანოვიჩი (მატა 76), ფელიპე (რობაინა 64), ემერსონი, დანი, ხუანელე, მაკეი (კოდრო 90)
გაფრთხილება: რაბანიროვი, მანელი, ონოპკო, დელი ვალდესი, პომპეი, პაბლო პასი, ანდრე ლუისი
მსაჯი: კარმონა მენდესი



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ბარსელონა. პრედრაგ მიატოვიჩი (მარჯვნივ) ფილიპ კოკუს ვერ გაექცა, რეალი კი ბარსელონას

პირინეის ნახევარკუნძულზე ამ სეზონში მესამედ გამეფდა ფეხბურთი — ესპანეთის ჩემპიონატის მესამე ტური გაიმართა, ტური, რომლის მატჩების მიმოხილვაც, თუნდ ორიოდ სიტყვით, შეუძლებელია, რადგან როდესაც „რეალი" „ბარსელონას" მასპინძლობს, ანაც მადრიდელები სტუმრობენ „კამპ ნოუს", ძნელია სხვა შეხვედრებზე ისაუბრო.

ისეთი მატჩები, როგორიც სამეფო კლუბის და კატალონიელთა სიამაყის ჭიდილია, ევროპაში ბევრი არ იმართება. ამდაგვარი თამაშებს ქომაგები, სპეციალისტები, ჟურნალისტები სულმოუთქმელად ელიან. ფეხბურთელებიც არ არიან გამონაკლისნი — ბევრისთვის ხომ სანატრელია ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა.

„ბარსელონასთან" დაპირისპირებას მადრიდში წელიწადია ელოდნენ. გასულ სეზონში პრიმერა დივიზიონის მომგებმა „ბარსამ" სამეფო კლუბი ორჯერ დაიბრიყვა — სტუმრად „სანტიაგო ბერნაბეუზე" 3:2, შინ კი 3:0 მოუგო. ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლებოდა „რეალის" გულშემატკივრებს დამართოდათ, სწორედ წინა ჩემპიონატში მოხდა — ორი მარცხი საძულველ მეტოქესთან როგორი ასატანია? „ულტრასი" („რეალის" გულშემატკივრები) რევანშს ითხოვდა. მათ წაქცეული „ბარსელონას" ხილვა სურდათ.

— რთული მატჩი გველის, არაა გამორიცხული, ვერ გავიმარჯვოთ, განაცხადა თამაშის წინა დღეს „რეალის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა. ნათქვამი აუხდა — შეხვედრა მძიმე და დამღლელი გამოდგა, ამასთანავე მასპინძლებმა მართლაც ვერ იმარჯვეს.

— თუ ისე ვითამაშეთ, როგორც მეორე ტაიმში მანჩესტერში, ჩვენი დამმარცხებელი არავინ იქნება — ეს სიტყვები ასევე ჰოლანდიელ მწვრთნელს, ოღონდ „ბარსელონას" თავკაც ლუის ვან გაალს ეკუთვნის. მატჩის წინა დღეს ნათქვამი მასაც აუხდა — კატალონიელებმა შესვენების შემდგომ ძლიერად, ჭკვიანურად ითამაშეს და ისევე როგორც ინგლისში, ამჯერადაც დაალწიეს თავი მარცხს.

გასული სეზონის მანძილზე მადრიდელთა ახალგაზრდა თავდამსხმელ რაულს აკრიტიკებდნენ ცუდად თამაშობს, ვარჯიშს მოუკლო, მთელ დროს მეგობარ გოგონასთან ერთად ღამის კლუბებში ატარებსო. წინა ჩემპიონატი რაულს მართლაც „ჩაუვარდა" — გოლები ხშირად ვერ გაჰქონდა და ინერტულადაც გამოიყურებოდა. ფორვარდის კრიტიკა ახალი სეზონის დაწყების წინაც შეინიშნებოდა, მაგრამ მორიგი ჩემპიონატის დასაწყისმა ცხადყო, რომ მადრიდელთა ბომბარდირი ძველებურად ათამაშდა. „რეალის" გულშემატკივრებს უყვარხარ თუ ბევრი გოლი გაგაქვს, მაგრამ განსაკუთრებით გაფასებენ, როცა „ბარსელონას" კარს ლაშქრავ — შაბათს საღამოს, მიუხედავად ვერმოგებისა, სამეფო კლუბის ქომაგებს რაული დიდ პატივში ჰყავდათ. მან ხომ ორი გაუტანა გოლი ბარსელონელებს!

— მე არასდროს ვყოფილვარ „პიჩიჩი" (ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი), წლეულს კი ვიმედოვნებ, რომ მიზანს მივაღწევ. გოლეადორობა ჩემი კარიერის ბრწყინვალე მიღწევა იქნებოდა. ამისთვის ყველაფერს გავიღებ — მეგოლეთა შორის დაწინაურებულმა რაულმა ჩანაფიქრი პრესკონფერენციაზე ხალხსაც გაანდო.

მისი პირველი გოლი, რომელიც მორიენტესის დარტყმულის უხეიროდ მოგერიებულის შემდეგ გაიტანა, მალე გაიქვითა — სტუმართა ახალწვეულმა პატრიკ კლუივერტმა რვა წუთში გააყაიმა. „ბარსელონას" უამრავ ჰოლანდიელთაგან (მწვრთნელის ჩათვლით) ერთ-ერთმა მასპინძელთა საჯარიმოსთან ტექნიკურად ითამაშა, მცველებმა კი სილამაზე უხეშობით ჩაახშეს. რივალდომ ჯარიმა დაარტყა, ილგნერმა ჰესპის დარად უხეიროდ მოიგერია ბურთი და ანგარიშიც შეიცვალა 1:1.

დაძაბულობა იმდენად დიდი გახლდათ, რომ დროის დინება ვერც შეიმჩნეოდა. ეს მოსალოდნელიც იყო — როცა საინტერესო თამაშს უცქერ და მუდამ დაძაბული ხარ, გეჩვენება, რომ წუთები მალე გარბის. რაულის მეორე გოლიც, მიუხედავად იმისა, რომ 25-ე წუთზე გავიდა, თითქოს კლუივერტის ბურთს წამებში მოჰყვა. მიატოვიჩის და რაიციგერის ფლანგური ორთაბრძოლისას იუგოსლაველმა იმარჯვა და საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი რაულმა „რეალის" შეტევა უძლიერესი დარტყმით გააგრძელა. რომ არა სერხის თავგანწირული თამაში, ეგებ გოლი არც გასულიყო — მცველს გუნდის გადარჩენა ეწადა, პირიქით კი გამოუვიდა. მან ბურთი აისხლიტა, ჰესპი კი უძლური შეიქნა — 2:1.

„რეალის" ხელახლა დაწინაურების შემდეგ უკვე „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილი ქომაგები გააქტიურდნენ — ისინი მესამე გოლს ითხოვდნენ, რითაც შესაძლო იყო, მატჩის ბედი ნაადრევადაც გაერკვიათ. ორჯერ გაბზარული კატალონიელთა დაცვა მესამედ აღარ დაეცა, შესვენებაზეც გუნდები 2:1-ზე წავიდნენ.

ვან გაალი რის ვან გაალი იქნებოდა, რაიმე ტაქტიკური ცვლილება არ მოეხდინა და მართლაც, შესვენებისას, 15 წუთში მიღებულმა დარიგებებმა სტუმარ ფეხბურთელებზე საოცრად იმოქმედა — მეორე ნახევარში „ბარსელონამ" შესამჩნევი უპირატესობა მოიპოვა, გნებავთ სათამაშო, გნებავთ ტერიტორიული, როლიც გაითავისა, ოღონდ ეგაა, მეტი ვერარ შეძლო.

რამდენიმე წლის წინ ლუის ენრიკე „რეალში" თამაშობდა, ახლა კი „ბარსელონაშია". შაბათს, როგორც კი ლუის ენრიკე ბურთს მიიღებდა, მადრიდელთა ქომაგები ყურისწამღებ სტვენას იწყებდნენ და არა მისადმი მოზღვავებული სიყვარულის გამო. მეორე ტაიმის დასაწყისში, როცა კლუივერტმა იგი ილგნერთან პირისპირ დატოვა, საშინელი ხმაური ატყდა. კიდევ კარგი მან ვერ გაიტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში „სანტიაგო ბერნაბეუ" თუ არ დაინგრეოდა, საშინლად დაიბზარებოდა მაინც.

კატალონიელებმა თავისი მაინც გაიტანეს. შესაძლებლობებზე აშკარად სუსტად მოთამაშე ლუიშ ფიგუმ პატრიკ კლუივერტის ნაცვლად გამოჩენილ ანდერსონს უმალ გამოუნახა ზუსტი პასი. ბრაზილიელიც არ შერცხვა — 2:2.

— ფრეს ვიმსახურებდით, განსაკუთრებით მეორე ნახევარში ნაჩვენები ფეხბურთის გამო. ისე ეს უფრო იოლი თამაში გახლდათ, ვიდრე მანჩესტერში. „ოლდ ტრეფორდზე" ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა, დღევანდელმა თამაშმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ბარსელონა" მართლაც ძლიერი გუნდია. ჩვენ ვიბრძოლებთ პირველობისთვის — ლუის ვან გაალი გუნდის თამაშით კმაყოფილი ჩანდა. მისი კოლეგა გუს ჰიდინკი კი ყაიმს ერთობ შეეფიქრიანებინა. მატჩის მნახველნი ალბათ შენიშნავდნენ, რომ მეორე ტაიმში „რეალმა" გარკვეულწილად შეცვალა თამაშის სტილი — თუ შესვენებამდე მოსაგებად იბრძოდა, მეორე 45 წუთში ანგარიშის შენარჩუნებაზე იზრუნა. ჰიდინკის შეცდომაც სწორედ ეს გახლდათ — ფეხბურთელთათვის დაცვაზე ზედმეტი ყურადღების გამახვილება და თამაშის ჩაშლაზე ფიქრი არ უნდა ერჩია, მით უმეტეს, „ბარსელონასთან".

ტურის უმნიშვნელოვანესი მატჩი ეს გახლდათ. ამდენიც სწორედ ამიტომ ვისაუბრეთ. რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, მხოლოდ ერთზე მოგახსენებთ — „სალამანკასა" და „დეპორტივოს" მატჩში მასპინძელთა ლეონარდო რამოსმა სასწაულებრივი გოლი გაიტანა დაახლოებით 40 მეტრიდან.

ლაშა გოდუაძე

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | +4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | +3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 2 | მალიორკა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 3 | სარაგოსა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | +3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 3 |
| 4 | ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | +1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 |
| 5 | ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | +1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 6 | ბარსელონა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | +1 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 | ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 8 | ტენერიფე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 | ოვიედო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 10 | სალამანკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 | ალავესი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 | ესპანიოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | +1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 13 | დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 14 | რასინგი | 3 | 1 | 1 | 0 | 1:2 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 15 | სელტა | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 | სოსიედადი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 17 | ვალიადოლიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 18 | ესტრემადურა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | -2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 19 | ბეტისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 20 | ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |

### ბომბარდირი

| ბომბარდირი | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 4 |

### IV ტური

27 სექტემბერი

ტენერიფე — ალავესი
მალიორკა — ოვიედო
ატლეტიკო — სოსიედადი
დეპორტივო — ესპანიოლი
ვილიარეალი — სალამანკა
ვალიადოლიდი — ვალენსია
ბარსელონა — სელტა
ბილბაო — რეალი
ბეტისი — ესტრემადურა
სარაგოსა — რასინგი

## მეორე დივიზიონი

### IV ტური

**ეიბარი 0:1 მალიორკა B**
0:1 ლუკე (45)

**ბარსელონა B 1:2 ლოგრონიესი**
0:1 ტეხერა (4), 1:1 ლუისი (41), 1:2 მანელი (67)

**ერკულესი 0:3 ლეიდა**
0:1 ტამუდო (61), 0:2, 0:3 ხოსემი (84, 92З)

**რეკრიატივო 2:2 მალაგა**
1:0 ვილასეკა (38), 1:1 დე ლოს სანტოსი (41), 1:2 კატანია (53), 2:2 კიამი (90)

**ალბასეტე 2:2 რაიო**
0:1 მუნისი (10), 1:1 ლეანდრო (15), 1:2 ერნანდესი (81), 2:2 ლეანდრო (84)

**ლეგანესი 0:1 სევილია**
0:1 გლუშევიჩი (23)

**სპორტინგი 0:2 ლას პალმასი**
0:1, 0:2 სოკორო (39, 48)

**ტოლედო 2:0 ატლეტიკო B**
1:0 ლუის მანუელი (14), 2:0 პედრო ალბერტო (55)

**ოსასუნა 0:1 ნუმანსია**
0:1 კასტანიო (87)

**ბადახოსი 2:2 კომპოსტელა**
0:1 პრიეტო (1), 0:2 სიონი (38), 1:2 ბისკონტი (47), 2:2 კარლოს ტორესი (84)

**მერიდა 1:1 ორენსე**
1:0 სეზარ ბრიტო (33), 1:1 მორანი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 |
| ტოლედო | 4 | 3 | 1 | 0 | 5:0 | 10 |
| ლოგრონიესი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| მალიორკა B | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| ლას პალმასი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ლეიდა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| კომპოსტელა | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| მალაგა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 8 |
| რაიო | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ერკულესი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ორენსე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ეიბარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:7 | 3 |
| ლეგანესი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| ალბასეტე | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ბარსელონა B | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| მერიდა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| რეკრიატივო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | 2 |
| სპორტინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |
| ატლეტიკო B | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| ბადახოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| ოსასუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |

## შოტლანდია

VI ტური

**დანფერმლაინი 1:1 ჰართსი**

1:0 სმიტი (12), 1:1 ჰამილტონი (58)

**რეინჯერსი 0:0 სელტიკი**

**დანდი 2:2 დანდი იუნაიტედი**

0:1 მაკსვიგანი (63), 0:2 ოლოფსონი (67), 1:2 ანანდი (69), 2:2 ადამჩუკი (89)

**მოზერველი 0:0 კილმარნოკი**

**სენტ ჯონსტონი 2:0 აბერდინი**

1:0 ლოუნდესი (17), 2:0 მაკმაჰონი (67)

უკვე მეორე ტურია, შოტლანდიის ჩემპიონატში ხუთიდან ოთხი მატჩი მშვიდობიანად სრულდება. თუმცა გასული უქმეები მაინც ღირსშესანიშნავი გამოდგა, ვინაიდან გლაზგოში ის შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მთელი ქვეყანა სულმოუთქმელად ელის ხოლმე. „რეინჯერსმა" „სელტიკს" უმასპინძლა. კვლავ მიეცათ საშუალება პროტესტანტებსა და კათოლიკებს, გულიანათ ეხმაურათ და ერთმანეთის ბოლმა გადმოენთხიათ. ტრიბუნებზე გამეფებულმა დაძაბულმა, ფეთქებადმა ვითარებამ, ბუნებრივია, მოედანზეც გადაინაცვლა და მიუხედავად ნულოვანი ფრისა, საკმაოდ თვალსასეირო ბურთაობა გაჩაღდა.

მთლიანობაში მატჩი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმც ვერც იმას ვიტყვით, სტუმრები პასიურობდნენო. „სელტიკს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „რეინჯერსს", რომელმაც სეზონის წინ გუნდის ახალი ფეხბურთელებით მოლონიერებისთვის 30 მილიონი გირვანქა (50, 43 მილიონი დოლარი) გაიღო. მეტიც, რომ არა მასპინძელთა ფრანგი მეკარე, მსოფლიოს ჩემპიონი ლიონელ შარბონიე, რომელმაც რამდენიმე წარმოუდგენლად რთული ბურთი აიღო, მათ შორის ბოლო წუთზე ტომ მაკინლის მიერ ცაციათი უძლიერესად დარტყმული, შოტლანდიის ჩემპიონები ერთის ნაცვლად სამ ქულას მიიღებდნენ.

„რეინჯერსის" შემადგენლობაში გამოჩნდა შოტლანდიის ნაკრების კაპიტანი კოლინ ჰენდრი, რომელიც „ბლექბერნ როვერსიდან" გადმოსვლის შემდეგ დიკ ადვოკაატმა სასტარტო შემადგენლობაში პირველად დააყენა. სწორედ მისი წამოწყებული კომბინაციის შემდეგ შეიქმნა მატჩში პირველი სახიფათო მომენტი — მე-15 წუთზე მან კანჩელსკისი მოძებნა, ამ უკანასკნელმა ჩინებულ პოზიციაზე გაიყვანა გერმანიის ნარებში გამოძახებული იორგ ალბერცი, თუმცა ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. რვა წუთში უკვე სტუმრებს შეეძლოთ დაწინაურება — ჰენრიკ ლარსონმა შესანიშნავი პასი მისცა კრეიგ ბარლის, მაგრამ მანაც, ალბერცის მსგავსად, მეგობრის გარჯა წყალში გადაყარა. 37-ე წუთზე უკვე თავად ლარსონს ჰქონდა მომენტი და რომ არა შარბონიეს ბრწყინვალე რეაქცია, ანგარიში უეჭველად გაიხსნებოდა.

მეორე ტაიმში „რეინჯერსმა" სრული უპირატესობა მოიპოვა, გამონაკლისი მხოლოდ ზემოხსენებული მაკინლის დარტყმული იყო. გოლის გატანა მასპინძელთაგან შეეძლოთ როდ უოლესს, იმავე ალბერცს და მარკ რიპერს, მაგრამ იმ დღეს „რეინჯერსს" მოგება მაინც არ ეწერა და მსაჯის საფინალო სასტვენმა ტაბლოზე 0:0 დააფიქსირა. შედეგად, ადვოკაატის გუნდი ჩემპიონატს კვლავ ლიდერობს და უახლოეს მდევრებს (ასეთი სამია) ორი ქულით უსწრებს. ამ სამი გუნდიდან ყველას შეეძლო ლიდერს დასწეოდა. „სელტიკმა", როგორც უკვე იცით, ეს შანსი ვერ გამოიყენა, ისევე როგორც „კილმარნოკმა" და „მოზერველმა", რომლებიც შაბათს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და გლაზგოური დერბის მსგავსად ერთი გოლის გატანაც კი ვერ მოახერხეს.

კვლავ წარუმატებლად ასპარეზობს „ჰართსი". ქვეყნის თასის მფლობელი ამჯერად „დანფერმლაინს" ესტუმრა, იქიდან მხოლოდ ერთი ქულის წამოღება შეძლო და ცხრილის შუაგულის ოდნავ ქვემოთ მოექცა.

ტურის ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა აუტსაიდერებს შორის გაიმართა. ბოლო ადგილებზე მყოფი სეხნიები „დანდი" და „დანდი იუნაიტედი" უშელავათოდ კი იბრძოდნენ სამი ქულის მოსაპოვებლად, მაგრამ მაინც მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. მართალია, სტუმრები 2:0-ს იგებდნენ და შეეძლოთ კიდეც სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ბოლო ოც წუთში ორჯერ გაუშვეს გოლი და კვლავ ბოლო ადგილზე იმყოფებიან.

მე-6 ტურში მოგება მხოლოდ „სენტ ჯონსტონმა" მოახერხა. „წმინდანებმა" „აბერდინს" უმასპინძლეს და ლოუნდესისა და მაკმაჰონის გოლებით სახიფათო ზონას საგრძნობლად მოშორდნენ.

**დავით კოპზირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| სელტიკი | 6 | 2 | 3 | 1 | 11:6 | 9 |
| კილმარნოკი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:4 | 9 |
| მოზერველი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| აბერდინი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ჰართსი | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| სტ. ჯონსტონი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | 8 |
| დანფერმლაინი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:8 | 7 |
| დანდი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| დანდი იუნ. | 6 | 0 | 3 | 3 | 3:7 | 3 |



რეინჯერსი — სელტიკი. სტაბსმა (მარცხნივ) უოლესს ტოლი არაფერში დაუდო

REUTERS

## ბელგია

VII ტური

**აალსტი 3:1 ლომელი**

1:0 ვან დერ ჰაიდენი (15), 2:0 მეისენი (64პ), 3:0 კორემანი (73), 3:1 ბემბუანაკევე (90)

**გენკი 3:1 კორტრაიკი**

1:0 ოულარე (8), 2:0 სტრუპარი (46), 3:0 ორიგი (66), 3:1 კეიტა (74)

**ოსტენდე 2:4 მუსკრონი**

0:1 ლავარე (15), 0:2 ვიდოვიჩი (20), 0:3 ვანდერპეგე (34), 1:3 დე ვუისტი (80), 2:3 ჰამუჩი (90), 2:4 ბანი (90)

**სტანდარდი 1:2 ბევერენი**

0:1 ვან დენ ედე (12), 0:2 ნუიჯი (47), 1:2 გოდფროიდი (55)

სტანდარდი: რონიე, ბლეი, აფოლაბი, ბილიჩი, ალიაი, რემაკლე (ჟაკობია 51), ერნსტი, გოდფროიდი, ჰელდერმანსი, მორნარი, დე კონდე (მონე 64)

**ლიერსი 5:1 ვესტერლო**

1:0 სომერსი (16), 2:0 ლეენი (22), 3:0 ბროკენი (68), 3:1 ბრონიო (69), 4:1, 5:1 ვან მეირი (87პ, 91პ)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ჰოფკინსი, ვან მეირი, დაემსი, ჰააგდორენი (ვან დე ვეიერი 66), ლეენი, ზდებელი, სომერსი (ლაერმანსი 80), ჰუისტრა (სერნელსი 76), კავენსი

**გენტი 1:1 შარლერუა**

0:1 ჟერარი (9), 1:1 რუსელი (37)

**ანდერლეხტი 1:1 სტ. ტრუიდენი**

1:0 შიფო (41), 1:1 რუდიანა (46)

**ლოკერენი 2:0 ბრიუგე**

1:0 დიასი (60), 2:0 კოლერი (81)

**ჰარელბეკე 0:4 ეკერენი**

0:1, 0:2 ვან ანკერენი (31, 33), 0:3 მარაიე (43), 0:4 ვან ანკერენი (54)

ქვეყნის ჩემპიონატში უკვე შვიდი ტური ჩატარდა და წამყვანმა კლუბებმა — „ბრიუგემ" და „ანდერლეხტმა", რომლებსაც წესით და რიგით თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ, ყველასთვის მოულოდნელად აქამდე ვერაფრით მოახერხეს დაწინაურება და სატურნირო ცხრილის სათავეში მოქცეულთა „მორჯულება".

როგორც ჩანს, მართალი ყოფილა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟორჟ ლიკენსი, პირველობის დასაწყისში რომ აცხადებდა, წელს ბელგიური ფეხბურთის ლიდერებს უჩვეულოდ გაუჭირდებათ და არაა გამორიცხული, ჩემპიონობა სულაც აქამდე ჩრდილში მყოფმა გუნდმა ირგუნოსო.

ოქროს მედლების მფლობელის რა მოგახსენოთ, ჩემპიონატი ხომ სულ ახლახანს გახურდა, მაგრამ ის, რომ ქვეყნის ორ უპირობო ფავორიტს უაღრესად მძიმე ბრძოლების გადატანა ელით — ფაქტია. ამის დასტურად თუნდაც მე-7 ტური გამოდგება, რომელშიც „ბრიუგემ" ერთგულ ქომაგთა გულდასაწყვეტად პირველი მარცხი იგემა სტუმრად „ლოკერენთან", ხოლო „ანდერლეხტმა", რომელიც საოცრად სუსტი სტარტის შემდეგ ბოლო ტურებში ასე თუ ისე ნორმალურად ასპარეზობდა, შინ „სენტ ტრუიდენის" წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შეძლო და მხოლოდ ერთი ქულის აღებით დაკმაყოფილდა — 1:1.

ბრიუგელებს წირვა „ლოკერენისა" და მთლიანად ბელგიური ლიგის ყველაზე მაღალმა ფეხბურთელმა 2,02 მეტრიანმა ჩეხმა იან კოლერმა გამოუყვანა, ვინც თამაშის გადასარჩენად წინწასული „ბრიუგეს" დაცვა კონტრშეტევაზე გამოიჭირა და სტუმართა გოლკიპერი მეორედ დაამწუხრა. ამ თამაშში პირველი გოლი კი მასპინძელთა ფრანგმა ლეგიონერმა პასკალ დიასმა შეაგდო.

„ანდერლეხტს" აშკარად დაეტყო ჰოლანდიელი მთავარი მწვრთნელის, არი ჰაანის წასვლა. ეს კაცი, გუნდის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო სტარტის გამო თანამდებობიდან სულ ახლახანს რომ დაითხოვეს, იმდენს მაინც ახერხებდა, მის განკარგულებაში მყოფი მოთამაშეებისგან თუნდაც საკმაოდ სუსტი, მაგრამ მაინც გუნდი გაეყვანა მოედანზე.

იმ სალამოს კი მინდორზე გუნდის მეტი ყველაფერი იყო. ვეტერანი ენცო შიფოს გოლით დაწინაურებულმა მასპინძლებმა, ბატებივით აქეთ-იქით უთავბოლოდ რომ დააბოტებდნენ, ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლეს და საშუალო დონის „სენტ ტრუიდენს" შინ ერთი ქულა გაატანეს.

ამ ტურში ქართველთათვის ერთი სასიამოვნო ფაქტი მოხდა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ „სტანდარდის" რიგებში კვლავ გამოჩნდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ლაშა ჯაკობია, რომელმაც წინა შეხვედრებთან შედარებით გაცილებით მეტი, თითქმის მთელი ტაიმი დაჰყო მოედანზე და ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

**ლევან ფერაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკერენი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:6 | 16 |
| გენკი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:5 | 15 |
| ვესტერლო | 7 | 5 | 0 | 2 | 18:13 | 15 |
| მუსკრონი | 7 | 3 | 4 | 0 | 11:5 | 13 |
| ბრიუგე | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 13 |
| სტ. ტრუიდენი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 11 |
| ლიერსი | 6 | 3 | 1 | 2 | 15:7 | 10 |
| ბევერენი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 10 |
| სტანდარდი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:8 | 9 |
| შარლერუა | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| ეკერენი | 7 | 3 | 0 | 4 | 8:14 | 9 |
| გენტი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:11 | 9 |
| აალსტი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:13 | 7 |
| ანდერლეხტი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:14 | 6 |
| ჰარელბეკე | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| ოსტენდე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:13 | 5 |
| ლომელი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:11 | 3 |
| კორტრაიკი | 7 | 1 | 0 | 6 | 8:21 | 3 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| იანსენი (ვესტერლო) | 5 |
| კეიტა (კორტრაიკი) | 5 |
| ვან მეირი (ლიერსი) | 5 |
| კლასენსი (ბრიუგე) | 4 |
| კოლერი (ლოკერენი) | 4 |
| სომერსი (ლიერსი) | 4 |

## შვეიცარია

XI ტური

**იანგ ბოისი 2:3 ქსამაქსი**

0:1 მოლისტი (17), 0:2 როტენბიულერი (19), 1:2 სმაიჩი (36), 2:2 დრაკოპულოსი (62), 2:3 ნდიაე (73)

**ლუგანო 5:1 ბაზელი**

1:0 გასპოზი (18), 2:0 ორლანდო (38), 3:0, 4:0 გიმენეზი (49, 58), 4:1 რიჩკოვი (74), 5:1 გიალანსა (87)

**სიონი 2:2 სერვეტი**

0:1 ვარელა (9), 1:1 ლაპლასა (72), 2:1 ალენშპახი (90), 2:2 მიულერი (90)

**ლოზანა 1:0 სენტ გალენი**

1:0 ტურე (85)

**არაუ 0:2 ციურიხი**

0:1 ბარტლეტი (45 პ), 0:2 სანტანა (56)

**გრასჰოპერი 2:0 ლუცერნი**

1:0 ფოგელი (65პ), 2:0 ტიკვა (89პ)

გარსჰოპერი: ცუბერბიულერი, პაასი, გრენი, სმილიანიჩი (მაცარელი 46), ბერნერი, კაბანასი, ტიკვა, ფოგელი, კომიზეტი, დე ნაპოლი (ტარარახე 77), ყაველაშვილი (ნკუფო 62)

ოთხშაბათს ბრიუსელში, უეფას თასის მატჩში „ანდერლეხტის" 2:0 ძლევის შემდეგ შვეიცარიის ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურს „გრასჰოპერი" კარგ ხასიათზე შეხვდა. შაბათს მისი მეტოქე აუტსაიდერი „ლუცერნი" იყო, გუნდი, რომელსაც პირველ ტურში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ზედიზედ ცხრა თამაში ვერ მოეგო. ლუცერნელებს დიდი იმედი არც „კალიებთან" ჰქონდათ, თუმც მატჩამდე იქადნებოდნენ, უიღბლო სერიას შევწყვეტთო. „გრასჰოპერმა" ამ მატჩში ოთხი ფეხბურთელი, მათ შორის ლიდერი თურქილმაზიც მოისაკლისა. სასტარტო შემადგენლობაში კვლავ ვიხილეთ ყაველაშვილი, ხოლო ნემსაძე ფრინგერმა წლევანდელ სეზონში პირველად შეიყვანა სათადარიგოებში.

პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენებაზე გუნდები მაყურებელმა სტვენით გააცილა. მიზეზი ულიმღამო და დუნე თამაში იყო. სახიფათო მომენტი მხოლოდ სამჯერ შეიქმნა და ეს სამჯერვე „კალიებმა" მოახერხეს. ტიკვას ჩაწოდებული კუთხური დე ნაპოლიმ მცირედით ააცილა. კაბანასსა და კომიზეტისაც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ იმარჯვეს. რაც შეეხება „ლუცერნს", სტუმრები ძირითადად კარის დაცვაზე ზრუნევდნენ და მეტოქის ნახევარზე იშვიათად გადადიოდნენ.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა — მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, „ლუცერნი" მთელი შემადგენლობით თავს იცავდა. „გრასჰოპერი" კი უტევდა, მაგრამ საზეირო 65-ე წუთამდე ვერაფერი შექმნა. მეორე ნახევრის მე-20 წუთზე კი საჯარიმოში შეჭრილი დე ნაპოლი მეკარემ მოცელა, რისთვისაც ყვითელი ბარათითა და პენალტით დაჯილდოვდა. ფოგელმა თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა — 1:0. მალე ყაველას ნაცვლად შესული ნკუფო წაიქცა საჯარიმოში, მაგრამ ურს მაიერის სასტვენი დუმდა. ამას სტუმართა შეტევა მოჰყვა, თუმცა კოხის დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა. მატჩის მიწურულს „კალიებმა" მეორე გოლი გაიტანეს და ისიც პენალტით. ვუკოჩის მიერ კაბანასის წაქცევისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ამჯერად ტიკვამ გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად 2:0 გამარჯვებისა ციურიხელმა ფანებმა საკუთარი გუნდი თამაშის შემდეგ სტვენით გააცილეს.

ორი ქულა დაკარგა ჩემპიონატის ლიდერმა „სერვეტმა", რომელიც „სიონს" სტუმრობდა, თუმცა მან ერთი ქულა უფრო მოიპოვა, ვიდრე ორი დაკარგა. სტუმრებმა ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გაათანაბრეს და ამგვარად გადაურჩნენ მარცხს.

მოულოდნელად დიდი ანგარიშით წააგო მეორეადგილოსანმა „ბაზელმა", რომელიც ცხრილის მეორე ნახევარში მოყურყუტე „ლუგანომ" საკუთარ მინდორზე 5:1 გაანადგურა.

უკვე რვა მატჩია, არ მოუგია „იანგ ბოიზს", იგი ამჯერად სტუმრადწვეულმა „ქსამაქსმა" 3:2 დაამარცხა.

**ვანო ოქრობირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 11 | 7 | 3 | 1 | 21:16 | 24 |
| გრასჰოპერი | 11 | 5 | 4 | 2 | 17:12 | 19 |
| ქსამაქსი | 11 | 4 | 6 | 1 | 15:10 | 18 |
| ბაზელი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:16 | 18 |
| სენტ გალენი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:12 | 17 |
| ლოზანა | 11 | 4 | 5 | 2 | 16:17 | 17 |
| ციურიხი | 11 | 3 | 5 | 3 | 13:10 | 14 |
| ლუგანო | 11 | 3 | 3 | 5 | 15:15 | 12 |
| სიონი | 11 | 2 | 5 | 4 | 12:17 | 11 |
| არაუ | 11 | 2 | 4 | 5 | 18:21 | 10 |
| იანგ ბოისი | 11 | 1 | 4 | 6 | 14:19 | 7 |
| ლუცერნი | 11 | 1 | 4 | 6 | 13:19 | 7 |

## საბერძნეთი

მე-4 ტური. აპოლონი — პანელეფსინიაკოსი 1:1; იონიკოსი — კავალა 4:2; აეკი — ვერია 2:0; ეთნიკოსი (ათენი) — ეთნიკოსი (პირეოსი) 1:0; ქსანტი — პანილიაკოსი 2:1; პრუდეფტიკი — ირაკლისი 0:0; ოლიმპიაკოსი — ოფი 3:0; პაოკი — პანათინაიკოსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:3 | 10 |
| აეკი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| იონიკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:7 | 10 |
| პანათინაიკოსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| არისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ქსანტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| პანილიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოფი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 |
| ეთნიკოსი (ა) | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | 6 |
| პანელეფსინ. | 4 | 0 | 4 | 0 | 2:2 | 4 |
| პრუდეფტიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| კავალა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| პაოკი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 8:9 | 3 |
| აპოლონი | 4 | 0 | 1 | 3 | 6:13 | 1 |
| ეთნიკოსი (პ) | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | 0 |
| ვერია | 4 | 0 | 0 | 4 | 0:9 | 0 |

## უკრაინა

მე-11 ტური. დინამო — მეტალურგი (დონეცკი) 3:0; ნივა — მეტალურგი (ზაპორჟია) 1:0; კარპატი — კრივბასი 2:1; მეტალისტი — პრიკარპატია 1:0; შახტიორი — ვორსკლა 7:3; დნეპრი — ზირკა 1:1; მეტალურგი (მარიუპოლი) — ტავრია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 9 | 7 | 0 | 2 | 30:7 | 21 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 28:4 | 20 |
| კარპატი | 11 | 5 | 5 | 1 | 13:7 | 20 |
| მეტალურგი(მ) | 11 | 5 | 3 | 3 | 13:6 | 18 |
| კრივბასი | 11 | 4 | 6 | 1 | 12:4 | 18 |
| მეტალურგი(დ) | 11 | 4 | 4 | 3 | 10:11 | 16 |
| მეტალურგი(ზ) | 10 | 4 | 3 | 3 | 15:16 | 15 |
| ტავრია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| ნივა | 10 | 4 | 2 | 4 | 8:11 | 14 |
| ცსკა | 9 | 3 | 5 | 1 | 13:10 | 14 |
| დნეპრი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:16 | 13 |
| ვორსკლა | 11 | 2 | 4 | 5 | 11:19 | 10 |
| მეტალისტი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:23 | 9 |
| მიკოლაიევი | 10 | 2 | 3 | 5 | 6:17 | 9 |
| ზირკა | 11 | 2 | 3 | 6 | 10:17 | 9 |
| პრიკარპატია | 11 | 1 | 3 | 7 | 7:24 | 6 |

## თურქეთი

მე-6 ტური. გენჩლერბირლიგი — ქარაბუქი 2:1; ისთანბული — საქარია 4:0; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 4:0; გაზიანთეფი — დარდანელი 1:0; ერზურუმი — ტრაბზონი 2:2; ალთაი — ანთალია 2:4; ქოჯაელი — ბეშიქთაში 0:2; ადანა — სამსუნი 0:0; ფენერბაჰჩე — გალათასარაი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 6 | 5 | 1 | 0 | 22:5 | 16 |
| გენჩლერბირ. | 6 | 5 | 0 | 1 | 15:9 | 15 |
| ფერენბაჰჩე | 6 | 4 | 2 | 0 | 18:5 | 14 |
| ბეშიქთაში | 6 | 4 | 2 | 0 | 14:5 | 14 |
| ისთანბული | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| გაზიანთეფი | 6 | 4 | 1 | 1 | 7:4 | 13 |
| ანთალია | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| ერზურუმი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:15 | 10 |
| ტრაბზონი | 6 | 2 | 3 | 1 | 10:6 | 9 |
| ქოჯაელი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | 8 |
| ბურსა | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ადანა | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| ალთაი | 6 | 1 | 0 | 5 | 8:16 | 3 |
| ქარაბუქი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | 3 |
| საქარია | 6 | 0 | 2 | 4 | 4:12 | 2 |
| დარდანელი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:9 | 1 |
| სამსუნი | 6 | 0 | 1 | 5 | 7:17 | 1 |

## სლოვენია

მე-7 ტური. ოლიმპია — ბელტინჩი 1:0; მურა — კოპერი 6:2; კოროტანი — ველენიე 1:1; ტრიგლავი — პუბლიკუმი 1:0; აიდოვშინა — დომჟალე 0:0; მარიბორი — ნოვა გორიცა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 16 |
| ნოვა გორიცა | 7 | 5 | 0 | 2 | 16:8 | 15 |
| ოლიმპია | 7 | 5 | 0 | 2 | 13:8 | 15 |
| მურა | 7 | 4 | 2 | 1 | 15:6 | 14 |
| ბერტინჩი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| პუბლიკუმი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:7 | 9 |
| ველენიე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| კოპერი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:16 | 7 |
| აიდოვშინა | 7 | 1 | 3 | 3 | 5:7 | 6 |
| ტრიგლავი | 7 | 1 | 3 | 3 | 4:8 | 6 |
| კოროტანი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| დომჟალე | 7 | 1 | 2 | 4 | 1:11 | 5 |

## საფრანგეთი

VI ტური

**მარსელი 2:2 ბორდო**
0:1 დიავარა (43), 1:1 რავანელი (45), 2:1 რუა (55), 2:2 დიავარა (90)

**პსჟ 1:0 მონაკო**
1:0 ლაშუერი (13)

**ლე ავრი 0:1 სტრასბური**
0:1 ეშუაფნი (90)

**მეცი 0:0 ტულუზი**

**რენი 2:0 ბასტია**
1:0 ფერნანდესი (24), 2:0 ნონდა (38)

**ოსერი 3:1 სოშო**
1:0 კლოსი (5), 1:1 დალე (6), 2:1 ბატიკლი (8), 3:1 მარლე (84)

**ნანტი 1:1 ლორიანი**
0:1 ბუაფია (9), 1:1 ლე რუ (40 პ)

**მონპელიე 1:1 ნანსი**
0:1 კონი (9), 1:1 გრაველენი (45 პ)

**ლიონი 3:1 ლანსი**
1:0 გრასი (11), 2:0 კავეგლია (31), 2:1 ელუა (75), 3:1 ჯობი (88)

# მარსელი: ნამის აღარ ნაამატოთ

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-6 ტური გულშემატკივარს ბევრ კარგ და ლამაზ მატჩს ჰპირდებოდა და მოლოდინიც გაამართლა. ცენტრალური შეხვედრა მარსელში გაიმართა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორი ლიდერი იდგა.

„ნათელია, ორი ქულა დავკარგეთ. ეს უდიდესი იმედგაცრუებაა, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგემ მეორე გოლის გატანა ძირითადი დროის გასვლის შემდეგღა მოახერხა" — გულისტკივილს ვერ მალავდა კრისტოფ დიუგარი, რომელმაც მშვენივრად ითამაშა. ამ დღეში იყვნენ სხვა მარსელელებიც. „ოლიმპიკმა" ნაღდი მოგება გაუშვა ხელიდან. მსაჯის მიერ წამატებულ დროში მიკუს მიერ ჩაწოდებულ ჯარიმას დიავარამ თავი დაარტყა და კოპკეს იმ საღამოს მეორე გოლი შეუგდო. გოლი, რომელმაც ცივი წყალი გადაასხა „ველოდრომზე" შეკრებილ 57 000 მაყურებელს. თითქმის იგივე სიტუაცია განმეორდა, რაც წინა ტურში „რენის" წინააღმდეგ. მაშინაც ბოლო წამებზე დაკარგა „მარსელმა" ორი ქულა. თამაში კი მეტად ლალი და სასიამოვნო საცქერი იყო. რავანელი, მორისი, პირესი და დიუგარი მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ და ბორდოელ მცველებს უამრავი თავსატეხიც გაუჩინეს. პირველი ასპროცენტიანი მომენტი მე-12 წუთზე შეიქმნა, როცა პირესმა მოწინააღმდეგის მთელი დაცვა მშრალზე დატოვა, მის დარტყმულს კი რამემ გადაულობა გზა. დიუგარიმ ზუსტად დამატება ვერ შეძლო. უნდა ითქვას, რომ „ბორდოს" შემადგენლობაში საუკეთესო მეკარე რამე იყო, მიუხედავად დიავარას დუბლისა. ტაიმის ბოლოს, ჟირონდელების ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას, ვილტორდის პასით დიავარამ გახსნა ანგარიში. ორიოდე წუთში რავანელიმ უძლიერესი დარტყმით მეტოქის ცხრიანში მოათავსა ბურთი. მეორე ნახევარიც კურბისის შეგირდების ინიციატივით წარიმართა. რუას მიერ მრავალსვლიანი კომბინაციის დაგვირგვინება მეტად ლოგიკური იყო. მორისის და დიუგარის ნაცვლად შემოსულ კამარასა და მოზესს ბევრი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში ხან ისინი სცოდავდნენ და ხან რამე იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მერე კი იყო წამატებული დრო და...

ტურის მეორე მნიშვნელოვანი შეხვედრა პარიზში ჩატარდა, სადაც პსჟ-მ „მონაკოს" უმასპინძლა. ხუთშაბათს ხაიფას „მაკაბის" შინ ვერმომგებ გუნდს ველარ იცნობდა კაცი. პირველ ტაიმში გეგონებოდა, პარიზელებმა ყველა ის თვისება, რითაც ევროპულ სარბიელზე წარმატებას მიაღწიეს, ხელახლა დაიბრუნესო — ერთიანობაც ჰქონდათ, ბრძოლისუნარიანობაც, გაბედულებაც. ამიტომაც შეძლეს და საფრანგეთის ერთ-ერთი უპირველესი კლუბი შინ უქულოდ გაისტუმრეს. ალენ ჟირესისათვის ეს გამარჯვება ლიდერთა ფრის ფონზე უფრო გასახარია. მთელი ტაიმი პსჟ უტევდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა, თორემ გულშემატკივრებს თვალებში ველარ შეხედავდნენ. ერთადერთი გოლი მე-13 წუთზე გავიდა, ლაშუერმა ოკოჩას ლამაზი პასი შეირგო და დაამტკიცა, რომ სეზონისწინ პსჟ-ს „ოსერისთვის" ფული ტყუილად არ გადაუხდია. ამის მერეც იყო სახიფათო მომენტები ბარტეზის კართან, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონ მეკარეს მეტჯერ აღარ დასჭირვებია ბურთის საკუთარი ბადედან გამოტანა. მეორე ტაიმი კი სულ სხვა სცენარით წარიმართა და აჩვენა, რომ პსჟ-ს დიდ გუნდობამდე კიდევ ბევრი უკლია. არა, პარიზელებმა ანგარიში კი შეინარჩუნეს, მაგრამ ამას მხოლოდ მეტოქის წინა ხაზის უილბლობასა და საკუთარ კარის დარაჯ ლამას უნდა უმადლოდნენ. ასე რომ, ალენ ჟირესს კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, ხოლო თუ როგორ გაართმევს ამას თავს ნეოპარიზელი, მომავალი მატჩები გვიჩვენებს.

თუკი შარშან ლიონში სამი ქულა „ლანსმა" ჩაიჯიბა, წელს ქვეყნის ჩემპიონები დარწმუნდნენ, რომ ბერნარ ლაკომბის გუნდს იგივე პლიუსები გააჩნია, რაც მათ წინა ჩემპიონატში. დაცვის ხაზი, რომელიც უკვე დიდი ხანია, ერთად თამაშობს და ისინი ლამის ავტომატურად მოქმედებენ. ბრწყინვალე გამთამაშებელი მატჩის ლამაზად და ეფექტურად წასამართად (შარშან ზიანი „ლანსში", წელს დორასო „ლიონში") და ბოლოს ერთმანეთის შემავსებელი ორი მშვენიერი თავდამსხმელი შეტევათა წინა ხაზზე; აშკარაა, რომ კავეგლია-გრასის დუეტი არაფრით ჩამოუვარდება ვერელი-დრობნიაკისას. ფრანგი და შვეიცარიელი ერთმანეთს კარგად უგებენ და ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა, რომ „ლიონს" გათამაშების ცხრილში მეორე ადგილი უკავია. მატჩის მერე კავეგლიამ აღნიშნა, რომ მას იმდენივე სიამოვნება მიანიჭა მისი პასით გატანილმა გრასის გოლმა, რამდენიც თავისმა საკუთარმა. მოკლედ, „ლიონი" ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა, თუმცა მომდევნო ტურში ნანსიში გრასის დისკვალიფიკაციის გამო უთამაშებლობას შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას.

კვლავ უჭირს ვიცე-ჩემპიონს. კვლავ ვერ მოიგო „მეცმა" და რაც უფრო საწყენია ლოტარინგიელთათვის, კვლავ ვერ გაიტანა გოლი მათმა საყვარელმა გუნდმა. ექვსი მატჩი უგოლოდ ანუ 540 წუთი. ეს ახალი რეკორდია პირველ დივიზიონში, რეკორდი, რომლის ავტორობაც თავმოსაწონი სულაც არაა. რა უბედურებაა „მეცის" თავს, ძნელი გასაგებია. მართალია, სეზონის წინ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ (პირესი, ბლანშარი, სერედზუმი...) დატოვა, მაგრამ ვინც დარჩა, იმათთვისაც კი მეტად სასირცხვილოა ეს შედეგი. ტულუზელთა წინააღმდეგ თამაშისას კი ფორტუნამაც ზურგი აქცია დაჩაგრულ გუნდს და მეიროს ძელზე მორტყმულს როდრიგესის გაფუჭებული პენალტი დაემატა. მომდევნო სამ ტურში „მეცი" დებიუტანტებს, „სოშოს", „ლორიანსა" და „ნანსის" ხვდება და იქნებ მათთან მაინც გატეხოს ნავსი და ასე ნანატრი გამარჯვება იზეიმოს. მაგრამ ვინ იცის.

არანაკლებ გაჭირვებაში მყოფმა „სტრასბურმა" კი შაბათს სეზონის პირველი გამარჯვება ჩაიწერა საკუთარ აქტივში. თუმცა საკმაოდ სუსტ ჰავრელებთან ალზასელებს საკმაოდ გაუჭირდათ და ერთადერთი გოლიც მატჩის არბიტრის მიერ წამატებულ დროში გაიტანეს. გოლის ავტორი, ექსმარსელელი ეშუაფნი დაცვითი სტილის ნახევარმცველია და მისი ბომბარდირობა („სტრასბურის" ორივე გოლის ავტორი იგია) იმაზე მეტყველებს, რომ მეზობლებივით სტრასბურელებსაც საკმაო პრობლემები აქვთ შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში, თუმცა „მეცისგან" განსხვავებით მათ დაცვაში საქმე უკეთესად მისდით და ექვს მატჩში მხოლოდ სამჯერ გაუშვეს გოლი. „ლე ავრი" კი დორასოს ლიონში გაშვების მერე საკმაოდ დასუსტდა და ჯერ კიდევ საკუთარი ლიდერის და საკუთარი თამაშის ძიებაშია.

ბრეტონულ დერბიში „ნანტსა" და „ლორიანს" შორის დაფიქსირებული ფრე საკმაოდ ლოგიკური შედეგია. პირველი ნახევარი მასპინძელთა იყო, მონტერუბიომ და განსაკუთრებით ტურემ მეტოქის ფლანგები აიკლეს, მაგრამ ეს უპირატესობა ანგარიშში ვერ გამოიხატა. „ლორიანის" ბომბარდირ ბუაფიას გოლს ნანტელებმა მე-40 წუთზე ლე რუს პენალტით უპასუხეს. მეორე ტაიმში ნანტელთა შეტევას დაღლა შეეტყო და მათ მეტოქეებსაც აღარ გასჭირვებიათ ანგარიშის შენარჩუნება და მეტად ძვირფასი ქულის მოპოვება. აქვე ერთსაც დავამატებთ, ჩემპიონატის დასაწყისიდან ორივე გუნდი კარგ, ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს და უფრო გამოცდილი „ნანტი" თუ უცილობლად იბრძოლებს ევროსაგზურისთვის, დებიუტანტ „ლორიანს" ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს უძლიერესთა რიგებში ადგილის შენარჩუნება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 6 | 5 | 1 | 0 | 14:6 | 16 |
| ლიონი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 14 |
| მარსელი | 6 | 3 | 3 | 0 | 11:7 | 12 |
| მონაკო | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| რენი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ოსერი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ნანტი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| პსჟ | 6 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| მონპელიე | 6 | 2 | 2 | 2 | 14:12 | 8 |
| ლანსი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:10 | 7 |
| ბასტია | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| ნანსი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| ლორიანი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| სტრასბური | 6 | 1 | 3 | 2 | 2:3 | 6 |
| ტულუზი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:14 | 5 |
| მეცი | 6 | 0 | 3 | 3 | 0:6 | 3 |
| ლე ავრი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | 2 |
| სოშო | 6 | 0 | 1 | 5 | 4:16 | 1 |



პსჟ — მონაკო. პარიზელებმა მონაკოელი ტიერი ანრი იჟრინეს

## რუსეთი

XXV ტური

**სპარტაკი 1:1 როსტსელმაში**
1:0 ტიტოვი (67), 1:1 პესტრიაკოვი (73)

**კრილია 0:0 როტორი**

**ალანია 3:1 ჩერნომორეცი**
1:0, 2:0 დემეტრაძე (9, 42 პ), 2:1 კურდიუმოვი (46), 3:1 დემეტრაძე (85)

**ჟემჩუჟინა 2:1 ზენიტი**
1:0 კალაიჯანი (19), 2:0 კუტარბა (58), 2:1 ოსიპოვი (60)

**დინამო 2:1 ლოკომოტივი**
1:0 ტერიოხინი (25), 1:1 ბოროდიუკი (26), 2:1 ტერიოხინი (32)

**ტიუმენი 0:4 ცსკა**
0:1 ხომუხა (48 პ), 0:2 ბოროდკინი (50), 0:3, 0:4 კულიკი (56, 83)

**ბალტიკა 0:0 ტორპედო**

**ურალანი 2:1 შინიკი**
1:0 აკსიონოვი (19), 2:0 დურნევი (57), 2:1 კაზალოვი (58)

გასულ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში ავსტრიული „შტურმის" დამაჯერებლად ძლევის შემდეგ არავის ეგონა, თუ ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი" შინ როსტოვის „როსტსელმაშის" წინააღმდეგობის დაძლევას ვერ შეძლებდა.

ყველა ფიქრობდა, რომ დედაქალაქელებს დიდი უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ იმ საღამოს თეთრ-წითელთა მრავალრიცხოვან გულშემატკივართა იმედები არ გამართლდა. პირიქით, სერგეი ანდრეევის შეგირდები თავიდანვე მედგრად დაუხვდნენ მეტოქეს და აგრძნობინეს, რომ უბრძოლველად არაფერს დაუთმობდნენ. ის კი არა, იყო მომენტები, როდესაც ვერაფრით გაარჩევდით, მასპინძელი „სპარტაკი" იყო, თუ მშვენივრად მოთამაშე „როსტსელმაში".

როსტოველთა მწვავე კონტრშეტევებს დმიტრი ხლესტოვის მეთაურობით დარაზმული მოსკოვური კლუბის დაცვა ვერაფრით უმკლავდებოდა, რის გამოც გოლკიპერ ფილიმონოვს არაერთი მძიმე წუთის გადატანა მოუხდა. 63-ე წუთზე კი „სპარტაკის" კარი გოლს მართლაც სასწაულებრივად გადაურჩა — საჯარიმო მოედნის წინ ეულად დარჩენილი პესტრიაკოვის დარტყმა ძელმა მოიგერია. ასხლეტილ ბურთს ყველაზე ადრე მატვეევმა მიუსწრო, მაგრამ მასპინძლებს მხსნელად ამჯერადაც მოჯადოებული კარის ჩარჩო მოევლინათ. მესამე ცდაზე უკვე ხანკეევს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმც ამდენ დავიდარაბაში გონს მოსულმა ფილიმონოვმა იყოჩაღა და საკუთარ კარს საფრთხე აარიდა.

სტუმართა მიერ ასპროცენტრიანი მომენტის გაფლანგვა და ფეხბურთის დაუწერელი კანონის ამოქმედება ერთი იყო. როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე სასწაულებრივად გადარჩენილმა სპარტაკელებმა მომდევნო იერიშშივე დასაჯეს მეტოქე. ილია ციმბალარის მიერ მოწოდებული კუთხურისას უხეშად შეცდა მეკარე სავჩენკო, რითაც უმალ ისარგებლა ეგორ ტიტოვმა და ანგარიში გახსნა.

„სპარტაკის" მოგება თითქმის გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ოლეგ რომანცევის ბიჭებმა, იმის მაგივრად რომ ანგარიშის შენარჩუნებაზე ეზრუნათ, კიდევ ერთი გოლის გატანა განიზრახეს, მაგრამ... იმ საღამოს ვერცხლისწყალივით მოძრავმა პესტრიაკოვმა ჯერ ბაშევივით გააპამპულავა ანანკო, ამას შემდეგ წინ გამოსული მეკარეც მიაყოლა და ლამაზი ბურთის გატანით თავისიანებს მეტად ღირსეული ფრე მოაპოვებინა — 1:1.

ამ ტურში მშვენივრად ითამაშა ვლადიკავკაზის „ალანიამ". უფრო სწორად კი მისმა ქართველმა ლეგიონერმა გიორგი დემეტრაძემ. ყოველ შემთხვევაში, ორ-ორი, უფრო იშვიათად კი ოთხი გოლის გატანას დაჩვეულმა ჩვენებურმა ამჯერად სამი იკმარა და 12 შეგდებული ბურთით რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ვერ გაგვახარა ბოლო ხანს მშვენიერ ფორმაში მყოფმა ზაზა ჯანაშიამ. მისი „ლოკომოტივი" ცხრილის ბოლოში მყოფ „დინამოსთან" 1:2 დამარცხდა, ხოლო ზაზამ კი ამჯერად უგოლოდ დატოვა მოედანი.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია მოსკოვის ცსკა-ს ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება. საშინელი სტარტის შემდეგ ოლეგ დოლმატოვის გუნდი გარდაიქმნა და მეორე წრეში თითქმის ყველა მატჩის მოგებით პირველობის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მეორე ადგილზე ამოყო თავი.

**ირაკლი ხმელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 14 | 8 | 3 | 50:18 | 50 |
| ცსკა | 25 | 12 | 5 | 8 | 39:20 | 41 |
| როტორი | 25 | 10 | 11 | 4 | 45:30 | 41 |
| ლოკომოტივი | 25 | 11 | 7 | 7 | 31:22 | 40 |
| ურალანი | 25 | 11 | 6 | 8 | 32:30 | 39 |
| ალანია | 25 | 10 | 7 | 8 | 41:30 | 37 |
| ზენიტი | 25 | 9 | 10 | 6 | 33:22 | 37 |
| როსტსელმაში | 25 | 9 | 10 | 6 | 38:34 | 37 |
| ჟემჩუჟინა | 25 | 9 | 8 | 8 | 25:31 | 35 |
| შინიკი | 25 | 8 | 7 | 10 | 24:30 | 31 |
| ტორპედო | 25 | 7 | 10 | 8 | 30:28 | 31 |
| კრილია | 25 | 8 | 6 | 11 | 20:31 | 30 |
| დინამო | 25 | 5 | 13 | 7 | 23:27 | 28 |
| ჩერნომორეცი | 25 | 5 | 11 | 9 | 28:33 | 26 |
| ბალტიკა | 25 | 5 | 10 | 10 | 24:35 | 25 |
| ტიუმენი | 25 | 2 | 1 | 22 | 12:74 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვერეტენნიკოვი (როტორი) | 19 |
| დემეტრაძე (ალანია) | 12 |
| მატვეევი (როსტსელმაში) | 12 |
| კულიკი (ცსკა) | 11 |
| ციმბალარი (სპარტაკი) | 9 |
| ესიპოვი (როტორი) | 9 |

## პორტუგალია

IV ტური

**მარიტიმუ 0:1 პორტუ**
0:1 ჟარდელი (4)

**ამადორა 2:1 აკადემიკა**
1:0 ვიეირა (11), 2:0 ლეალი (13), 2:1 ბაროსო (22)

**რიუ ავე 1:1 შავეში**
0:1 სება ფერნანდესი (25პ), 1:1 ნიქუინა (51)

**ბეირა მარი 1:1 სეტუბალი**
0:1 ჩიკინიო (52), 1:1 ჟილა (56)

**ალვერკა 1:1 სალგეირუში**
1:0 ფრეიტასი (20), 1:1 გამა (53)

**სპორტინგი 3:0 კამპომაიორენსე**
1:0 მაჩადო (7ს.კ.), 2:0 სევერო (44), 3:0 იორდანოვი (53)

**ბოავიშტა 1:0 ლეირია**
1:0 კვამე (27)

**ფარენსე — ბენფიკა**
**გიმარაეში — ბრაგა**
*გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| პორტუ | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| სპორტინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| სალგეირუში | 4 | 2 | 2 | 0 | 10:7 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| ბრაგა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| შავეში | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ლეირია | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ამადორა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 6 |
| კამპომაიორ. | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 5 |
| ბეირა მარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| რიუ ავე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ალვერკა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| სეტუბალი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |
| მარიტიმუ | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| გიმარაეში | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| ფარენსე | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

## ავსტრია

მე-8 ტური. რაპიდი — რიდი 1:1, გრაცერი — ლუსტენაუ 4:0, ზალცბურგი — შტაირი 5:2, ტიროლი — შტურმი 0:1, ლინცერი — აუსტრია 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 8 | 6 | 2 | 0 | 13:3 | 20 |
| რაპიდი | 7 | 5 | 2 | 0 | 15:4 | 17 |
| ლინცერი | 8 | 5 | 0 | 3 | 15:13 | 15 |
| აუსტრია | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| შტურმი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:7 | 13 |
| ზალცბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 14:13 | 9 |
| რიდი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:9 | 5 |
| ტიროლი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:14 | 5 |
| ლუსტენაუ | 8 | 0 | 4 | 4 | 6:18 | 4 |
| შტაირი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:18 | 2 |

შტაირს დაკლებული აქვს 3 ქულა.

## ნორვეგია

22-ე ტური. სტაბეკი — ვიკინგი 4:3; ჰაუგესუნდი — ბრანი 2:3; ლილესტრიომი — სოგნდალი 0:1; რუსენბორგი — კონგსვინგერი 4:0; სტრომსგოდსეტი — ბოდო გლიმტი 2:2; ტრომსო — მოსი 0:0; ვალერენგა — მოლდე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 22 | 17 | 2 | 3 | 71:22 | 53 |
| მოლდე | 22 | 15 | 6 | 1 | 62:24 | 51 |
| სტაბეკი | 22 | 14 | 3 | 5 | 49:25 | 45 |
| ვიკინგი | 22 | 12 | 3 | 7 | 56:37 | 39 |
| ბოდო გლიმტი | 22 | 8 | 8 | 6 | 38:38 | 32 |
| ლილესტრ. | 22 | 8 | 5 | 9 | 33:40 | 29 |
| ბრანი | 22 | 7 | 7 | 8 | 36:35 | 28 |
| ტრომსო | 22 | 7 | 6 | 9 | 35:38 | 27 |
| სტრომსგოდ. | 23 | 7 | 5 | 11 | 36:55 | 26 |
| მოსი | 23 | 8 | 2 | 13 | 28:47 | 26 |
| ვალერენგა | 22 | 7 | 3 | 12 | 35:46 | 24 |
| კონგსვინგერი | 22 | 6 | 3 | 13 | 31:55 | 21 |
| ჰაუგესუნდი | 22 | 5 | 3 | 14 | 34:47 | 18 |
| სოგნდალი | 22 | 4 | 4 | 14 | 25:60 | 16 |

## ჰოლანდია

### V ტური

**ვალვაიკი 0:4 ჰერენვენი**

0:1 დე ნოიერი (51), 0:2 პალპლაცი (62), 0:3, 0:4 ტალანი (63, 78)

**უტრეხტი 1:1 სიტარდი**

1:0 კუიტი (82), 1:1 ჰოფლანდი (86)

**სპარტა 0:2 ბრედა**

0:1 მარილია (85 ს.კ.), 0:2 ზეფილინიო (88)

ბრედა: კარელსე, ვან ასი, ატმოდიკორო, შრუდერი, გუდელი, ნოპი, მილიჩიჩი (ვან დე ლოი 88), ბოსჟი (ფესკენსი 21), სტიუარტი, ა. არველაძე (ზეფილინიო 81), მაკდონალდი

**აიაქსი 1:1 გრააფსხაპი**

0:1 ფუკსი (21), 1:1 ლიტმანენი (26)

აიაქსი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ბლინდი (მელხიოტი 26), ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ლიტმანენი, ვიჩხე, ბაბანგიდა, მაკარტი (დანი 69), ძინძლაძე (გრონკიაერი 46)

**მაასტრიხტი 4:2 ვიტესი**

0:1 ტრუსტფული (21), 1:1 ჯოორდენსი (52), 1:2 რუსერი (61), 2:2 დე იონგი (76 პ), 3:2 ლანდზაატი (85), 4:2 ემერსონი (90)

**აზ 67 1:1 ტილბურგი**

0:1 აბდელაუვი (37), 1:1 ლანგერაკი (45)

ტილბურგი: ვან ფესემი, პრომაიონი, პილი, პიიპია, შენინგი, ფალკი (ბომბარდა 51), ალტსი, ლოფენი, პერინგი (სეესაი 60), რამზი, აბდელაუვი

ტილბურგელთა რიგებში ბოლო 10 წუთი ჰენდრიკსმაც ითამაშა, თუმცა ჩვენთვის უცნობია თუ ვის ნაცვლად შევიდა იგი მინდორზე. შენინგი 79-ე წუთზე გააძევეს.

**ნაიმეგენი 3:1 როდა**

1:0 რენფურმი (11), 1:1 პეტერსი (42), 2:1 დე გური (65), 3:1 რენფურმი (72)

**კამბური 0:2 ტვენტე**

0:1 სტეინმანი (55), 0:2 პესელინკი (87)

### ეინდჰოვენი — ფეიენოორდი

*დღეს გაიმართება*

შარშანდელ სეზონში ჩემპიონობისა და თასის უპრობლემოდ მომგებ საქვეყნოდ ცნობილ „აიაქსს" ახალ სეზონში გაცილებით დიდი წინააღმდეგობების დაძლევა რომ მოუხდებოდა, ამაში ეჭვი ალბათ არავის ეპარებოდა, მაგრამ პირველ ხუთ ტურში ამსტერდამელები ოთხ ძვირფას ქულას თუ დაკარგავდნენ, მაინც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

„აიაქსის" რიგებში „გრააფსხაპთან" მატჩში ტრავმირებულ შოთა არველაძეს არც ამჯერად უთამაშია. სამაგიეროდ, მინდორზე პირველი წუთებიდანვე ძმები დე ბურები გავიდნენ, რომლებსაც კლუბის ხელმძღვანელობასთან ესპანურ „ბარსელონაში" გადაბარგების თაობაზე შექმნილი უთანხმოების გამო კარგა ხანია, არ ევარჯიშათ.

ფრანკ და რონალდ დე ბურები „აიაქსისთვის" ნამდვილად დიდი ძალაა, მაგრამ არც თუ საზარბიელო ფორმაში მყოფთ საგულისხმო რა უნდა გაეკეთებინათ? მომხვდურთაც თავიდანვე იგრძნეს მასპინძლების სისუსტე და „გათავხედებულნი" მწვავე კონტრშეტევებით წამდაუწუმ აწუხებდნენ აყლაყუდა ვან დერ სარს. „გრააფსხაპის" თავდამსხმელთა მოუსვენრობამ მალე შედეგი გამოიღო და 21-ე წუთზე იორგენ ფუქსმა გამიზომილი დარტყმით „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი სერიოზულად დააფიქრა — 0:1.

თუმცა სტუმართა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ხუთიოდ წუთში გიორგი ქინქლაძის მიერ წამოწყებულ შეტევაში „გრააფსხაპი" დაჯარიმდა. რონალდ დე ბურის მზაკვრულად შესრულებული თავისუფალი დარტყმა მეკარისთვის ძნელი მოსახელთებელი აღმოჩნდა, რითაც ფინელმა იარი ლიტმანენმა ისარგებლა და მისთვის სეზონში მესამე, ხოლო „აიაქსისთვის" ქულის გადამრჩენი გოლი გაიტანა.

არჩილ არველაძის „ბრედამ" მატჩის მიწურულს შეგდებული ორი ბურთის წყალობით სტუმრად „სპარტას" სძლია, ხოლო უეფას თასზე თბილისის დინამოელთა მეტოქე „ტილბურგმა" არც ლიგის ახალბედა „აზ 67"-თან გასვლით შეხვედრაში შეირცხვინა თავი და დამსახურებულად მოპოვებული ქულაც გაიყოლა შინ.

**ირაკლი ხმელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| უტრეხტი | 5 | 3 | 2 | 0 | 14:6 | 11 |
| აიაქსი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| ჰერენვენი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ვიტესი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 10 |
| ტვენტე | 5 | 3 | 1 | 1 | 5:2 | 10 |
| ნაიმეგენი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ტილბურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| გრააფსხაპი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:10 | 8 |
| ეინდჰოვენი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 7 |
| აზ 67 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:8 | 6 |
| ბრედა | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | 5 |
| როდა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| მაასტრიხტი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:13 | 3 |
| სიტარდი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| კამბური | 5 | 0 | 2 | 3 | 5:12 | 2 |
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |
| ვალვაიკი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მახლასი (ვიტესი) | 4 |
| მოლსი (უტრეხტი) | 4 |

**იაპონელებმა** ეროვნული გუნდის მწვრთნელი გამონახეს. 2000 წლის ზაფხულის ჩათვლით ამომავალი მზის ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს ფრანგი ფილიპ ტრუსიე გაწვრთნის, კაცი, რომელიც მსოფლიოს ახლადდასრულებულ ჩემპიონატზე სამხრეთაფრიკელებს თავკაცობდა. ბოლო ხუთი წლის მანძილზე ტრუსიე კოტ დივუარის, ნიგერიის, ბურკინა ფასოს და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებს ხელმძღვანელობდა, ახლა კი აფრიკიდან აზიაშიც გადაინაცვლებს. არაა გამორიცხული, ტაკეში ოკადას ფრანგი მემკვიდრე იაპონიის ნაკრების მწვრთნელობას კიდევ დიდხანს შერჩეს.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ბირმინგემის „ასტონ ვილას" მეკარე მარკ ბოზნიჩს ბრალდება წაუყენა, 15 აგვისტოს, ლივერპულში „ევერტონის" წინააღმდეგ თამაშისას გულშემატკივარს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო. ზემოხსენებული ორგანიზაციის სადისციპლინო კომიტეტმა ავსტრალიელი მეკარე 1684 დოლარით დააჯარიმა, თან დაჰპირდა, თუ ბრალდება დაგიმტკიცდა, იქნებ რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიგისაჯოთო. „ლივერპულის პოლიცია გამოძიებას განაგრძობს. თუ ბოზნიჩი დანაშაულში ვამხილეთ, მას ვერაფერი უშველის. დამნაშავე საკადრისად უნდა დაისაჯოს. რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწევს" — განაცხადა ასოციაციის წარმომადგენელმა ფილიპ სელბერსტორმმა. შეგახსენებთ, რომ 1996 წელს ბოზნიჩი ქომაგთა შეურაცხყოფის გამო ერთხელ უკვე დააჯარიმეს ორი ათასი გირვანქით.

**ბრაზილიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში გოლის აღნიშვნის კიდევ ერთი ვარიანტი გამოიგონა „ატლეტიკო მინეიროს" თავდამსხმელმა ედმილსონმა. ბელუ ორიზონტის „ამერიკასთან" მატჩისას, მეორე გოლის შეგდების შემდეგ ედმილსონმა შარვლიდან საგანგებოდ გადამალული სტაფილო გამოაძრო და შესანსლა, რითაც მეტოქე გუნდის გულშემატკივრების გაბრაზებას შეეცადა. ბელუორიზონტელებს ხომ მეტსახელად „ბაჭიებს" ეძახიან. ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა გოლის გატანა სხვა ნივთის დახმარებით აღნიშნეს — ადრე უცნაურობებს მხოლოდ მაისურით და ტრუსით სჩადიოდნენ. სხვათა შორის, „ატლეტიკო მინეიროს" კარლოს ალბერტო ტორესი წვრთნის, სწორედ ის კარლოს ალბერტო, რომელიც 1970 წელს ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატზე კაპიტნობდა.

**რუსეთის** ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რომელიც თანამდებობიდან ამ რამდენიმე თვის წინ გადადგა, სამუშაო იშოვა — ბორის იგნატიევი ამიერიდან რუსეთის ჩემპიონატის მეორე ლიგის კლუბ მოსკოვის „ტორპედო ზილს" უთავკაცებს. მოსკოვური კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის ბოლოდროინდელი შედეგებით უკმაყოფილო ყოფილა (ქვეყნის თასის გათამაშების მესამე წრეში „ტორპედო ზილი" თანაქალაქელმა „დინამომ" 7:0 დაამარცხა) და მწვრთნელი სერგეი პეტრენკო სწორედ ამიტომ გაუთავისუფლებიათ.

### ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. ბოკა ხუნიორსი — ნეველს ოლდ ბოისი 2:1, ინდეპენდიენტე — რივერ პლეიტი 2:1, ტალერესი — სან ლორენცო 2:2, როსარიო სენტრალი — ესტუდიანტესი 2:1, ხიმნასია ლა პლატა — ბელგრანო 3:1, უნიონი — კოლონი 0:2, ჰურაკანი — არგენტინის ხუნიორსი 1:3, ხიმნასია ხუხუი — რასინგი 1:1. 17 ქულით გათამაშებას ლიდერობს ბოკა ხუნიორსი.

**ბრაზილიის** ჩემპიონატი. მე-13 ტური. ამერიკა ბელო ორიზონტი — ატლეტიკო მინეირო 0:2, რესიფი — გრემიო 5:0, ჟუვენტუდი — ინტერნაციონალი 1:2, პონტე პრეტა — კორინტიანსი 4:5, პარანა — ვასკო და გამა 2:1, კრუზეირო — კორიტიბა 4:0, გუარანი — გოიასი 2:2, პალმეირასი — ვიტორია 3:2, ბოტაფოგო — ამერიკა ნატალი 2:0, სანტოსი — ფლამენგო 4:1, სან პაულო — პორტუგეზა 2:7. 32 ქულით ლიდერობს კორინტიანსი. მას 4 ქულით ჩამორჩება სანტოსი.

**სლოვაკეთის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. კოშიცე — ტაურისი 2:0, სპარტაკი — ჰუმენე 4:2, სლოვანი — ნიტრა 2:0, ბარდეიოვო — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 1:0, ტრენჩინი — რუზომბეროკი 1:1, ბანიკი — ინტერი 0:3, ტატრანი — არტმედია 2:0. 19 ქულით ლიდერობს სპარტაკი. მას ქულით ჩამორჩება კოშიცე.

**პოლონეთის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. რუხი — გკს 2:1, ლკს — ამიცა 2:0, ვისლა — ლეგია 4:1, ოდრა — სტომილი 1:1, პოლონია — ზაგლებიე 3:1, გურნიკი — რაძიონკოვი 1:1, პოგონი — ლეხი 2:3, ბელხატოვი — ვიძევი 3:2. 19 ქულით ლიდერობს ვისლა. მას 3 ქულით ჩამორჩება ლეგია.

**იუგოსლავიის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. პარტიზანი — ცრვენა ზვეზდა 2:1, ზემუნი — ბუდუჩნოსტი 3:2, რადი — ვოივოდინა 1:0, პროლეტერი — სარტიდი 1:0, ჰაიდუკი (კულა) — რადნიჩკი (კრაგუიევაცი) 3:0, მილიციონარი — მოგრენი 1:1, ობილიჩი — სპარტაკი 3:1, ოფკ — ზელეზნიკი 5:2, რადნიჩკი (ნიში) — პრისტინა 3:1. 21 ქულით ლიდერობს პარტიზანი. მას 2 ქულით ჩამორჩება ობილიჩი.

**ლუქსემბურგის** ჩემპიონატი. მე-6 ტური. ჰრადეცი — სლოვანი 2:2, ვიქტორია (პლზენი) — ოპავა 1:1, კარვინა — პეტრა 0:2, ბობი — დუკლა 1:1, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — შმელი 2:1, სიგმა — ბანიკი 3:2. 13 ქულით ლიდერობენ სიგმა და პეტრა.

**რუმინეთის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. უნივერსიტატეა (კრაიოვა) — დინამო 2:2, რაპიდი — პეტროლული 2:1, არჯეში — ოცელული 2:1, უნივერსიტატეა (კლუჟი) — გლორია 1:1, ონესტი — ჩახლაული 3:1, ოლიმპია — ნაციონალი 3:1, რესიტა — ბაკაუ 0:0, სტიაუა — ფარული 1:0, ასტრა — ფორესტა 1:0. 19 ქულით ჩემპიონატს ლიდერობენ დინამო და რაპიდი.

**დანიის** ჩემპიონატი. მე-8 ტური. ვიბორგი — აბ 0:1, ვეილე — ბრონდბიუ 1:2, სილკებორგი — ჰერფოლგე 0:1, ლუნგბიუ — ბ 93 2:1, კოპენჰაგენი — ორჰუსი 0:2, ოლბორგი — ფრემადი 3:1. 18 ქულით ლიდერობენ ოლბორგი და ჰერფოლგე.

**უნგრეთის** ჩემპიონატი. მე-8 ტური. დიორ ეტო — ვაცი 1:0, უპეშტი — ფერენცვაროში 2:1, ზალაეგერცეგი — დიოშდიორი 2:1, შიოფოკი — დუნაფერი 0:1, გაზერი — ვაშაში 1:1, დებრეცენი — ვიდეოტონი 5:0, ბვსც — ნიერშეგი 0:0, კერულეტი — ჰალადაში 3:1. 19 ქულით ლიდერობს მტკ.

**ხორვატიის** ჩემპიონატი. მე-6 ტური. კროაცია — ციბალია 2:1, დრაგოვილიაცი — მლადოსტ 127 0:0, სიბენიკი — ვარტექსი 0:0, ჰაიდუკი — რეიკა 3:1, ზადარკომერცი — სლავენი 2:1. 16 ქულით ლიდერობს კროაცია. მას ორი ქულით ჩამორჩება ჰაიდუკი.

**კვიპროსის** ჩემპიონატი. მე-2 ტური. ომონია — ანართოსისი 1:4, არისი — აპოელი 1:4, ენოსისი — ოლიმპიაკოსი 2:0, აეკი — აელი 1:1, დოქსა — ეთნიკოსი 0:0, აპოლონი — ალკი 4:4, ნეა სალამინა — ევაგორასი 4:1. 4 ქულით ლიდერობენ ანორთოსისი, აპოელი და ომონია.

**ესტონეთის** ჩემპიონატი. მე-10 ტური. ფლორა — იოჰვი 7:2, ტალინი — ლელე 3:2, ვილიანდი — ტვმკ 2:1. 24 ქულით ლიდერობს ფლორა.

## სარბიელი

### სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა** | | | |
| 24 სექტემბერი | | | |
| მანჩესტერი — ლივერპული | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი.** | | | |
| 24 სექტემბერი | | | |
| ტულუზი — ოსერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბასტია — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **ჰოლანდიის ჩემპიონატი** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — ფეიენოორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23 სექტემბერი | | | |
| სიტარდი — აიაქსი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| ტილბურგი — კამბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ჰერენვენი — უტრეხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტვენტე — მაასტრიხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვიტესი — ვალვაიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ბრედა — აზ 67 | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| **ბელგიის ჩემპიონატი** | | | |
| 23 სექტემბერი | | | |
| ოსტენდე — გენკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| შარლერუა — ლიერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბრიუგე — ლომელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **შოტლანდიის ჩემპიონატი** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| აბერდინი — რეინჯერსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 23 სექტემბერი | | | |
| სელტიკი — სენტ ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ჰართსი — მოზერველი | 1,6 | 3,8 | 5,6 |
| კილმარნოკი — დანდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| **ავსტრიის ჩემპიონატი** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| ზალცბურგი — გრაცერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 23 სექტემბერი | | | |
| ავსტრია — ტიროლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ლუსტენაუ — რაპიდი | 5,0 | 3,3 | 1,5 |
| რიდი — ლინცერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შტურმი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| **ამხანაგური მატჩი** | | | |
| 23 სექტემბერი | | | |
| ესპანეთი — რუსეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| **გერმანია. თასის 1/16 ფინალი** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| აისპახტალი — ობერჰაუზენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| არმინია — ვატენშაიდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ბერლინი — კიკერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვერდერი — ჰანზა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| დიუსელდორფი — მიუნხენ 1860 | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| კაიზერსლაუტერნი — ბოხუმი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ლევერკუზენი — ჰერტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| შტუტგარტი — აინტრახტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23 სექტემბერი | | | |
| ზიგენი — ფრაიბურგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| კარლ ცაისი — დუისბურგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ფიურტი — ბაიერნი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ურდინგენი — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — ნიურნბერგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| **ინგლისი. ლიგის თასი. II წრე. საპასუხო მატჩები** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| ვულვერჰემპტონი — ბორნმუტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ტრანმერი — ბლექპული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ქრიუ — ბრისტოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კემბრიჯი — შეფილდ უენსდეი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ჩესტერი — სანდერლენდი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ჩესტერფილდი — ლესტერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გრიმსბი — შეფილდ იუნაიტედი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბრედფორდი — ჰალიფაქსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ჰალი — ბოლტონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ნოტინგემი — ლეიტონი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლუტონი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბირმინგემი — მაკლსფილდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვესტ ჰემი — ნორთჰემპტონი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| უიმბლდონი — პორტსმუთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჩარლტონი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| საუთენდი — ქოვენთრი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| უიგანი — ნორვიჩი | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| უიკომბი — მიდლსბრო | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 23 სექტემბერი | | | |
| ტოტენჰემი — ბრენტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| კრისტალ პალასი — ბერი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| საუთჰემპტონი — ფულემი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| ევერტონი — ჰადერსფილდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მანჩესტერ სიტი — დერბი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| რედინგი — ბარნსლი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| **იტალიის თასის 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები** | | | |
| 22 სექტემბერი | | | |
| რომა — კიევო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23 სექტემბერი | | | |
| მილანი — ტორინო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვენეცია — კალიარი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბოლონია — რეჯინა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვერონა — სამპდორია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| პიაჩენცა — ლეჩე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ფიორენტინა — პადოვა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ემპოლი — ატალანტა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| უდინეზე — გუალდო | 1,1 | 6,0 | 2,0 |
| ვიჩენცა — ბრეშა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჯენოა — პარმა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ბარი — ლუკეზე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| კოზენცა — ლაციო | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სალერნიტანა — დი სანგრო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| იუვენტუსი — რავენა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 24 სექტემბერი | | | |
| ჩეზენა — ინტერი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# „აზოტი“ დახვედრით კმაყოფილია

კვირა დილით დონეცკს გაფრინდნენ რუსთავის „აზოტის“ კალათბურთელები, რომლებიც 23-ში კორაჩის თასის შესარჩევი წრის საპასუხო მატჩში იქაურ „შახტიორს“ შეხვდებიან.

ჩვენები დონეცკში ნაშუადღევს ჩასულან და, როგორც კლუბის დირექტორმა ამირან ხაჩიძემ გვამცნო, სასტუმრო „ტურისტში“ დაბინავებულან, კარგადაც მოწყობილან და კმაყოფილებიც დარჩენილან.

გუშინ რუსთაველებს მასპინძელთა 5000-ადგილიანი სარბიელიც მოუსინჯავთ. ჯერ მსუბუქად უვარჯიშიათ, თავი დიდად არ დაუტვირთავთ, საღამოს კი გვარიანად უდენიათ ოფლი.

— შემადგენლობა თბილისური მატჩისა გვეყოლება, ბიჭები ჯანმრთელად არიან და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ — დაგვაიმედა ხაჩიძემ და დაამატა — უკრაინელთა დახვედრით აღფრთოვანებული ვარ, ძალიან თბილად მიგვიღეს, ყურადღებას არ გვაკლებენ, ახლაც მთელი გუნდი ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანეს, მე ვერ მოვახერხე, ორგანიზაციული საკითხებით ვარ დაკავებული...

**გიორგი გიძაშვილი**

# სადაურსა სად...

## ქართველები არაბებს ჩოგბურთს და ფარიკაობას ასწავლიან

ბოლო წლების ქართულმა სინამდვილემ ბევრი ჩვენი თანამემამულე აიძულა, სამშობლო დროებით დაეტოვებინა და უცხო ქვეყნებისთვის შეეფარებინა თავი. ვინ იცის, რამდენი ნიჭიერი, თავისი საქმის პროფესიონალი ჩამდგარა დღეს სხვათა სამსახურში. ამ მრავალ ქართველში სპორტსმენებიც საკმაოდ არიან. ფეხბურთელები ევროპას მიმოფანტულან, ეს ბუნდესლიგა და რეგიონალლიგაო, ისრაელი, ინგლისი, ჰოლანდია და ერთი-ორი კაცი ჩინეთშიც კი ბურთაობს. მოჭიდავეებმა, მოკრივეებმა, მშვილდოსნებმა და კიდევ არაერთმა სულაც სხვათა მოქალაქეობა მიიღო და ვინ უკრაინის, რუსეთის, თურქეთისა და ვინ კიდევ კანადის, საბერძნეთის სახელით გამოდის საერთაშორისო სარბიელზე. მიზეზი კი ყველასთვის ცნობილია — გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას განახებო.



ლამარა მგალობლიშვილი და ქუვეითელი ჩოგბურთელები

ვერც წარსულში ცნობილმა, სახელმოხვეჭილმა ჩვენმა მწვრთნელებმა გაუძლეს აუტანელ პირობებს და იქით მიაშურეს, სადაც მათი ცოდნა და გამოცდილება ღირსეულად შეაფასეს, შრომა-გარჯაშიც ხელი შეუწყვეს და მათი საქმიანობის ნაყოფს სამართლიანადაც იმკიან.

დღეს ერთ ქართულ სპორტულ ოჯახზე გვინდა გესაუბროთ. ოჯახის თავკაცს გულშემატკივართა შორის წარდგენა ნაღდად არ სჭირდება: 60-იანი წლების უბადლო მოფარიკავეს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გურამ კოსტავას, აბა, ვინ არ იცნობს. ჰოდა, ბატონი გურამი ამჟამად მეუღლესთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან ჩოგბურთში ლამარა მგალობლიშვილთან და შვილებთან გურამთან და ნინოსთან ერთად ქუვეითში საქმიანობს.

1992 წლის სექტემბერში კოსტავების ოჯახს ქუვეითიდან ქართულ ხელბურთში „ფარჩოდ“ ცნობილი თამაზ ანთაძე შეეხმიანა და დაშნის ოსტატს არაბეთს ჩასვლა ურჩია. გეხსომებათ, იმ დროს ჩვენში რა ქარ-ცეცხლი ტრიალებდა და გურამ კოსტავასაც სხვა რაღა დარჩენოდა — ქუვეითს მიაშურა. სულ მალე კი ოჯახიც თან იახლა და აგერ უკვე მეექვსე წელია, იქ მუშაობს.

სიმდიდრით ქებულმა ქუვეითელმა არაბებმა ფარიკაობის მაესტრო ხომ თავისთან დაიგულეს, აგერ, მისი მეუღლეც ჩოგბურთის სპეციალისტი ყოფილაო და, უმალ პრესტიჟულ კლუბ „აირმექში“ სამსახური შესთავაზეს. ოღონდ მერე ის იყო, რომ ამ კლუბში ლამარა მგალობლიშვილი ერთადერთი ქალი აღმოჩნდა, თანაც იქაური ადათ-წესებით, აბა, სად გაგონილა, დიაცი მამაკაცს რაიმეს ასწავლიდეს. ჰოდა, ქალბატონი ლამარაც ქალთა „ფატამ-კლუბში“ გადასულა.

ალალად ვთქვათ, გსმენიათ რაიმე ქუვეითელ ჩოგბურთელებზე? არც არაფერი. ქართველმა მწვრთნელმა ყველაფერი ნოლიდან დაიწყო, კი ბატონო, მშვენიერი კორტები და სავარჯიშო მოედნები აქვთ, მაგრამ ასეთ ფუფუნებას უნარიანად გამოყენება ხომ უნდა?! როცა ქალბატონ ლამარას „კედლის“ დადგმა მოუთხოვია, საწყალ არაბებს გაოცებისგან პირი დაუღიათ. მაგრამ მერე ყველაფრისთვის ალღო აუღიათ, ჩვენებური მანდილოსნის რჩევა-დარიგებები ყურად უღიათ და დღეს, როგორც ქალბატონმა ლამარამ გვითხრა, ქუვეითელი ჩოგბურთელი გოგონები საკმაოდ გამართულად თამაშობენ და იქაურ ტურნირებზე ხშირადაც იმარჯვებენო.

კოსტავების ოჯახის კიდევ ორი წევრი, უმცროსი გურამი, იგივე კუსა და ნინო დედის კვალს გაჰყოლიან, ბავშვობიდან ჩოგანი აუღიათ ხელში და არაბთა ქვეყანაშიც მარჯვედ სცემენ ჩოგანს. კუსა ერთი ხანობა საფრანგეთში თამაშობდა, იქაურ ტურნირებშიც მონაწილეობდა და არცთუ ურიგოდ. ამჟამად კი ქუვეითშია და თამაშს მწვრთნელობასაც უთავსებს, ქვეყნის პრემიერის, შეიხ-ალ-საბახის კლუბში ასწავლის ჩოგბურთს.

ნინომ სამშობლოში ჩამოსულმაც კი ჩოგბურთის კორტებს მიაშურა და ბათუმში საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ივარჯიშა კიდეც.



ნინო და გურამ (უმცროსი) კოსტავები

ქუვეითზე, იქაურ სიცხეზე, არაბული ცხოვრების წეს-კანონებზე საუბრისას ჩვენი სატკივარიც არ დაგვივიწყნია და ქალბატონ ლამარას დავეკითხე: საქართველოში რომ ნორმალური პირობები გვქონდეს, ალბათ ბევრ ძლიერ სპორტსმენებს გავზრდით და თქვენც სამშობლოში იმუშავებდით-მეთქი. პასუხი ისეთი მივიღე, როგორსაც მოველოდი: არ ვაჭარბებ და, ქართველის მსგავსი ნიჭიერი იშვიათად თუ შემხვედრია, ქუვეითში რომ ყურადღებას აქცევენ სპორტს და, კერძოდ, ჩოგბურთის განვითარებას, იმის მცირედიც რომ აქ შეიძლებოდეს, მერწმუნეთ, სულ მოკლე ხანში ჩვენი ბიჭები და გოგონები მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში შეაბიჯებენო. კარგად იცით, ჩოგბურთი ძვირადღირებული სპორტია. თუ ბავშვობიდან სპონსორი არ გყავს, ნათელ მომავალზეც ფიქრს უნდა დაემშვიდობო. არადა, იმდენი ნიჭიერი, იმედისმომცემი ბავშვი იკარგება სწორედ უსახსრობის გამო. აქ რომ პირობები იყოს, რა გაგვაჩერებდა ქუვეითში ან მე ან გურამს. როგორც ვატყობ, საქართველოში სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდება და ჩვენც სამშობლოს აუცილებლად დავუბრუნდებით და გამოვადგებით...

**სოსო ქოტორეიშვილი**



### ფედერაციის თასის ფინალი

19 სექტემბერი, შაბათი

**მარტინა ჰინგისი — კონჩიტა მარტინესი 6:4, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო — პატი შნიდერი 6:2, 3:6, 6:2**

20 სექტემბერი, კვირა

**ჰინგისი — სანჩეს-ვიკარიო 7:6 (7:5), 6:3; მარტინესი — შნიდერი 6:3, 2:6, 9:7**

**წყვილები: სანჩეს-ვიკარიო და მარტინესი — ჰინგისი და შნიდერი 6:0, 6:2**

# ცრემლი და შამპანური

ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში შვეიცარია გამარჯვების უპირობო ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ახალგაზრდობასა და ნიჭზე, ტრავმირებასა და გადაღლილობაზე, 12 000 მტრულად განწყობილ მაყურებელსა და მათი ეჟვნებით ატეხილ ჟღარუნზე მნიშვნელოვანი გამოცდილება და გამარჯვების წყურვილი გამოდგა.

„ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო — მოუხერხებელი საფარი, მასპინძელთა ქომაგები, მსოფლიოს პირველი ჩოგანი, მაგრამ ჩვენ არ გავტყდით. ეს ამ გამარჯვების კიდევ უფრო მატებს ფასს“ — განაცხადა ფინალის შემდეგ კონჩიტა მარტინესთან ერთად მატჩის გმირად ქცეულმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ.

მატჩი კი მართლაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შესაბამისი გამოდგა.

ესპანელებს ფაქტობრივად გამარჯვების ერთადერთი შანსი მაშინ ეძლეოდათ, თუ მეტოქეთა აქილევსის ქუსლს — პატი შნიდერს გაუმკლავდებოდნენ და მერე წყვილებში შეეცდებოდნენ გამარჯვებას, თორემ მსოფლიოს პირველი ჩოგნის — მარტინა ჰინგისის დამარცხება მათთვის მოუხერხებელ, სწრაფი ხალიჩის საფარზე უფრო ოცნებას ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს.

თავისი ამოცანა მატჩის პირველ შეხვედრაში სანჩეს-ვიკარიომ პირნათლად შეასრულა — თამაშის განწყობაზე იშვიათად მყოფ, სასტიკად მონერვიულე შნიდერს სამ სეტში სძლია და ესპანელები დააწინაურა. თავის მხრივ თავისიანები არც ჰინგისმა დაალალატა — მარტინესს ზედმეტი ოფლისღვრის გარეშე სძლია, ენერგიის სახვალიოდ შენარჩუნება გამომადგებაო, ბრძანა და თან ქომაგობით დიდი კმაყოფილებაც გამოთქვა: „დღეს უამრავი ადამიანი მგულშემატკივრობდა. ჩვეულებრივ, ნაკლები კაცი ტრიბუნეზე არც სხვაგან არის-ხოლმე, მაგრამ უმეტესწილად ისინი ჩემს მეტოქეს ემხრობიან, რაკილა მე მსოფლიოს პირველი ჩოგანი ვარ.“

კვირა ჰინგისისა და სანჩეს-ვიკარიოს მატჩით დაიწყო. შვეიცარიელს მეტოქესთან უკანასკნელი ექვსი პირადი შეხვედრა მოეგო, მაგრამ თამაშის დაწყებამდე მაინც ფრთხილობდა, არანჩა ნამდვილი მებრძოლია, კორტზე მანამ ირბენს, სანამ არ მოკვდებაო. ესპანელს მარტინას კუთხეში მიმართული დარტყმების უკან მოსაბრუნებლად მართლაც ენის გადმოგდებამდე ჯირითი მოუნდა, მაგრამ დამარცხების მიუხედავად, მატჩი მაქსიმალურად გაწელა და მისებრ გარჯას მიუჩვეველი ჰინგისიც გვარიანად დაღალა.



REUTERS ფოტო

ჰინგისი და შნიდერი დამარცხებას გლოვობენ

ყველაზე დრამატული მომდევნო ფინალის მეოთხე მატჩი გამოდგა კონჩიტა მარტინესსა და პატი შნიდერს შორის, რომელიც 3 საათსა და 18 წუთს (!) გრძელდებოდა. პირველი ხელის წაგების შემდეგ მასპინძელმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, მერე გადამწყვეტ პარტიაში 0:3 ჩამორჩენა აანაზღაურა, აურაცხელი რაოდენობით ბრეიკ-პოინტები გადაარჩინა, თავად მატჩ-პოინტსაც უწია, მაგრამ მსგავს ბატალიებში გამობრძმედილმა მარტინესმა, შეხვედრის ბოლოს ფეხზე გაჩენილი კოჟრების მკურნალობაც რომ დასჭირდა, მაინც იძალა — 6:3, 2:6, 9:7.

გადამწყვეტ, წყვილთა შეხვედრაში კი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა შვეიცარიელებს აღარც შემართება შერჩათ და აღარც ძალა — გასავათებული შნიდერი ძლივსღა მოძრაობდა, ჰინგისს კუნთების კრუნჩხვების გამო ექიმის დახმარება დასჭირდა. ასე რომ, ესპანელებისთვის წინააღმდეგობის გაწევაზეც კი ზედმეტი იყო საუბარი, რაზეც 50 წუთში 0:6, 2:6 დამთავრებული მატჩის შედეგიც მეტყველებს. „ასე კარგად წყვილში მე და კონჩიტას არასოდეს გვითამაშია“ — განაცხადა სანჩეს-ვიკარიომ.

გამარჯვებულებმა მატჩის შემდეგ ფრიად მოულხინეს, მთავარი ჯილდო კოცნეს და ხელში ათამაშეს, დიდი სინაზით არც კორტსგარეთ გამორჩეულმა ზემოხსენებულმა კონჩიტამ კი ლამის მთელი თასი შამპანურიც გამოცალა. სამაგიეროდ, შვეიცარიელთა ბანაკში ტრაგიკული განწყობა სუფევდა — შნიდერს ცრემლისღვრა უკანასკნელი გათამაშებიდან დაჯილდოების ცერემონიალის დასრულებამდე არ შეუწყვეტია, გაწბილებული ქომაგები კი სამარისებურ სიჩუმეში ტოვებდნენ დარბაზს.

„რა თქმა უნდა, ძალიან იმედგაცრუებული ვართ, მაგრამ ამჯერად ესპანეთი უკეთესი გუნდი გამოდგა. თანაც შვეიცარიისთვის ფინალში გასვლაც დიდი მიღწევაა“ — განაცხადა ჰინგისმა, რომელიც, როგორც ამბობენ, გაისად ფედერაციის თასის გათამაშებაში მონაწილეობას აღარ აპირებს.

# ფინალისკენ გორგოლაჭებზე

ტაშკენტი. უზბეკეთი.
„პრეზიდენტის თასი“.
ტარდება დარბაზში პარდზე.
საპრიზო 500 ათასი $

**მეოთხედფინალი: ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 6:3, 3:6, 6:1; ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — სტეფანო პესკოსოლიდო (იტალია) 6:4, 6:4; სედრიკ პიოლინი (3, საფრანგეთი) — მარატ საფინი (6, რუსეთი) 6:7 (3:7), 6:2, 7:6 (7:3); ნიკოლა ესკუდე (4, საფრანგეთი) — კარსტენ ბრააში (გერმანია) 6:4, 7:6 (7:5).**

**ნახევარფინალი: კაფელნიკოვი — პიოლინი 6:2, 6:2; ჰენმანი — ესკუდე 3:6, 6:3, 6:4.**

ძნელი სათქმელია, საფინთან მძიმე შეხვედრის ბრალი იყო, თუ რაიმე სხვის, მაგრამ პიოლინმა სოჭელ ჟენიას ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. სამაგიეროდ, ჰენმანის ჯახირს ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტობის შემდეგ დაკარგულ ნიკოლა ესკუდესთან ფრიად საპატიო მიზეზი ჰქონდა — ინგლისელს აღმოსავლური სამზარეულოს დაჭაშნიკება, ეტყობა, ძალიან გაუჭირდა და შაბათს ფალარათის მძიმე ფორმისგან იტანჯებოდა.

**ფინალი: ჰენმანი — კაფელნიკოვი 7:5, 6:3.**

„პრეზიდენტის თასი“ ტიმ ჰენმანს თილისმად ექცა — მოხერხება უნდა, კარიერის მანძილზე სულ სამი ტიტული გქონდეს მოგებული და აქედან ორი — ტაშკენტში.

თუმცა ინგლისელს ტურნირის ზედიზედ მეორედ მოგებაში უფრო კაფელნიკოვმა შეუწყო ხელი — პირველ სეტში 5:3 დაწინაურების შემდეგ საკუთარ მოწოდებაზე სამი ორმაგი შეცდომით მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა და იგივეს გამეორება არც მეორე ხელში დაიწყნია.

უზბეკურ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილ ფინალისტებს ჩეკები (66 400 და 37 000 შესაბამისად) და ჯილდოები თვით თასის პატრონმა პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა გადასცა, მათ კი სამაგიეროდ საგაისოდ დაბრუნება და ფინალში კიდევ ერთხელ შერკინება აღუთქვეს.

ბორნმუტი. ინგლისი.
სამსუნგის ღია პირველობა.
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 400 ათასი $

**ნახევარფინალი: ალბერტ კოსტა (2, ესპანეთი) — ვინჩენცო სანტოპადრე (იტალია) 7:6 (7:3), 6:0; ფელიქს მანტია (3, ესპანეთი) — მარკ-კევინ გელნერი (გერმანია) 6:4, 6:2.**

ნახევარფინალის ყველაზე დიდ მოვლენად სიმაღლითა და ძალით არცთუ გამორჩეული ფელიქს მანტიას მიერ ზედიზედ მოწოდებული 5 ეისი იქცა: „ეს დაუჯერებელი იყო, მით უმეტეს, ასეთ ნელ თიხნარის საფარზე. 40:0-ზე ვიფიქრე, მოდი, იქნებ მეოთხეც მოვაწოდო-მეთქი, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ გამომივიდოდა. ჩემი ექვსწლიანი კარიერის მანძილზე მსგავსი არაფერი გამიკეთებია, განცვიფრებული ვარ.“

**ფინალი: მანტია — კოსტა 6:3, 7:5**

ტურნირის შარშანწინდელ და შარშანდელ გამარჯვებულებს შორის უკანასკნელმა იმარჯვა. კოსტა მთელი მატჩის განმავლობაში უჩვეულოდ ბევრს სცოდავდა, არადა, სანერვიულო მის მეტოქეს უფრო ჰქონდა — მანტიას მანამდე მეტოქესთან ოთხივე პირადი შეხვედრა წაეგო.

სამაგიეროდ, მატჩის შემდეგ შეცდომით უკვე მანტიამ გამოიჩინა თავი — თავის სიტყვაში მან ყველა „ბურთის მიმტან ბიჭს“ მოუხადა მადლობა, არადა, უკლებლივ ყველა ბურთის მიმტანი ადგილობრივი სკოლის მოსწავლე გოგონები იყვნენ.

ბუქარესტი. რუმინეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 345 ათასი $

**ნახევარფინალი: ფრანსისკო კლავეტი (1, ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 3:6, 6:0, 6:2; არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 2:6, 7:5.**

**ფინალი: კლავეტი — პასკუალე 6:4, 2:6, 7:5.**

ტურნირის ნამდვილ გმირად ბუქარესტის აღმოჩენა — 19 წლის ფრანგი არნო დი პასკუალე იქცა. გასული წლის იუნიორების პირველი ჩოგანი რუმინეთის დედაქალაქს საკვალიფიკაციო წრეების დაძლევის მიზნით ეწვია, შედეგად კი ფინალში ამოყო თავი. „ცხოვრებაში ასე კარგად არასოდეს მითამაშია ფინალი, ამის დაჯერებაც კი მიჭირს“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე არნომ, რომელიც სათამაშოდ და სავარჯიშოდ გორგოლაჭებიანი ციგურებით ცხადდებოდა ხოლმე. გული კი მაშინაც არ დასწყვეტია, როცა გადამწყვეტ შეხვერაში გამოცდილ ფრანსისკო კლავეტთან დამარცხდა.



REUTERS ტაშკენტიდან

ევგენი კაფელნიკოვი და ტიმ ჰენმანი

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს უქმეები კრივისა იყო



ჰოლიფილდს ბინი კაცურად დაუდგა

## მძინარე ჩემპიონის აბსოლუტური სიზმარი

### ჰოლიფილდს გამარჯვება საბოდიშო გაუხდა

ატლანტაში, მშობლიურ „ჯორჯიადოუმის" კედლებში ევანდერ ჰოლიფილდმა დაამარცხა ტიტულის მოცილე ვონ ბინი და ფედერაციის (იბფ) მძიმე წონის ჩემპიონის წოდებაც დაინარჩუნა.

მაგრამ გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც. ახლა ძნელი სათქმელია, ვინ უფრო იტანჯა ამ ბრძოლისას, უცნობი უსახელო ბინი თუ სახელოვანი ევანდერი, რომელმაც მეათე რაუნდში საეჭვო ნოკდაუნით თუ დაამახსოვრა თავი მაყურებელს.

მეათე რაუნდამდე ჰოლიფილდს ეძინა, თითქოს სამუდამოდ, მაგრამ მეათეში კი გამოფხიზლდა და მარჯვენით ზედიზედ ორი აპერკოტი ამოჰკრა ბინს. ამას ცაცია ჰუკი მიაყოლა და პრეტენდენტი თოკებთან მიაგდო. რეფერი ბრაიან გერი მათკენ გაქანდა, რათა შუაში ჩამდგარიყო და სანოკდაუნო თვლა დაეწყო, მაგრამ ჰოლიფილდმა დაასწრო რეფერის და მარჯვენით ძირს დასცა ბინი.

მეთერთმეტე რაუნდში ბინი ვაჟკაცურად უმკლავდებოდა გამოღვიძებული ჰოლიფილდის კომბინაციებს, მაგრამ მეთორმეტეში ნაღდი კრიზისი დაუდგა. „ჯორჯიადოუმის" 40 ათასი მაყურებელი ალტაცებით მიესალმა თანაქალაქელის მორიგ გამარჯვებას.

სამი მსაჯიდან ორმა 117-110 მოაგებინა ჰოლიფილდს, ერთმა — 116-111.

ეს ჰოლიფილდის 36-ე გამარჯვება იყო, წაგებით კი, სამჯერ წაუგია, აქედან ორჯერ აწ გადამდგარ რიდიკ ბოუსთან. ბინისთვის ეს მეორე მარცხი იყო.

„ამ კაცმა საუცხოოდ იბრძოლა. პატივი ეცით მას, დამსახურებული ხოტბა შეასხით" — აქო ევანდერმა ვონ ბინი. თავად ჩემპიონს კი ვერ შეაქებ, „ჯორჯიადოუმში" ტაისონთან სახელოვნად მებრძოლი ჰოლიფილდის არჩდილიღა იდგა.

ბინმა აშკარად დააბნია ის თავისი შიდა აპერკოტებით და მადლიანი მარჯვენა ხელით. შედარებით მძიმე პრეტენდენტთან ჰოლიფილდმა თავისი სისწრაფე ვერ გამოიყენა და მოდუნდა კიდეც.

„მე ვფიქრობ, რომ გავიმარჯვე" — უთხრა მედიას ბინმა — „მე გავუძელი და კარგად ვურტყი".

ჰოლიფილდი უერთგულესი მაყურებლის წინაშე ჩხუბობდა და სანოკაუტო გამარჯვება სწყუროდა. ამასვე ელოდნენ ატლანტელებიც, მაგრამ...

„ბინი განსხვავებული სტილის მოკრივეა. მე ათი თვეა, არ მიჩხუბია. ამიტომ, სანამ შევეგუებოდი, ჩემი დამემართა" — განმარტა ჩემპიონმა.

დასასრულ კი, ჰოლიფილდმა კვლავ გაიმეორა, მალე შევხვდები ლენოქს ლუის, მას საბჭოს (ვბკ) ტიტულს წავართმევ, ჩემს ფედერაციისას და ასოციაციისას (ვბა) შევუერთებ და მძიმე წონის აბსოლუტური ჩემპიონი შევიქნებიო.

ველორბოლა VUELTA'98

## რუსის ბოლო გაელვება

**მე-13 ეტაპი. რბოლა საბინანიოს მიდამოებში. 208,5 კმ.**

1. ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი) 4 სთ 07 წთ 12 წმ; 2. ლუდო დიერქსენსი (ბელგია); 3. უნაი ეჩებერია (ვენესუელა) იგივე დრო.

**მე-14 ეტაპი. ბიესკასიდან — სარაგოსამდე. 145,5 კმ.**

1. მარსელ ვუსტი (გერმანია) 2 სთ 50 წთ 43 წმ; 2. სერგეი სმეტანინი (რუსეთი); 3. ფაბრიციო გვიდი (იტალია) იგივე დრო.

**მე-15 ეტაპი. სარაგოსადან სორიამდე. 178,7 კმ.**

მე-15 ეტაპი წინა ორის მსგავსად უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ გამარჯვებულმა ველომრბოლმა რუსმა ანდრეი ზინჩენკომ თითქმის წარმოუდგენელი სიჩქარით — 43,5 კმ/სთ იარა და ფინიშის ხაზზეც ესპანელ დევიდ პლაცაზე სამი წამით ადრე მივიდა.

თუმცა ეს შედეგი ახლოსაც ვერ მივა იმასთან, შაბათს ბიესკასიდან სარაგოსამდე გადაჭიმული ტრასის გავლისას გერმანელმა მარსელ ვუსტმა რომ აჩვენა. ვუსტის საშუალო სიჩქარე — 51,1 კმ/სთ საერთოდ უსწრაფესია და 0,7 კმ/სთ-ით აღემატება ბელგიელი იოჰან ბრუინელის მიერ 1993 წლის „ტურ დე ფრანსზე" დამყარებულ რეკორდს, რომელიც 49,4-ს უდრიდა.

ზინჩინკოსთვის, რომელმაც პირველი ადგილი არც მე-13 ეტაპზე დაუთმო კონკურენტებს, კვირის გამარჯვება ორმაგად გასახარი იყო. იგი ხომ სორიაში ცხოვრობს და ამ ქალაქს მეორე სამშობლოდაც მიიჩნევს.

ისე, ჩვენი აზრით, რუსი მრბოლი უზომოდ იღბლიანად უნდა თვლიდეს თავს, რომ დრო იხელთა წლევანდელ „ვუელტაზე". ორი ეტაპის მოგება მოახერხა, რადგან დღეიდან ველომრბოლები მორიგი მთიანი ეტაპების დაძლევას შეუდგებიან, სადაც არათუ რუსები, არამედ სხვა უძლიერესი მრბოლებიც კი თითქმის უშანსოდ არიან. ბოლო 9 ეტაპის მანძილზე ყვითელი მაისურით მოასპარეზე ესპანელი აბრაჰამ ოლანოს ფორმა გვაფიქრებინებს, რომ იგი ლიდერობას არც დარჩენილ დისტანციაზე დაუთმობს ვინმეს და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ალბათ „ვუელტას" მომგების სანუკვარ ტიტულსაც ის ირგუნებს.

1. ანდრეი ზინჩენკო (რუსეთი) 4 სთ 06 წთ 06 წმ; 2. დევიდ პლაცა (ესპანეთი) +3; 3. ფაბრიციო გვიდი (იტალია) +56.

საერთო ჩათვლა

1. აბრაჰამ ოლანო (ესპანეთი) 64 სთ 36 წთ 06 წმ; 2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) +35; 3. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +51; 4. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი) +1,17;

**მე-16 ეტაპი. სორიადან ლაგუნა ნეგრა დე ნეილამდე. 143,7 კმ.**

ეტაპი ხოსე მარია ხიმენესმა მოიგო. აბრაჰამ ოლანო კი ისევ ლიდერია.

**ბახა არჯევანიძე**

REUTERS ატლანტიდან

## ყველაზე დიდი ოსკარი

### ისევ მაჯობე, ბიჭო! ნოკაუტამდე უთხრა ხულიო შავესმა ოსკარ დელა ჰოიას

მსოფლიო კრივის საუკეთესო მებრძოლმა, დღეის უპირველესმა სუპერვარსკვლავმა, ველთერის წონის სწორუპოვარმა ჩემპიონმა ოსკარ დელა ჰოიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, წააქცია რა განთქმული ხულიო სეზარ შავესი.

დელა ჰოიამ მორიგჯერ დაიცვა საბჭოს (ვბკ) ჩემპიონის ტიტული და ამ საქმისთვის რვა რაუნდი დასჭირდა.

„სისხლიან ხულიოდ" წოდებული დიდი მექსიკელი შავესი, თავის წილ რომ 103 ბრძოლა მოუგია და ჩემპიონიც ყოფილა, მხოლოდ მესამედ დამარცხდა კარიერაში და მეორედ ამერიკელ დელა ჰოიასთან, რომლის წინაპრებიც მექსიკელები იყვნენ.

პირველად ეს იყო 1996 წლის ივნისში, როცა ოსკარმა იმგვარი ნიშნები დაადო შავესს, რომ სულ მთლად სისხლიანი მეოთხე რაუნდში გააცალეს რინგს. ამ ჯერზე კი დელა ჰოია გაბრაზებული იყო, რადგან ბრძოლის წინ შავესს ეთქვა, იმ დღეს დაგავიწყებ, როცა მომიგეო.

ამიტომ მონდომება და გაქანება დიდი იყო. უკვე მეორე რაუნდშივე დელა ჰოიამ ნიშანი დაადო შავესს. ისე კი, პირველი სამი რაუნდი მშვიდი იყო, რახანლა ამერიკელი ჯიგრის ადუღებას ელოდა. მეოთხე რაუნდში ორივემ გვარიანად იქნია მუშტები, მაგრამ ამას ნაღდი ჩხუბი არ დაერქმეოდა.

მეხუთეში მექსიკელმა ლეგენდამ ბრაზი დაანახა და შუა რინგზე რამდენიმე სერია ჩაუტარა ჩემპიონს. იქნებ ამანაც აადუღა ოსკარის ჯიგარი და უკვე მეექვსეში მან დასამახსოვრებელი ცაცია აპერკოტით დასაჯა ხულიო. ეს უძლიერესი დარტყმა იყო. ამ დარტყმამ შავესი გატეხა და მეშვიდე რაუნდში საბოლოოდ გამოაჩინა დელა ჰოიას უპირატესობა.

მეშვიდეს მიწურულს დელა ჰოიამ კვლავაც საშინელი ცაცია აპერკოტით დაიწყო შეტევა, მსწრაფლ მარჯვენა მიაყოლა და კვლავ მარცხენათი ჩაკეტა სერია. შავესს გონებმა მოუსწრო და თურმე სწორედ ამ დროს უთხრა ოსკარს: „ისევ მაჯობე, ბიჭო".

მერვე რაუნდში დელა ჰოიამ საქმე მოათავა და ტიტულიც დაინარჩუნა. 29 ბრძოლა — 29 გამარჯვება, აქედან 24 — ნოკაუტით.

ნოკაუტი რომც არ ყოფილიყო, სამივე მსაჯმა მის სასარგებლოდ დათვალა ქულები.

„ერთი სოლიდური ჯები ვერ დავკარი" — თქვა ბრძოლის შემდეგ ოსკარმა — „წინა ჯერზე გამომივიდა, ახლა არა. სისხლი გვიან გავადინე. ამას ველოდი კიდეც, რადგან ის დიდი მებრძოლია და ახლა საუცხოო ფორმაშია".

დელა ჰოიასთვის ეს ბოლო რეპეტიცია იყო ტიტულთა გამაერთიანებელი ბრძოლის წინ. ასოციაციის (ვბა) განელ ჩემპიონს არც კორტის მასთან შერკინება სწადია. დელა ჰოიას სამლევილო თლაც განელთან (34-0-1) ჭიდილში გამოჩნდებაო, აცხადებენ კრივზე მწერლები. თავად ოსკრიც მზადაა, ამბობს, აიკი რესპექტაბელური მოკრივეაო.



რინგსგარეთ ამხანაგები — დელა ჰოია და შავესი

## გასეირნება ტაისონის ტვინის (დიახ!) ხვეულებში

### შევღონდი, ხალხო, მაკმარეთ ტანჯვა! მოთქვამს რკინის მაიკი

დიახაც, რომ აღარ გასრულდა მარტვილობა ოხერი მაიკ ტაისონისა. ეს კაცი, ბრაუნსვილელ ნაბიჭვრად წოდებული ავისმოსურნეთა მიერ, ან გიჟია, ანდა თავს იგიჟიანებს.

მსოფლიო ამბავია: ნევადის ათლეტურ საქმეთა კომისიას ამ უქმეებზე დიდად საჭირბოროტო საქმე უნდა გადაეწყვიტა, უნდა დაებრუნებინა ტაისონისთვის საკრივო ლიცენზია, ან არ უნდა დაებრუნებინა.

ექვსსაათნახევრიანი განსჯის შემდეგ კომისიის ხუთივე წევრმა გადადო ამ საკითხის გადაწყვეტა და ყოფილი ჩემპიონის ფსიქიატრიული შემოწმება მოითხოვა. ახალი განხილვის სავარაუდო თარიღად 3 ოქტომბერი დაითქვა და, თუ ოქტომბერში მაიკს უარს ეტყვიან, ხელახალი თხოვნის შეტანის უფლება გაის ზაფხულსღა ექნება.

განხილვის შემდეგ ტაისონის ვექილი დეილ კინსელა და გაქნილი მრჩეველი შელი ფინკელი კი ეცადნენ, რომ მაიკს ბევრი არ ელაპარაკა ჟურნალისტებთან, მაგრამ ვინ მოუსმინა? მაიკი თავისებურ ბუტბუტს მოჰყვა და საზოგადოებაც გვარიანად დააბნია.

მისი დაბნეული ლუღლუღი ძალიან ჰგავდა გასულ ზაფხულს ნიუ ჯერსის სამსჯავროზე მისსავე ბლუკუნს, სადაც მაიკმა სულ FUCK იძახა და თანაც სინანულით. ამჯერად FUCK-ის გარეშე გადავრჩით, მაგრამ ტაისონმა გაიხსენა ამასწინანდელი ავტოშემთხვევა, როცა მის „მერსედესს" ვილაცის „ფორდი" შეეჯახა. იმ „ფორდში" მსხდომი ხალხი სასამართლოს კარზეა, გვცემაო.



ტაისონს ექიმები შეამოწმებენ

„მე პროვოკაცია მომიწყვეს. ჩემი პროვოცირება ადვილია. გამამხეცეს, პირადი ცხოვრება არ მაქვს. ჩემსკენ თითებს იშვერენ. მტანჯავენ, ისე მტანჯავენ, მეშინია ამის თქმა. ის კაცი აღარ ვარ, ვწუხვარ, არ ვარ ის კაცი. ბოდიში. ბოდიში," — ლუღლუღებდა მაიკი ტელეკამერების წინ.

ხოლო როდესაც შეიტყო, რომ სამმა ფსიქიატრმა თუ ფსიქოთერაპევტმა უნდა გამოიკვლიოს, იუმორის გრძნობა და კინოს სიყვარული გამოამჟღავნა: „მე ვარ ნორმან ბეიტსი, იმასაც სამი ექიმი ჰყავდა". ასე გაიხსენა ტაისონმა ალფრედ ჰიჩკოკის ფილმ „ფსიქოს" პერსონაჟი.

ტაისონის შტაბი კი დათანხმდა მაიკის ტვინის ხვეულების გამოკვლევას. გაუპატიურებული თუ გაუუპატიურებელი ქალი, ნაღდად მოჭმული ყური, მკლავზე დახატული მაოძედუნი, ხალხის ცემა და გაუთავებელი საჩივრები — ეს ყველაფერი მოითხოვს გამოკვლევას.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე, ირაკლი ხმელიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29